ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

„ახალი თაობა“
+
ილია II
ოქროს ხანა
8 ლარი
საქართველოს
პირველი
ტომი




ხუთშაბათი, 17 იანვარი, 2013 №13 (6014) ფასი: 30 თეთრი

# ზურაბ ჯაფარიძე: „რატომ იბარებს გია ხუხაშვილი ბიზნესმენებს?“



გვ.4

## თეა წულუკიანი: „მეგის ქარდავას თავისუფლად გადაადგილების საშუალება არ უნდა ჰქონდეს!“

გვ.6



## მოსკოვში „დედ ჰასანი“ მოკლეს

გვ.3



## აკაკი ბობოხიძისთვის კვერცხის სროლა 100 ლარი ღირს

გვ.4

დღეს ქუთაისში ნაციონალებს საგანგებოდ დაიცავენ



## ნანა კაკაბაძე: „დარჩიაშვილს მხედრიონზე ლაპარაკის უფლება არ აქვს“

გვ.3



გვ.2

## ბიძინა გიორგობიანზე ძებნა შეწყდა

## თემურ შაშიაშვილი: „მადლობა ღმერთს, სააკაშვილი საშიში აღარ არის“

გვ.4



## პოლიციამ დმანისში 4 კილოგრამამდე ნარკოტიკი ამოიღო

შინაგან საქმეთა სამინისტროს ქვემო ქართლის პოლიციის სამხარეო მთავარი სამმართველოს დმანისის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა, განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული ნივთიერების უკანონო შეძენა-შენახვის ბრალდებით, დმანისის რაიონის სოფელ დიდი დმანისის მკვიდრი, 1970 წელს დაბადებული თარიმან მ-ი დააკავეს.

სამინისტროს პრესსამსახურის ინფორმაციით, დაკავებულის საცხოვრებელი სახლის ჩხრეკისას, სამართალდამცველებმა განსაკუთრებით დიდი ოდენობით, 4 კილოგრამამდე ნარკოტიკული საშუალება „მარიხუანა“ ამოიღეს. ექსპერტიზის დასკვნით, თარიმან მ-ი დაკავების დროს, ნარკოტიკული ნივთიერების ზემოქმედების ქვეშ იმყოფებოდა. დაკავებულის განმარტებით, იგი უკვე 20 წელია ნარკოტიკის მომხმარებელია.

გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 273-ე მუხლით და 260-ე მუხლის მე-3 ნაწილით მიმდინარეობს. დანაშაული 14-დან 20 წლამდე ან უვადო პატიმრობას ითვალისწინებს.

ნიუსპრესი



## სოლომონ პავლიაშვილი: „ვერ წარმომიდგენია, 1 მლრდ როგორ უნდა ჩაიდოს სოფლის მეურნეობაში“

გვ.3

6 დავით ნარმანია: „საქართველოში მშენებლობა არ შეჩერებულა“

2 „ციხე ნამდვილ ჯოჯოხეთად აქციეს“

7 ჰამლეტ ჭიპაშვილი: „საზოგადოებამ სამი თითის კომბინაცია მიიღო“

6 გამოკითხულთა უმრავლესობა დღევანდელ სასამართლოს არ ენდობა

9 771987 938006

ლურჯი წითელი ყვითელი შავი

# ბიძინა გიორგობიანზე ძებნა შეწყდა

შორენა კოწოწაშვილი

**პარლამენტის მიერ საქართველოში პოლიტიკური პატიმრების და პოლიტიკური დევნილების აღიარების შემდგომ პოლიტდევნილთა სიაში მყოფ საქართველოს სატყეო დეპარტამენტის ყოფილ თავმჯდომარე ბიძინა გიორგობიანზე წითელი ცირკულარით გამოცხადებული ძებნა შეწყდა.**

როგორც საზოგადოებისთვის ცნობილია, ბიძინა გიორგობიანი იყო სააკაშვილის ხელისუფლების ერთ-ერთი მაღალჩინოსანი, რომელმაც სახელისუფლო ზეწოლის და კლანური მმართველობის პირობებში წნეხს ვერ გაუძლო და ქვეყანა დატოვა ანუ საქართველოდან გაიქცა.

ბიძინა გიორგობიანის წინააღმდეგ სააკაშვილის ხელისუფლებამ კონტროლის პალატის ყოფილი მაღალჩინოსნის – ნუგზარ ნაჭყებიას გამოყენება სცადა. სწორედ ნაჭყებიას დაევალა გიორგობიანის წინააღმდეგ აქტის დაწერა, რაც საბოლოოდ გიორგობიანის დაპატიმრების საფუძველი უნდა გამხდარიყო. მაგრამ სააკაშვილის გუნდის მაღალჩინოსნები შეცდნენ – ნუგზარ ნაჭყებია საკმაოდ კერკეტი კაკალი გამოდგა. ის არა მხოლოდ კარგი პროფესიონალი, არამედ ღირსეული მოქალაქეც გამოდგა და გიორგობიანის წინააღმდეგ მავანთა დაკვეთით აქტი არ დაწერა. პირიქით, ნაჭყებიამ ღიად დააფიქსირა, რომ ბიძინა გიორგობიანი, პირადად არც კი იცნობდა. აბსოლუტურად მართალი იყო და მის წინააღმდეგ საქმის შეთითხვნა ხდებოდა.

მართალია, ნუგზარ ნაჭყებიას ეს მტკიცე პოზიცია და მაშინდელი მმართველი ელიტის ინტერესების წინააღმდეგ წასვლა, თანამდებობის დაკარგვით და მის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმის აღძვრად დაუჯდა, მაგრამ ფაქტია, რომ ულირს და უკანონო



ქმედებას, რეპრესიების პირობებში ყოფნა ამჯობინა. ნუგზარ ნაჭყებიამ მხოლოდ ახლა, ხელისუფლების შეცვლის შემდგომ შეძლო სასამართლოს გზით საკუთარი უდანაშაულობის დამტკიცება.

აღსანიშნავია, რომ სასამართლოს გადაწყვეტილებით, რომელიც 3 წელზე მეტ ხანს გაგრძელდა, ბიძინა გიორგობიანის უდანაშაულობა დადასტურდა. სხვათა შორის, ნაჭყებია მუდმივად საუბრობდა იმ ოდეერებზეც, რომლებიც მას ახალაიას სახელით გიორგობიანის წინააღმდეგ აქტის დაწერას აიძულებდნენ.

ბიძინა გიორგობიანი დღემდე გერმანიაში ცხოვრობს, სადაც წლების წინ პოლიტიკური თავშესაფარი მიიღო.

– გერმანიაში უკვე 18 წელია ვცხოვრობ. ხოლო რაც ემიგრაციაში მეორედ ვარ, უკვე 8 წელია. აქედან გამომდინარე, ჩამოყალიბებული გეგმები მაქვს გერმანიასთან დაკავშირებით, საქართველოში დაბრუნებასთან დაკავშირებით კი ჯერ არა. თუმცა, რა თქმა უნდა, იანვრის ბოლოს ან თებერვლის დასაწყისში საქართველოში ვაპირებ ჩამოსვლას, რათა ახლობლები და ნათესავები ვნახო, რომლებიც 8 წელია არ მინახავს. სწორედ ამის შემდეგ მივიღებ გადაწყვეტილებას, შემიძლია თუ არა საერთოდ საქართველოში ხელახალი ინტეგრაცია მოვახდინო ჩემი შვილები აქ გაიზარდნენ. მეორე შვილი საერთოდ გერმანიაში დაიბადა. აქედან გამომდინარე გადაწყვეტილების მიღება იოლი საქმე არაა, – აცხადებს ბიძინა გიორგობიანი და იქვე დასძენს, რომ საქართველოში ჩამოსვლის შემდეგ მიიღებს გადაწყვეტილებას იმასთან დაკავშირებითაც, იმოძრავებს თუ არა სამართლებრივი გზით მის წინააღმდეგ „შეკერილი“ ბრალდების ავტორების მიმართ.

– საქართველოში გადავწყვეტ, ვიმოძრავებ თუ არა სამართლებრივად იმ ადამიანების წინააღმდეგ, რომლებმაც ჩემ ირგვლივ აბსურდული ბრალდება შეკერეს, გამასამართლეს და ჩემზე ძებნა გამოაცხადეს, რაც მე ნორმალურ ცხოვრებაში – გერმანიის დატოვებასა და სერიოზული საქმიანობის დაწყებაში ხელს მიშლიდა. ძნელია, საქმე დაიჭირო ადამიანთან, რომელსაც ინტერპოლი წითელი ცირკულარით ეძებს, – აცხადებს გერმანიაში პოლიტიკურ დევნილობაში მყოფი ბიძინა გიორგობიანი.

გიორგობიანი პარლამენტის მიერ 25 პირისთვის პოლიტიკური დევნილის სტატუსის მინიჭებასაც ეხმაურება და აცხადებს, რომ „საქართველოში პოლიტდევნილებისა და პოლიტპატიმრების აღიარება ქვეყნის დემოკრატიულ და სამართლებრივ სახელმწიფოდ მშენებლობის გზაზე დადებით შედეგს გამოიღებს“.

აღსანიშნავია, რომ სააკაშვილის ხელისუფლებამ გიორგობიანის წინააღმდეგ საპარლამენტო არჩევნების წინ კიდევ ერთხელ გაილაშქრა, როდესაც ის 80 000 დოლარი დააყადაღა, რომელიც ფონდ „ქომაგის“ ანგარიშზე გერმანიაში მყოფმა პოლიტდევნილმა ჩარიცხა.

# „ციხე ნამდვილ ჯოჯოხეთად აქციეს“

**საკაშვილი და ნაციონალები შესანიშნავად მოერგებოდნენ კომუნისტურ რეჟიმს, კომუნისტური რეჟიმის პირობებში, ისინი შესანიშნავად შეასრულებდნენ კომუნისტური პარტიის ყველა დავალებას.**

**ის პირები, რომლებიც სააკაშვილმა თავის ირგვლივ შემოიკრიბა, ყველასა და ყველაფრის კონტროლის მანიით იყვნენ შეპრობილნი და ყველაფერზე იყვნენ წამსვლელები.**

**სხვა საქმეა, რატომ მოელოდა ქართველი ხალხი კგბ-ს სკოლაგამოვლილი სააკაშვილისაგან უკეთესი ვითარების შექმნას და რატომ მიენდო, სწორედაც რომ ამბოხისა და ხელისუფლების დამხობის გზით (თუნდაც ვარდიანი გზით და არა ეკლიანით, მაგრამ მაინც არა არჩევნებით) მოსულს ისტორია უფრო კარგად განსჯის.**

**ფაქტი კი ერთია, სააკაშვილმა ციხეებში ჩაყარა უდანაშაულო ადამიანები, სწორედ რომ ამბოხისა და სახელმწიფო გადატრიალების დაგეგმვის ბრალდებით, რაც მან და მისმა წინამორბედმა რეალობაში განახორციელეს, მაგრამ პასუხი არავის მოუთხოვია.**

გულიკო ბალაძე

მაშინ, როცა ნამდვილ სახელმწიფო გადამტრიალებლებსა და სისხლის ტბების დამყენებლებს შევარდნაძეს, სიგუასა და კიტოვანს, სააკაშვილმა სასათბურე პირობები შეუქმნა, უდანაშაულო ადამიანებს ჯოჯოხეთი საკუთარი თვალით ანახა.

რამდენიმე დღის წინ პოლიტპატიმრის სტატუსით გათავისუფლებული, სიგუას მთავრობის კავშირგაბმულობის მინისტრის, ოლეგ კეშელავას განცხადებით, ციხეებში სასწაულები ხდებოდა. ციხეებში ისეთი სიტუაცია იყო, სწორედ რომ ჯოჯოხეთს შეიძლება შეადარო.

ოლეგ კეშელავას ადვოკატი ვახტანგ თალაკვაძე აცხადებს, რომ როდესაც ამ ადამიანების საკითხი იხილებოდა პარლამენტში, ბევრმა მათგანმა, ახლანდელმა ოპოზიციამ, სწორედ ეს ხალხი მეამბოხეებად, შეთქმულებაში მონაწილეებად მიიჩნია. ყოფილი ხელისუფლების წარმომადგენლებმა პოლიტპატიმრების საქმეში, მათი გამოშვების კანონზომიერების თვალსაზრისით, ბევრი საკითხი საეჭვოდ მიიჩნია, მაგრამ ეს იყო ყველაზე სწორი გადაწყვეტილება.

– სამწუხაროდ, ახლანდელი ოპოზიციის აზრს ზოგი არასამთავრობო ორგანიზაციაც დაეთანხმა, რაც ჩემთვის გაუგებარი იყო. ეს საკითხი არ განხილულა მხოლოდ კომიტეტის სხდომაზე და პარლამენტში 2-3 კვირაში. წელიწადნახევრის განმავლობაში ყოველდღიური შრომა დაგვჭირდა. მე მუხროვანის აჯანყებაში ბრალდებულ კობა ოთანაძის ადვოკატიც ვიყავი და ეს საქმეები ერთად იხილებოდა. თვითონ ეკა ბესელიასთან, ნანა კაკაბაძესთან და უჩა ნანუაშვილთან აღნიშნული საკითხები არაერთხელ გვქონდა შესწავლილი. მიწოდებული ინფორმაციის საფუძველზე საბოლოოდ დავრწმუნდით, რომ ეს იყო წინა ხელისუფლების მიერ პოლიტიკური ნიშნით დაპატიმრებული ხალხის მიმართ განხორციელებული არაკანონიერი ქმედებები, – განაცხადა ადვოკატმა ვახტანგ თალაკვაძემ.

ვახტანგ თალაკვაძის თქმით, ყველაზე საოცარი ისაა, რომ ოლეგ კეშელავას ბრალი აქვს წაყენებული საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 315-ე მუხლით, რომელიც ითვალისწინებს სახელმწიფო შეთქმულებას, მისი წყობილების დამხობას ძალადობრივი ნიშნით.

– ჩემი დაცვის ქვეშ მყოფს, განსხვავებით სხვებისგან, ბრალში უწერია, რომ შეიკრიბნენ რა ყინწვისში, გადაწყვიტეს სახელმწიფო გადატრიალება ძალადობრივი გზით. ამ დროს ოლეგ კეშელავა ყინწვისში, საერთოდ, არ იყო.

პირველი ბრალის ფაბულა, რომელიც საქმის მასალებს აბსოლუტურად არ შეესაბამებოდა, იყო ის, რომ კაცს აბრალებდნენ სახელმწიფო გადატრიალებაში მონაწილეობას და მტკიცებულება არ იყო.

არსებობს კანონმდებლობა და მტკიცებულება. როდესაც ბრალს ადგენს პროკურორი, იქ უნდა იყოს მითითებული დრო, გარემოება და ვითარება. იქ ამ მუხლში გვიწერია, რომ აღნიშნული შეიძლება მიუყენო პიროვნებას ბრალად, თუ მოხდა საიდუმლო შეთანხმება ამ პირებს შორის.

რას ნიშნავს საიდუმლო შეთანხმება? საიდუმლო შეთანხმება ნიშნავს იმას, რომ ყოველ ჩვენთაგანს, ვინც ვართ, დავუშვათ, აჯანყებაში თუ ამბოხებაში მონაწილე, გარკვეული როლი უნდა შეგვესრულებინა. აი, ერთს რაღაც მანქანა უნდა მოეყვანა, მეორეს – გარკვეული იარაღი უნდა მოეტანა. მინდა სრული გულწრფელობით გითხრათ, რომ მსგავსი რამ სისხლის სამართლის საქმის მასალებში არ არის, – ამტკიცებს ვახტანგ თალაკვაძე.

ვახტანგ თალაკვაძის განცხადებით:

– კიდევ უფრო უცნაური ისაა, რომ ოლეგ კეშელავა ყინწვისში იმ ხალხის დაკავებიდან მესამე დღეს, ქალაქ თბილისში დააკავეს. ასეთი გამოძიების პირობებში ძალიან მიჭირს ხოლმე გაგება, ვის რა მოსაზრება ჰქონდა, მაშინდელი ხელისუფლების ძალისმიერი სტრუქტურების ხელმძღვანელებს ვის რა ჰქონდა ტვინში და როგორ ახორციელებდნენ ხალხის დაპატიმრებას, მაგრამ ეს ნათლად გამოჩნდა ციხის კადრებით. ამაზე ზედმეტს არ ვისაუბრებ, ეს საზოგადოებამ იცის.

– კაცი დააპატიმრეს და, როცა მიიყვანეს დასაკითხად, არ იცოდნენ, რა უნდა ეკითხა გამომძიებელს. გამომძიებელი თვითონ დარბოდა პროკურორთან, ეს რატომ გყავთ, ან რატომ უნდა დავკითხოთო. ძალიან კარგად მახსოვს დაპატიმრების პირველი დღეები, როცა მე წინასწარი დაკავების საკანში ბატონ ოლეგთან ჩავედი. ამ ჯგუფში ცნობადი სახე იყო ორი კაცი. ერთ-ერთი გახლდათ ბატონი ოლეგ კეშელავა, რომელიც სიგუას მთავრობაში კავშირგაბმულობის მინისტრი იყო. ძველ ხელისუფლებაში, ძალოვან სტრუქტურებში და სხვაგან, ზოგი ცნობადი სახე იყო, ზოგი – უცნობი. აქედან გამომდინარე, ჩემი აზრით, ვიღაც უნდა ყოფილიყო ამ საქმის წამყვანი. თუმცა, სხვა პიროვნებებს არანაირად არ ვაკნინებ. ამიტომ ოლეგ კეშელავა, ცნობადობის და მისი პიროვნების გამო, წინა ხელისუფლებისთვის საინტერესო იყო და ნახეს გამოსავალი.

ოლეგ კეშელავა, ყოფილი მინისტრი, გარკვეულწილად, იმ ხელისუფლების მიმართ კრიტიკულად იყო განწყობილი და მხოლოდ და მხოლოდ ეს მომენტი გამოიყენეს.

ოლეგ კეშელავა ყინწვისში არ იყო და იქ როგორ დააკავებდნენ. აკავებენ თბილისში და მხოლოდ და მხოლოდ ამის შემდეგ უყენებენ ბრალს. ყველა ბრალს თან სდევს საიდუმლო შეთანხმების პირობები, ვის რა როლი უნდა შეესრულებინა. ასეთი შეთანხმება არ მომხდარა და ბრალი ხელოვნურად შეთითხნეს, – ასკვნის ადვოკატი ვახტანგ თალაკვაძე.

ვახტანგ თალაკვაძისა და სხვა ადვოკატებისთვის გასაოცარი იყო ის, რომ ტაქსის მძღოლი, რომელმაც ამ საქმის ზოგიერთი მონაწილე მიიყვანა, მაგრამ ის საერთოდ არ იცნობდა მისი მანქანის მგზავრებს, დააპატიმრეს. ამ საქმესთან დაკავშირებით ბრალად მასაც შეთქმულება წაუყენეს და 4 წელი მიუსაჯეს.

– როცა ჩვენ ეს ფაქტები გავახმაურეთ და ადამიანის უფლებათა დაცვის ორგანიზაციებში განიხილებოდა, ყველა დარწმუნდა, რომ ეს ადამიანები მართლა პოლიტიკური ნიშნით იყვნენ დაპატიმრებულები. სწორედ ეს გახლდათ საფუძველი იმისა, რომ პარლამენტმა განიხილა და პოლიტპატიმრის სტატუსი მიანიჭა. მიმაჩნია, რომ ეს იყო ერთადერთი სწორი გადაწყვეტილება, რომლითაც შეიძლებოდა გამოსულიყო.

ოლეგ კეშელავა ამბობს, რომ ის არც დაუკითხავთ, გამოძიება საერთოდ არ ჩატარებულა, ისე შესთავაზეს შეთანხმება, შეთქმულებაში მონაწილეობის თაობაზე აღიარების სანაცვლოდ, რაც მისთვის დიდი უზნეობა იყო.

– მტკიცებულებები ჩემ მიმართ არაფერი არ იყო. გამოძიებაც, ფაქტობრივად, არ ჩატარებულა. გამომძიებელს საერთოდ არ დავუკითხივარ. ორი პროკურორი და ერთი გამომძიებელი, რომელიც ოფიციალურად ითვლებოდა გამომძიებლად, მოვიდნენ ჩემთან პირდაპირ შეთანხმების წინადადებით, მოაწერ ხელს, ეგ მუხლი 5-დან 8 წლამდე ითვალისწინებს, მაგრამ მოგცემთ 4 წელს, წინააღმდეგ შემთხვევაში, მოგცემთ 8 წელს. ასეთი გარიგებებით მოვიდნენ. ასეთი შემოთავაზება დიდი უზნეობა იყო და ჩემთვის მიუღებელი გახლდათ, აცხადებს ოლეგ კეშელავა.

რა ხდებოდა ციხეში და იყო თუ არა ზეწოლა? ამ კითხვაზე ოლეგ კეშელავამ განაცხადა, რომ პატიმრებზე სასწაულად დიდი ზეწოლა ხდებოდა.

– ციხეში პატიმრებზე სასწაულად დიდ ზეწოლას ახდენდნენ. ციხეში ისეთი სიტუაცია შექმნეს, რომ ჯოჯოხეთი იყო. იქ ნამდვილად ჯოჯოხეთი იყო. პოლიტპატიმრები მხოლოდ ჩვენ კი არ ვართ, ციხეში არის უამრავი ხალხი, რომელიც პოლიტიკურ სიტუაციას შეეწირა და სულ ტყუილად ზის იქ. სასწაულები ხდება და აუცილებლად არის მისახედი. მაგალითად, ჩემთან ერთად საკანში იყო 67 წლის პროფესორი, რომელსაც დანაშაული არ აქვს ჩადენილი, მოდავე არ ჰყავს და 7 წელი ციხე აქვს მისჯილი.

ერთი სიტყვით, უზნეოთა ზეობა იყო. ახლა ეს ყველაფერი უნდა გასუფთავდეს. ალბათ, ამას ძალიან დიდი ენერგია დასჭირდება. ძალიან დიდი ენერგია დასჭირდება ჩვენს (23 კაცის) რეაბილიტაციას. ამ ხალხს მე, საერთოდ, არ ვიცნობდი. ერთადერთი, მხოლოდ ურთიერთობა მქონდა ნიკასთან. ნიკამ დამპატიჟა, როცა ორგანიზაციის დამფუძნებელი კრება იყო. როცა ახალგაზრდა დაგპატიჟებს ისეთი ორგანიზაციის დაფუძნებაზე, რომელსაც ჰქვია „უფლისა და სამშობლოსათვის“, ამაზე კარგი რა შეიძლება იყოს. ამიტომ სიამოვნებით მივედი. ჩემს გარდა იქ იყო უამრავი მიწვეული სტუმარი – ალბათ – 200 კაცი, საკმაოდ ცნობადი სახეები. ჩემზე არჩევანი რატომ გაკეთდა, არ ვიცი. ერთი მომენტი კი არის, ორი დღით ადრე მე ნიკას შევხვდი. ნიკა მანამდე წასული იყო იმ ხეობაში მოსავლელად. 24-ში ჩვენ 5 წუთით შევხვდით. მე გორის რიონისკენ ჩამოვიარე, ჩემს მეგობრებთან ერთად ვიყავი და 5 წუთიანი შეხვედრა იყო. თუ შეიძლებოდა ამის რაღაცნაირად მიბმა, არ ვიცი, განაცხადა ოლეგ კეშელავამ, რომელიც სააკაშვილისა და მისი ჯგუფის ერთ-ერთი მსხვერპლი გახლავთ.

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# სოლომონ პავლიაშვილი: „ვერ წარმომიდგენია, 1 მლრდ როგორ უნდა ჩაიდოს სოფლის მეურნეობაში“

შორენა კოწოწაშვილი

**ეკონომიკური ექსპერტი სოლომონ პავლიაშვილი მნიშვნელოვანს უწოდებს სოფლის მეურნეობაში 1 მლრდ-იან სუბსიდირებას, რასაც წინასაარჩევნო პერიოდში სოფლის მოსახლეობას „ქართული ოცნების“ ლიდერი ბიძინა ივანიშვილი დაპირდა. პავლიაშვილი ფიქრობს, რომ აგრარული კუთხით ხელისუფლებამ ისეთი პოლიტიკა უნდა გაატაროს, რომელიც დღეს ფერმერს და გლეხს ფეხზე დააყენებს, სამომავლოდ ეფექტურად წარმართავს თავის საქმიანობას სწორად გამოყენებული სახელმწიფო სუბსიდიის პირობებში.**

**რამდენად გამოკვეთილია ამ სოფლის მეურნეობის სამინისტროს მხრიდან სწორი აქცენტები და რაზე უნდა იფიქროს ხელისუფლებამ ქვეყნის გარეთ ბაზრების ათვისებისას? — ამ საკითხების ირგვლივ გთავაზობთ ინტერვიუ „თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის“ რექტორ, პროფესორ სოლომონ პავლიაშვილთან.**

***— ბატონო სოლომონ, საპარლამენტო უმცირესობა ამტკიცებს, რომ ივანიშვილის მთავრობა წინასაარჩევნო დაპირებებს ვერ ასრულებს. დღეს ვანო მერაბიშვილი ამტკიცებს, რომ ხელისუფლება საბიუჯეტო კრიზისის წინაშე დგას. რას იტყვით ამასთან დაკავშირებით და, საერთოდ, იმ პროცესზე, რომელიც ხელისუფლების შეცვლის შემდგომ ეკონომიკური კუთხით იკვეთება?***

— ვფიქრობ, სწორი იქნება ამ ეტაპზე ყველამ თავი შევიკავოთ კრიტიკული განცხადებებისგან იმიტომ, რომ ჯერ სამი თვეც არ არის, რაც ახალი ხელისუფლება მოვიდა. ამიტომ ამ ეტაპზე კრიტიკული განცხადებების გაკეთება არასწორი იქნება. ჯერ ვერც ვხედავთ, რაზე უნდა გავაკეთოთ კრიტიკული განცხადებები, იმიტომ, რომ ჯერ არ ჩანს ნაბიჯები, რომელიც კრიტიკულ განცხადებებს გამოიწვევდა. ვფიქრობ, ამ ეტაპზე ყველას შეუძლია ხელისუფლებას მისცეს გარკვეული სახის რეკომენდაციები, რომელიც პოლიტიკურად იმოქმედებს ქვეყნის განვითარებაზე. შეიძლება ვისაუბროთ მიმართულებების კუთხით, მაგალითად, მაკროეკონომიკური მდგომარეობის გაჯანსაღებისთვის, რა რეკომენდაციები შეიძლება გაიცეს; შეიძლება ვისაუბროთ განათლების სისტემის, იგივე სოფლის მეურნეობის უკეთესი განვითარებისთვის. მათ განცხადებებს ამ ეტაპისთვის მხოლოდ და მხოლოდ სარეკომენდაციო ხასიათი შეიძლება ჰქონდეს. რა თქმა უნდა, კრიტიკას ვერავინ ვერავის აუკრძალავს, მაგრამ ყოველ შემთხვევაში, ამ ეტაპზე მხოლოდ რეკომენდაციების რეჟიმში უნდა ვიყოთ. რეკომენდაციები უნდა იყოს პოზიტიური და ვფიქრობ, ხელისუფლების მხრიდანაც უნდა იყოს იმ ადამიანების გამოცდილების გაზიარება, ვისაც მეცნიერულ დონეზე, ხელისუფლებაში ყოფნის პერიოდში და ა.შ. გარკვეული დონის გამოცდილება დაუგროვდა. როცა ყველაფერი კრიტიკაში გადადის, ეს უკვე თანდათან პოლიტიკურ განცხადებებს ემსგავსება, ვიდრე ეს არის რეალური ექსპერტული შეფასებები.

***— ანუ დღეს ივანიშვილის ხელისუფლების კრიტიკა დისკრედიტებული ნაციონალების სამსახურში ჩადგომას ნიშნავს?***

— ამ ეტაპზე ხელისუფლების კრიტიკა იმას ნიშნავს, რომ ეს არ არის ეკონომიკური შეფასება და ვერც იქნება. ამ შემთხვევაში ყველა კრიტიკას აქვს პოლიტიკური შეფასების ხასიათი. სხვანაირად, ამ ეტაპზე კრიტიკის ეკონომიკური საფუძველი არ არსებობს. როცა აპრიორში უარყოფითად აფასებს, ეს უფრო პოლიტიკური განცხადებაა, ვიდრე წმინდა ექსპერტული შეფასება.

***— რას ნიშნავს ვანო მერაბიშვილის განცხადება საბიუჯეტო კრიზისთან დაკავშირებით. ეს საზოგადოებაში მხოლოდ უკმაყოფილებას გააჩენს თუ რეალობასთან ახლოსაა?***

გაგრძელება მე-5 გვერდზე

## მოსკოვში „დედ ჰასანი“ მოკლეს

მოსკოვის ცენტრში, პოვარსკის ქუჩაზე, გუშინ კრიმინალური ავტორიტეტი ასლან უსოიანი, იგივე „დედ ჰასანი“ მოკლეს.

„ინტერფაქსის“ ინფორმაციით, რომელიც თავის მხრივ, მოსკოვის ძალოვანი სტრუქტურების წყაროს ეყრდნობა, „დედ ჰასანი“ რესტორნის შესასვლელთან ჩაცხრილეს.

უსოიანი სასწრაფო დახმარების ბრიგადამ ბოტკინის საავადმყოფოში გადაიყვანა, თუმცა 75 წლის ავტორიტეტის სიცოცხლის გადარჩენა ველარ მოხერხდა.

რუსეთის შინაგან საქმეთა სამინისტროს, მოსკოვის სამმართველოს პრესსამსახურის ინფორმაციით, მკვლელი, რომლის ვინაობაც ჯერჯერობით უცნობია, ოპტიკურ სამიზნიანი სნაიპერული შაშხანით ისროდა.

მოსკოვის ცენტრში, „დედ ჰასანზე“ თავდასხმისას დაზარალდა აგრეთვე ერთი ქალბატონი, რომელიც ფეხში დაიჭრა.

**ნიუსპრესი**

# ნანა კაკაბაძე: „დარჩიაშვილს მხედრიონზე ლაპარაკის უფლება არ აქვს“

**ადამიანის უფლებათა დამცველმა ნანა კაკაბაძემ და პოლიტპატიმრებმა ოკუპაციის მუზეუმში პრესკონფერენცია გამართეს და მოითხოვეს, რომ პოლიტპატიმრების საქმეებს გრიფით საიდუმლო მოეხსნას. პრესკონფერენციაზე გაკეთებული განცხადებების შემდეგ უმცირესობის წარმომადგენელმა დავით დარჩიაშვილმა ნანა კაკაბაძეს არასახელმწიფოებრივად მოაზროვნე ადამიანი უწოდა. მისივე თქმით, კაკაბაძე მთელი ცხოვრება მხედრიონთან იყო და ახლა გახდა ადამიანის უფლებათა დამცველიო.**

**„ახალი თაობა“ ნანა კაკაბაძეს დაუკავშირდა და დარჩიაშვილის განცხადებებზე კომენტარი სთხოვა.**



ნონა ცაბაძე

***— ქალბატონო ნანა, დავით დარჩიაშვილმა არასახელმწიფოებრივად მოაზროვნე ადამიანი გიწოდათ. მთელი ცხოვრება მხედრიონთან იყოო... როგორ შეაფასებდით მის გამონათქვამებს, რატომ გახდა უმცირესობა ასეთი აგრესიული თქვენ მიმართ?***

— ჯერ ერთი, დარჩიაშვილის განცხადება, ის რაც მან იკადრა, იყო მართლა უზნეო ადამიანის განცხადება. მას წლების განმავლობაში ჰქონდა ჩემთან ურთიერთობა. როდესაც მთელი მხედრიონი იყო ციხეში და მან გადასარევად იცოდა, რომ მე და ჩემი ორგანიზაცია ჩართული ვიყავით ამ პროცესში და მთლიანად ვიცავდით მხედრიონში მონაწილე პირებს, მან ეს ძალიან კარგად იცოდა და სწორედ ამ პერიოდის მერე ჰქონდა მას ჩემთან არაჩვეულებრივი ურთიერთობები. როდესაც ის წიგნს წერდა მხედრიონთან დაკავშირებით, სწორედ ნანა კაკაბაძე იყო ის, როგორც შემეძლო ყველანაირად ვეხმარებოდი და გვერდში ვედექი, რომ მისი პროექტი შესრულებულიყო. დღეს კი გამოდის და ასეთ განცხადებებს აკეთებს. სწორედ ეს არის დიდი უზნეობა. ნამდვილად ვერ ვიფიქრებდი, რომ ის ასეთ ადამიანად იქცეოდა, თუნდაც მას მერე, რაც ის ხელისუფლებაში წავიდა. რას ვიზამთ, ეს მის სინდისზე იყოს.

***— რა საფუძველი ჰქონდა იმისა, რომ ის ასე მოქცეულიყო?***

— საფუძველი ჰქონდა ის, რომ დაინახა მისი რეჟიმი, მისი ხელისუფლება თანდათან შიშვლდება და ამ პროცესში ნანა კაკაბაძეს აქვს თავისი წვლილი შეტანილი, რომ ერთხელ და სამუდამოთ გაშიშვლდნენ და საზოგადოებამ, როგორც ქვეყნის შიგნით, ისე ქვეყნის გარეთ, დაინახოს თუ ვინ იყვნენ ესენი და რა იყვნენ. რაზეც ჩვენ ვსაუბრობთ, ეს არის ფაქტები და არა რაღაც ყურით მოთრეული. ახლა არ გაუგია მას ჩემი მხედრიონთან ურთიერთობა და არც არავისთან, ვისაც მე მთელი ჩემი ცხოვრების მანძილზე ვიცავდი, ან ვისთანაც მქონდა ურთიერთობა, არავისთვის არაფერი დამიმალია ჩემს ცხოვრებაში და არც დავმალავ, იმიტომ, რომ არ ვთვლი, რომ ეს არის დასამალი. თუ თვითონ ასე მიაჩნდა, მაშინ რატომ ჰქონდა ურთიერთობა ამ ადამიანებთან თუ მათი ქმედებები არასწორედ მიაჩნდა. როდესაც არასამთავრობო ორგანიზაციაში იყო, მაშინ ეს ყველაფერი ნორმალურად მიაჩნდა და როდესაც ხელისუფლებაში წავიდა, ასე აღარ ფიქრობდა. დღეს კი ეს ყველაფერი სპეკულაციისთვის დასჭირდა. მხედრიონი კი არა, ფაშისტური რეჟიმი მოანატრა საქართველოს ნაციონალურმა მოძრაობამ. კონცლაგერებში არ უკეთებიათ, რასაც ესენი აკეთებდნენ და ამაზე ილაპარაკოს რა! მხედრიონზე უნდა ილაპარაკონ იმ ადამიანებმა, ვისაც ამაზე საუბრის უფლება აქვთ. მაგათმა რეჟიმმა ისეთი რამ გააკეთეს საქართველოში, რომ მხედრიონზე კი არა, ფაშიტებზე არ შეუძლიათ რაიმე თქვან. სტალინის რეჟიმზეც კი აღარა აქვთ უფლება რაიმე თქვან. მოისმინეთ, რას ყვებიან ციხიდან გამოსული ადამიანები. განა ჩემთვის უცხო იყო რაც იქ ხდებოდა და რასაც ესენი სჩადიოდნენ, ან ის, როგორი პოლიტიკური რეპრესიები იყო ქვეყანაში და როგორ იჭერდნენ, მაგრამ უშუალო შეხებაში რომ შედიხარ ამ ადამიანებთან და ამ კონკრეტულ ისტორიებს ისმენ, ამისი ატანა, ამისი გაძლება არის აბსოლუტურად შეუძლებელი. ამ ფონზე ის კიდევ უფლებას აძლევს საკუთარ თავს, რომ ვიღაცა სხვებისკენ გაიშვიროს ხელი და მხედრიონი და კიდევ რაღაცები იხსენოს.

***— ქალბატონო ნანა, პოლიტპატიმრებს რაც შეეხება, თქვენ ერთობლივი პრესკონფერენცია გამართეთ. რა მოთხოვნები აქვთ მათ და რას აპირებენ სამომავლოდ?***

— სხვათა შორის, პოლიტპატიმრებიც ხედავენ ამ სიბინძურეს, რასაც ხელისუფლება აგროვებს მათ წინააღმდეგ, რომ ქვეყნის მოღალატეები, ტერორისტები, გადამტრიალებლები და, ბუნებრივია, ამ ხალხს უნდა, რომ ქართულმა საზოგადოებამ იცოდეს ყველაფერი, იცოდეს სიმართლე და აქედან გამომდინარე, პირველი, რასაც ისინი მოითხოვენ, არის ის, რომ აეხსნას გრიფით საიდუმლო მათ საქმეებს.

***— როგორია პროკურატურის პოზიცია ამასთან დაკავშირებით?***

— მე გუშინ რადიო პალიტრაში შევხვდი არჩილ კბილაშვილს, ის გამოდიოდა და მე შევდიოდი გადაცემაში და მე მას პერსონალურადაც ვთხოვე, რომ როგორმე დაინტერესდნენ ამ საქმეებით. ახსნან გრიფით საიდუმლო. თუმცა ის იმბობდა, რომ იქნებ ამ საქმეებში არის ისეთი რაღაც, რისი გამომზეურებაც არ შეიძლება. მაგალითად, იგივე ის სქემები, როგორ იშიფრება აგენტები და ასე შემდეგ, იქნება ეს სახელმწიფოსთვის საზიანოაო. მე მაშინ მას ვუთხარი, რომ შექმენით კომისია პროკურატურიდან, შინაგან საქმეთა სამინისტროდან, უშიშროებაც დასხდნენ, ჩაიხედონ ამ საქმეებში და როცა დარწმუნდებიან, რომ აქ სახელმწიფოსთვის საზიანო კი არა, საერთოდ არაფერი რომ არ არსებობს ამ საქმეებში, მხოლოდ ამის მერე მიიღონ გადაწყვეტილება. ან თქვან, ერთი მხარეა სწორი, რომელიც იძახის, რომ მოხსენი გრიფით საიდუმლო თუ მეორე მხარეა სწორი, რომელიც ამ გრიფით საიდუმლოს არ ხსნის. უბრალოდ, ჩაიხედონ ამ საქმეებში. იქ იყვნენ ისეთებიც, რომლებიც ამბობდნენ, სამი ვაჟის მამა ვარო, თუმცა სხვები ამბობდნენ, რა მნიშვნელობა აქვს, ბიჭი გყავს თუ გოგო, ერთი თუ ორი, შვილების მამები ვართ და ამ ხალხს აჰკიდეს უმძიმესი ბრალდებები. ეს ხომ არც კორუფციაა, არც ეკონომიკური დანაშაული, აჰკიდეს სამშობლოს ღალატი, ჯაშუშობა საკუთარი ქვეყნის წინააღმდეგ. ეს იცით როგორი რაღაცაა, რომ ფსიქოლოგიურად შეიძლება ბევრმა ამას ვერ გაუძლოს. ესენი ითხოვენ, ახსენით ხალხნო გრიფით საიდუმლო და მოგვეცით საშუალება, ჩვენმა შვილებმა ყველაფერი იცოდნენ. იცოდნენ რეალობა. საზოგადოების, არასამთავრობოების და მედიის ვალიც ეს არის, რომ ამ ხალხს გვერდით დავუდგეთ და შევძლოთ ის, რომ ეს გამოძიება და შემდეგ სასამართლოები გახდეს ღია, საჯარო და საზოგადოებამ იცოდეს, რა ხდებოდა ამ საქმეებზე. აი ეს არის სწორედ ის, რაც დარჩიაშვილს აძლევს საშუალებას ასე ილაპარაკოს. ის რომ ამ საქმეებზე ჯერ კიდევ არ არის გრიფით საიდუმლო მოხსნილი. როგორც კი გრიფით საიდუმლო მოეხსნება, გარწმუნებთ, რომ ვერც ერთი მათგანი ხმას ველარ ამოიღებს. მთავარია, ჩვენ ეს პროცესი როგორღაც დავძრათ გაყინული ადგილიდან და აეხსნას ამ საქმეებს გრიფით საიდუმლო. მერე როგორ ილაპარაკებს დარჩიაშვილი, მაგასაც დავინახავთ. აი, ეს არის ერთადერთი მექანიზმი. მე მესმის, რომ დღეს ამას ლობირებს ის უმცირესობა, რომელიც საკმაოდ ძლიერია დღესაც, მაგრამ თუ მთელი საზოგადოება ამას მოინდომებს, მე მგონი, ამის ლობირებას ველარ შეძლებენ.

***— თქვენ ფიქრობთ, საზოგადოების მოთხოვნა თუ იქნება, პროკურატურა წავა ამაზე?***

— უნდა წავიდეს, იმიტომ, რომ ეს არის საჯარო ინტერესი და ჩვენ ვიძახით, რომ შექმნან შიდა კომისია, შეისწავლოს ამ კომისიამ და მხოლოდ მას მერე, როდესაც დარწმუნდება, რომ არანაირი საფრთხის შემცველი არ არის ქვეყნისთვის და შიგ საერთოდ არაფერი არ არის, აი, ამის მერე ახსნან ეს გრიფით საიდუმლო და მისცენ ამ ხალხს იმის საშუალება, რომ იცხოვრონ ამ ქვეყანაში.

***— ქალბატონო ნანა, თქვენ იცით, რომ მეგის ქარდავასთან დაკავშირებით პროკურატურამ სკანდალური ვიდეოჩანაწერები გამოაქვეყნა. უმცირესობის და ზოგიერთი არასამთავრობო ორგანიზაციების მხრიდან ისმის განცხადებები, რომ ეს არის ჰომოსექსუალისტების უფლებების შელახვა. თქვენ რას იტყოდით ამასთან დაკავშირებით, როგორც უფლებათა დამცველი, რა დროს უფრო ილახებოდა მათი უფლებები?***

— უმცირესობის ასეთი შეფასებები არის გამაღიზიანებელი და რატომ, მათ ეს უფლებები რატომ არ ახსენდებოდათ მაშინ, როდესაც თვითონ არღვევდნენ ამ უფლებებს ტელევიზიებითა თუ სხვა საშუალებებით. გამოდიოდნენ და რას არ აბრალებდნენ უდანაშაულო ადამიანებს და რა კადრებს არ აქვეყნებდნენ. დღეს როგორ ლაპარაკობენ ეგენი საერთოდ ადამიანის უფლებების დარღვევებზე მას მერე, რაც საზოგადოებამ თუნდაც ციხის კადრები ნახა. დღეს ესენი სხვა კადრებზე როგორ ლაპარაკობენ და რატომ ეძლევათ დღეს ამის საშუალება. რატომ არ ხვდებათ თუნდაც საზოგადოებიდან ის წინააღმდეგობა, იმიტომ, რომ მათ ამის შეფასების უფლებაც არა აქვთ. მათ ჩაიდინეს ისეთი დანაშაულებები ქვეყნის წინაშე, რომ ეს სიმართლეც რომ იყოს, გააჩნია ამ სიმართლეს ვინ ლაპარაკობს. ამას როდესაც უსინდისო ადამიანები ლაპარაკობენ, რომლებსაც თავის დროზე ეს ადამიანის უფლებები და ღირებულებები დასჭირდათ იმისთვის, რომ ძალაუფლება ხელში ჩაეგდოთ და არა იმიტომ, რომ ეს მათთვის ღირებული იყო. 2003 წელს, როდესაც ხელისუფლებაში მოდიოდნენ, მხოლოდ კერძო მერკანტილური ინტერესები ამოძრავებდათ. ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ კი დაგვანახეს, რომ მათთვის ეს ღირებულებები საერთოდ არ არსებობდა. მათთვის ეს არსებობდა, როგორც იარაღი და დღესაც, ხალხო, ისინი ამას იყენებენ საზოგადოების წინააღმდეგ იარაღს საკუთარი თავის დასაცავად და საზოგადოების დაბნეულობაში შესაყვანად და არა იმიტომ, რომ მათთვის ეს ღირებულია. ამაზე შეიძლება ილაპარაკონ იმ ადამიანებმა, ვისაც ეს პრობლემა მართლა აწუხებს და ვისთვისაც ეს მართლაც მნიშვნელოვანია. ეს მათთვის ღირებული კი არ არის და რამეს კი არ ნიშნავს, ეს არის ისევ და ისევ ის იარაღი, რომელსაც ისინი იყენებდნენ 2002 და 2003 წლებში იმისათვის, რომ ძალაუფლება ჩაეგდოთ ხელში. მათ მიერ გაკეთებული შეფასებები დღეს ჩემთვის არაფერს არ წარმოადგენს, იმიტომ, რომ ზუსტად ვიცი, ისინი დღეს არანაირ ადამიანის უფლებებს პატივს არ სცემენ და ეს მათთვის არის ფარი იმისათვის, რომ თავიანთი ბინძური საქმეები დაფარონ და გაიხანგრძლივონ ხელისუფლებაში ყოფნა და არა ის, რომ მათ ასეთი საკითხები აღელვებთ.

***— როგორ ფიქრობთ, რამდენად კიდევ უფრო საშიშ სახეს ღებულობს დღეს ნაციონალური მოძრაობა ჩვენი ქვეყნისთვის. ჩვენ ვხედავთ თუ როგორ ამწვავებენ ვითარებას რეგიონებში, როგორ ნიშნავენ ახალ გუბერნატორებს იმისთვის, რომ მართონ რეგიონები. ეს რამდენად სახიფათოა ქვეყნისთვის?***

— იცით რა, ეს არის დესტრუქციული ძალა, რომელიც ქვეყანაში ორხელისუფლებიანობის დამყარებას ცდილობს და ეს ორხელისუფლებიანობა არის ის, რაც ქვეყნის დაღუპვისკენ არის მიმართული. ყველაფერს აკეთებენ ამისათვის. სხვისკენ იშვერენ ხელს, იმიჯს ულახავენ ქვეყანასო და რეალურად თვითონ არიან ის ძალა, რომელიც არა მარტო იმიჯს ულახავს, არამედ ეკონომიურად, პოლიტიკურად, ყველანაირად ცდილობენ, რომ საქართველო დააკნინონ, დაამცირონ და ამით შური იძიონ ქართველ ხალხზე, რომელმაც მხარი არ დაუჭირა არჩევნების დროს და რომელმაც გაიმარჯვა ბოროტებაზე. აი, ამ ქართველ ხალხზე უნდათ შური იძიონ და ყველაფერი აქვთ ამისკენ მიმართული. ამიტომ ისევ ხალხს მართებს გონიერება და გამოფხიზლება და მართლაც ყველანაირი წინააღმდეგობის გაწევა, რაც კანონით არის გათვალისწინებული, რომ მათ ვერ შეძლონ ის რევანში, რომლისთვისაც ემზადებიან.

***— თქვენ ფიქრობთ, რომ ახალ ხელისუფლებას არა აქვს იმის ბერკეტები, რომ საბოლოოდ ჩამოიშოროს ეს ძალა?***

— ალბათ აქვს, მაგრამ მარტო იმის ყურება, ახალ ხელისუფლებას რისი საშუალება აქვს, ეს არც მორალურად არის სწორი და არც პოლიტიკურად. ჩვენ ვართ ის ხალხი, რომლებმაც შევძელით და გავთავისუფლდით ამ რეჟიმისაგან და ჩვენ უნდა ვიყოთ ის ხალხი, რომ ახალმა ხელისუფლებამაც უნდა იცოდეს, რომ აქ საზოგადოების წვლილია იმაში, რომ ნაციონალები აღარ არიან ხელისუფლებაში და საზოგადოების წვლილი იქნება იმაშიც, რომ ესენი ბოლომდე წავიდნენ ამ ქვეყნიდან.

# აკაკი ბობოხიძისთვის კვერცხის სროლა 100 ლარი ღირს

## დღეს ქუთაისში ნაციონალებს საგანგებოდ დაიცავენ

შორენა მარსაგიშვილი



ჩვენს საყვარელ ზუგდიდს პოლიტიკური ალიაქოთი დაებედება ამ წელს. 15 იანვარს, ბედობა დღეს, აქ ამბები დატრიალდა, ნატოს წევრ რომელიმე ქვეყანას წლების განმავლობაშიც არ ეღირსება.

ბედობა დღეს, სამეგრელოს გულად წოდებულ ზუგდიდში დეპუტატებმა კონსტიტუციაზე დაიწყეს მსჯელობა. შეხვედრა „დემოკრატიული ჩართულობის ცენტრში“ გაიმართა. კონსტიტუციაზე საუბარს ნაციონალები როგორ გამოაკლდებოდნენ. საპარლამენტო უმცირესობამ იქ ნუგზარ წიკლაური, მარიამ საჯაია, აკაკი მინაშვილი და აკაკი ბობოხიძე მიავლინა. დარბაზი, სადაც განხილვა მიმდინარეობდა, ხალხით იყო გადაჭედილი.

მოულოდნელად დარბაზში ცოცხიანი ქალი შეიჭრა. ის ამ ცოცხს ნაციონალებს უღერებდა. შეხვედრას მეოცნებე დეპუტატებიც ესწრებოდნენ. ცოცხით შეიარაღებული ქალი მათ დარბაზიდან გააძევეს.

ცოტა ხანში დარბაზიდან დეპუტატი ბობოხიძეც გააგდეს. ოღონდ ეს ხალხმა გააკეთა. ბობოხიძე ამის გამო ძალიან გაბრაზდა. გარეთ გაიჭრა, მაგრამ იქ უარესი ამბავი დახვდა. იქ მყოფებმა მას კვერცხები ესროლეს და ცოცხებიც მოუქნიეს. პატრულმა დეპუტატი რის ვაივაგლახით გაარიდა იქაურობას.

იოლი არც სხვა ნაციონალების გამოყვანა იყო. მათ იქაურობის დატოვება პატრულის დახმარებით შეძლეს. სამართალდამცავებმა მათთვის „კორიდორი“ გააკეთეს.

ბობოხიძისთვის კვერცხის სროლა დაგმეს მეოცნებეებმა. ეს ნაციონალებისთვის საკმარისი არ აღმოჩნდა. დეპუტატი გოკა გაბაშვილი დარწმუნებულია, რომ ცოცხიანი და კვერცხებიანი ხალხი იქ „ქართულმა ოცნებამ“ მიიყვანა.

ბედობა დღეს მომხდარ ინციდენტში მონაწილე პირები სამართალდამცავებმა მალევე დააკავეს. მათ არც უცდიათ გაქცევა. პირიქით, ამაყად აღიარებდნენ თავიანთ ნამოქმედარს.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ზუგდიდის რაიონის პოლიციის სამმართველოს უბნის ინსპექტორების განყოფილების თანამშრომლებმა, ადმინისტრაციული წესით, ვერა (ლალი) ანთია და რობერტ გამისონია დააკავეს.

სამინისტროს პრესსამსახურის ინფორმაციით, აღნიშნულმა პირებმა ზუგდიდში „დემოკრატიული ჩართულობის ცენტრის“ ოფისის წინ, ნაციონალური მოძრაობის წევრ აკაკი ბობოხიძეს სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენეს და კვერცხები დაუშინეს.

ზუგდიდის საქალაქო სასამართლოს გუშინდელი განჩინებით, ვერა ანთია და რობერტ გამისონია, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 166-ე (წვრილმანი ხულიგნობა) მუხლის საფუძველზე, ას-ასი ლარით დაჯარიმდნენ.

ლალი ანთიამ აღიარა, რომ პირადად მან მოუქნია საპარლამენტო უმცირესობის წევრს, აკაკი ბობოხიძეს ცოცხი და კვერცხებიც მან დაუშინა. ამის მიზეზად ანთია პარლამენტარის მხრიდან მისი მისამართით პირად შეურაცხყოფას ასახელებს.

– მე მან მომაყენა პირადად შეურაცხყოფა და დემოკრატიული ჩართულობის ცენტრში შესვლისას ზუგდიდელებს შეგვაგინა. ამიტომ გადავწყვიტე მეყიდა კვერცხები და გამოსვლისას მისთვის მესროლა. ამით მე გამოვხატე ჩემი საპასუხო რეაქცია პარლამენტარის შეურაცხყოფაზე, – აცხადებს „ფრონტ ნევს“-თან საუბრისას ლალი ანთია.

ნაციონალები წესით კმაყოფილები უნდა იყვნენ, მათი შეურაცხყოფისთვის ხალხი რომ დასაჯეს. გასული წლის 19 დეკემბერს ქუთაისშიც მოხდა მსგავსი ინციდენტი. ოღონდ მაშინ აკაკი მინაშვილს დაუშინეს ქვები ქუთაისელებმა. შსს-მ ქვისმსროლელი ქუთათურებიც დააკავა. მათაც ას-ასი ლარი გადაახდევინეს.

ძალადობა დასაგმობი ფაქტია და ალბათ კარგია მოძალადეებს სასჯელს რომ აკისრებენ. თუმცა ნაციონალების რეაქციაა გასაკვირი. აბა, ერთი გაიხსენონ, თავად დასაჯეს ვინმე პოლიტიკური ოპონენტის შეურაცხყოფისთვის? აღარ ახსოვთ? კარგით, გაგახსენებთ, 2011 წლის 27 სექტემბერს აკაკი ბობოხიძემ დეპუტატ პეტრე მამრაძეს სახეში მუშტი გაარტყა. ეს პარლამენტის სხდომის მიმდინარეობისას მოხდა. ეს ყველაფერი პირდაპირ ეთერში გადაიცემოდა. ამის გამო ბობოხიძე არავის დაუსჯია. ამ კაცს არც იმაზე უგია პასუხი, წლების წინ ჟურნალისტ ირაკლი იმნაიშვილს, რომ ჩაარტყა სახეში მუშტი.

ზუგდიდში მომხდარ ინციდენტს გუშინ პარლამენტის თავმჯდომარე დავით უსუფაშვილი გამოეხმაურა. მისი შეფასებით, რაც ზუგდიდში მოხდა, ცოტა აქვს საერთო საზოგადოებრივი პოზიციის გამოხატვასთან და კანონთან.

– ნებისმიერ მოქალაქეს აქვს უფლება, კონკრეტულ საკითხთან მიმართებაში, პროტესტი გამოხატოს, მაგრამ გარკვეული ჩარჩოები არსებობს. მოსახლეობას ვთხოვ, რომ საკონსტიტუციო ცვლილებების განხილვის თემატიკით შემოიფარგლონ. ამ საკითხებზე დებატებისა და აქციების გამართვის უფლება არსებობს, მაგრამ განხილვის პროცესს ხელი არ უნდა შეეშალოს. მსგავს ინციდენტებს ცოტა რამ საერთო აქვს ნორმალურ სამოქალაქო პროცესთან და მათ შორის კანონთანაც. მადლობას ვუხდი სამართალდამცავებს, რადგან, როგორც ვიცი, ყველა შესაძლო ზომა მიიღეს, რომ ვითარება არეულობაში არ გადაზრდილიყო და პარლამენტის წევრებს, რომლებმაც ინციდენტისას პარტიული ინტერესებით არ იხელმძღვანელეს, – განაცხადა უსუფაშვილმა.

მისივე თქმით, დღეს კომისია 14:00 საათზე ქუთაისში, სასტუმრო „ბაგრატში“ გააგრძელებს მუშაობას. ის ქუთაისელებს თავის შეკავებისკენ მოუწოდებს და პოლიციას დახმარებას სთხოვს.

– ქუთაისელებს მივმართავ, რომ სხდომის ცივილურ ფორმებში ჩატარება ამ ქალაქისა და თითოეული ჩვენთაგანის ღირსების საქმეა. დამატებით ზომებს მივიღებთ და ადგილზე სამართალდამცავებიც იქნებიან მობილიზებულნი. ყველამ ერთად უნდა დავიცვათ კონსტიტუცია და პარლამენტის ღირსება, – დასძინა უსუფაშვილმა.

დეპუტატ გოკა გაბაშვილის განცხადებით, ხელისუფლება ვერ აცნობიერებს, რომ ხელისუფლებაა და წესრიგი უნდა უზრუნველყოს. დეპუტატის მტკიცებით, მეოცნებეები პროვოკაციის მოწყობით არიან დაკავებული.

– საქართველოს პარლამენტმა იმისათვის, რომ მომავალი დისკუსია და მსჯელობა პარლამენტში საკონსტიტუციო ცვლილებებთან დაკავშირებით სრულყოფილი იყოს, შექმნა საკონსტიტუციო ცვლილებების შემსწავლელი კომისია და საერთაშორისო ორგანიზაციები დაინტერესებული არიან იმით, რომ როგორც უმრავლესობას, ისე უმცირესობას დაეხმარონ ამ ცვლილებების განხილვაში. შესაბამისად, შედგენილია ეს კომისია და უნდა ჩატარებულიყო საკონსტიტუციო ცვლილებების განხილვები. სამწუხაროდ, უნდა ვთქვა, რომ ეს პროცესი ჩაშლის პირას არის, რაც პირველივე შეხვედრაზე დადასტურდა. საკონსტიტუციო საკითხების განხილვის პირველსავე შეხვედრაზე ზუგდიდში, სადაც იმის ნაცვლად, რომ ხელისუფლებას ეზრუნა განხილვას წყნარ და მშვიდ ფორმატში ჩაევლო, სხდომა ჩაიშალა იმის გამო, რომ იქ იყო შეკრებილი „ქართული ოცნების“ აქტივი, რომელმაც ჯერ დარბაზში ჩაშალა შეხვედრა, შემდეგ კი იქ მოაწყო პროვოკაცია, რომელიც ყველანაირ ჯანსაღ პროცესს მთლიანად გამორიცხავს. თუკი მომავალში მსგავსი ფორმატის შეხვედრა დაიგეგმება, მაშინ ალბათ, უნდა იმსჯელონ საპარლამენტო უმცირესობის მონაწილეობის აუცილებლობაზე ამ კომისიაში. როცა ჩვენ ვხედავთ, რომ ხელისუფლება ვერ აცნობიერებს, რომ ხელისუფლებაა და წესრიგი უნდა უზრუნველყოს და პირიქით, პროვოკაციების მოწყობით არის დაკავებული, ვხვდებით, რომ სიტუაცია რეგიონებში აბსოლუტურად უკონტროლოა, – აღნიშნა გაბაშვილმა.

# ზურაბ ჯაფარიძე: „რატომ იბარებს გია ხუხაშვილი ბიზნესმენებს?“

შორენა მარსაგიშვილი

ბოლო დროს ყველა გია ხუხაშვილს ლანძღავს. მის სახელს დიდ ინტრიგებს უკავშირებენ. ამბობენ, რომ ახალ ხელისუფლებაში მას მიჰყავს „პარადი“. მასზე ოცნებაშიც ბევრს საუბრობენ და ამბობენ, რომ მან ბევრი ვინმე ჩააჩოჩა. გუშინ კი გია ხუხაშვილის გამო თავი ნაციონალების შედარებით ახალმა სახემ ზურაბ ჯაფარიძემ გაინერვიულა.

მან პარლამენტის სხდომაზე ის კითხვა დასვა, რომელიც მთელ საქართველოს აწუხებს. დეპუტატი ხუხაშვილს ბიზნესმენების დატერორებაში ადანაშაულებს. – ეკონომიკური ზრდის მაჩვენებლის ყველა ციფრი თითქმის ნულამდეა დასული, რაც მიუთითებს იმაზე, რომ ქართული ეკონომიკა რეცესიის მდგომარეობაში იმყოფება. იკლო პირდაპირმა უცხოურმა ინვესტიციებმა და ასევე იკლებს გაცემული სესხების რაოდენობა და ზოგადად ეკონომიკურმა აქტივობამ, ეს ყველაფერი იმაზე მეტყველებს, რომ კერძო სექტორს აღარ აქვს ნდობა და სტაბილურობის განცდა. ეს ნიშნავს იმას, რომ დღევანდელი მდგომარეობით, ნაცვლად იმისა, რომ ხდებოდეს ახალი სამუშაო ადგილების შექმნა, დიდი ალბათობით სამუშაო ადგილები მოიკლებს. მე ვფიქრობ, რომ თუკი ხელისუფლება უახლოეს დღეებში არ გადადგამს სწორ ნაბიჯებს, ხვალ ჩვენი მოქალაქეები კიდევ უფრო მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდებიან, ვიდრე აქამდე იყვნენ. მიზეზი არის გაუაზრებელი რიტორიკა და ქმედებები მთავრობის წარმომადგენლების მხრიდან. ჩვენ ვიცით, რომ ე.წ. ეკონომიკური ექსპერტი გია ხუხაშვილი ზის ჭავჭავაძეზე და იქ იბარებს ბიზნესმენებს, კაცმა არ იცის, რაზე ელაპარაკება. იქნებ, ბოლოს და ბოლოს, ვინმემ აგვიხსნას, რას წარმოადგენს ეს ადამიანი და რატომ იბარებს ბიზნესმენებს. საერთოდ რა ფუნქცია-მოვალეობები აქვს მასზე დაკისრებული ახალ ხელისუფლებას, – განაცხადა დეპუტატმა.

# თემურ შაშიაშვილი: „მადლობა ღმერთს, სააკაშვილი საშიში აღარ არის“

შორენა მარსაგიშვილი

**15 იანვარს საქართველოს პრეზიდენტი ქუთაისს სტუმრობდა. სტუდენტებთან შეხვედრისას პრეზიდენტმა ბევრი ისაუბრა და როგორც სჩვევია, მაგარი სასაცილო რამეებიც თქვა. მთავარი ყურადღება კი ქუთაისის პარლამენტზე გაამახვილა. პრეზიდენტი და მისი ნაცმოძი ამტკიცებენ, რომ ქუთაისს პარლამენტი ჰაერივით სჭირდება.**



ქუთაისელები კი პარლამენტის შენობის დანახვაზე (რომელიც ფორმით გვერდზე წამოგორებულ სამლიტრიან ქილას ჰგავს) ამბობენ: როგორ აკლიხარ თბილისს და რა ზედმეტი ხარ ქუთაისისთვისო. სააკაშვილი კი ამტკიცებს პარლამენტს დედაქალაქში თუ დააბრუნებენ ქუთაისი მოკვდებაო.

ქუთაისში პარლამენტის გადატანას ყოველთვის ეწინააღმდეგებოდა იმერეთში პრეზიდენტის ყოფილი რწმუნებული თემურ შაშიაშვილი. მან არაერთხელ გაიხსენა ის გეგმა, რაც რუსებს ჰქონდათ.

ეს გეგმა რუსებმა 1993 წელს თედო ნინიძეს გააცნეს. თედო ნინიძე რუსებს ასლან აბაშიძემ შეახვედრა აჭარაში. რუსებს საქართველოს ორად გაყოფა სურდათ. ამ გეგმის თამახმად გაყოფილი საქართველოს ერთ-ერთი დედაქალაქი ქუთაისი უნდა ყოფილიყო. სააკაშვილი კი სწორედ ამისკენ მიდის.

სავარდო და სამაისო ქუთაისში სააკაშვილის გაკეთებულმა განცხადებებმა შაშიაშვილი აღაშფოთა. ამასთან „თეთრების“ ლიდერი დარწმუნდა, რომ პრეზიდენტს სერიოზულად უჭირს.

– ქუთაისის უნივერსიტეტის სტუდენტებთან სააკაშვილის შეხვედრის თაობაზე ვიტყოდი – პრეზიდენტის გედის სიმღერა-თქო, მაგრამ ვერ ვამბობ, ჯერ რომელი გედი ეგ მყავს და მერეც, ჩემთვის პრეზიდენტი არც არასდროს ყოფილა. პასუხს გავცემდი, მაგრამ უაზრობას, აბდაუბდას და აბსურდს როგორც ვუპასუხო, არ ვიცი; არად ჩავაგდებდი, მაგრამ ფრიად მასიამოვნა და მადლობა არ ვუთხრა, არ შემიძლია. ჩვენი გასაკეთებელი საქმე თავად გააკეთა, თავად გადადგა ნაბიჯი პრეზიდენტობის მიღმა, პოლიტიკის მიღმა, ჭეშმარიტების მიღმა, – აცხადებს პრეზიდენტის საპასუხოდ „თეთრების“ ლიდერი.

მისი თქმით, არასერიოზული კაცის სიტყვებისთვის სერიოზულ კომენტარის გაკეთება ძნელია. ამის მიუხედავად იმერეთის ექს-გუბერნატორი მაინც აკომენტარებს სააკაშვილის განცხადებებს.

– 1997 წლიდან ვამბობდი და კვლავაც ვამბობ: სააკაშვილი არის გაუწონასწორებელი, არაპროგნოზირებადი, იმპულსური პიროვნება. ღმერთმა უმრავლოს ქუთაისს მოკეთე და ჭირისუფალი, მაგრამ მიშა – ბატონს ქუთაისი სჭირდება (თუმც ვერასდროს გამოიყენა, ვერასდროს დაიმორჩილა), ჩვენ კი – ქუთაისი გვიყვარს. სიყვარული გვათქმევინებს უკვე მეათასედ, რომ ქუთაისი არ არის მხოლოდ იმერეთის ადმინისტრაციული ცენტრი, დასავლეთ საქართველოს ცენტრი, ან საპარლამენტო ქალაქი – როგორც ამას სააკაშვილი დაუღალავად იმეორებს.

ქუთაისი – საქართველოს გამაერთიანებელი ქალაქია ისტორიულად;

ქუთაისი – მნიშვნელობით სახელმწიფოს უძლიერესი ქალაქია აწმყოში;

ქუთაისი – სამეცნიერო, საუნივერსიტეტო, ეკონომიკური ცენტრია მომავლის საქართველოში.

მაგრამ არა პოლიტიკური!, – აცხადებს შაშიაშვილი.

„თეთრების“ ლიდერის განცხადებით, მსოფლიო პრაქტიკამ არ იცის ორ პოლიტიკურცენტრიანი ნორმალური სახელმწიფო.

– მხოლოდ სააკაშვილს და მის გუნდს შეუძლია ქუთაისს უწოდოს – საპარლამენტო დედაქალაქი, ზუგდიდს – საპრეზიდენტო დედაქალაქი, ანაკლიას და კიდევ 17 პუნქტს – საპრეზიდენტო რეზიდენცია და ასე, საბოლოოდ დააქუცმაცოს ისედაც მისგან აფხაზეთ-ცხინვალ დაკარგული, განახევრებული საქართველო, – აღნიშნავს ექს-გუბერნატორი.

მისი თქმით, ქუთაისმა უახლოეს ისტორიაში ორჯერ გადაარჩინა საქართველო სისხლისღვრას და გაახანგრძლივა სოხუმის სიძლიერე.

– ის ყოველთვის იყო ერთიანი საქართველოს ღირსეული ბურჯი. დღეს სააკაშვილს სურს ქალაქი დაუპირისპიროს დანარჩენ საქართველოს და გახადოს განხეთქილების ობიექტი. მადლობა ღმერთს, სააკაშვილი უკვე საშიში აღარაა, არც არასდროს ყოფილა. საშიშია, ვინც მხარს უჭერს, თვალებში შესციცინებს, მის დავალებებს კვლავაც ასრულებს, ვისაც მისი სჯერა, ან თუნდაც, ვინც თავად ასრულებინებს დავალებებს პრეზიდენტადწოდებულს. რაც შეეხება ჩემს მიერ ფანჯრებთან დგომას...იყო დრო ფანჯრებთანაც ვიდექი და იმ ფანჯრებიდან გამონათებასაც ველოდი, მაგრამ ის ერთადერთი დღეს ჩემი მეუღლეა და სხვის ფანჯრებთან ყოფნას, ზოგიერთებისაგან განსხვავებით, აღარასდროს ვაკადრებ თავს.

მე ვიდექი, ვდგავარ და ვიდგები იქ, სადაც დგას ხალხი, რომლის ერთ რიგით შვილად ყოფნის პატივი და ბედნიერება მარგუნა ბუნებამ. სწორედ ამ ხალხს განზრახ უთიშავდა ელექტროენერგიას, უგვიანებდა პენსიებს და ხელფასებს ის პოლიტიკური გუნდი, რომლის გენერალური მდივანი მიხეილ სააკაშვილი გახლდათ. და ამას აკეთებდნენ მიზანმიმართულად, განგებ, ავი ზრახვით, რათა მაშინ ხალხი აბობოქრებულიყო, ხოლო შემდეგ იმავე ხალხთან დაეკვეხნათ ახალი ცხოვრების შენება. საქართველოში როცა დენი არ იყო, სწორედ მათი განკარგულებით უნამუსოდ იღვრებოდა წყალსატევებიდან წყალი და არ ხდებოდა ელექტროენერგიის გამომუშავება. სწორედ სააკაშვილის გენერალური მდივნობისა და იუსტიციის მინისტრობის წლებში არაერთხელ გამაკრიტიკეს ქუთაისის თვითნებურად, მათ დაუკითხავად ჩართვებისათვის. როგორ შეიძლება საღად მოაზროვნედ ჩაითვალოს კაცი, რომელიც წყალტუბოს საკურორტო კომპლექსის აღდგენას, კოპიტნარის აეროპორტის განახლებას, ქუთაისელი ახალგაზდრობის სამომავლო პერსპექტივას და კიდევ ათას რამეს პარლამენტის ქუთაისში ყოფნა-არყოფნით განსაზღვრავს. ქუთაისს არ ჰქონია პოლიტიკური პარლამენტი, მაგრამ ქუთაისი გვრგვინავდა, ყვაოდა, იზრდებოდა. ქალაქს ისეთი ისტორიული პარლამენტი აქვს, სააკაშვილის დროინდელი ერთპარტიული პარლამენტი ახლოსაც ვერ მივა. გაბედოს ერთი და გამოვიდეს „ბაღისკიდის პარალმენტში“ სიტყვით. კარგსაც მიიღებს. დღეს კი მისი აუდიტორია იყო ხვალის ქუთაისი, ხვალის იმერეთი, ხვალის საქართველო – პრეზიდენტის სისულელეებზე დარბაისლურად მომღიმარი ახალგაზრდობა, რომელიც ააშენებს ყოველივე იმას, რაც სააკაშვილის გამოისობით დააკლდა სამშობლოს, – აცხადევს ყოფილი გუბერნატორი.

# სოლომონ პავლიაშვილი: „ვერ წარმომიდგენია, 1 მლრდ როგორ უნდა ჩაიდოს სოფლის მეურნეობაში“

დასაწყისი მე-3 გვერდზე



– არ ვიცი. საბიუჯეტო კრიზისი მაშინ დგება, როდესაც ხელისუფლება რაღაც ვალდებულებას ვერ ასრულებს. ეს შეიძლება იყოს ხელფასების გაცემა, საპენსიო სოციალური ვალდებულებები, შემცირებები საბიუჯეტო სექტორში, საერთაშორისო ვალდებულებების შეუსრულებლობა, საგარეო სესხების მომსახურებაში პრობლემები ან საბიუჯეტო საშემოსავლო ნაწილის არშესრულება. სად დაინახეს ეს? ან სად ჩანს, რომ ინფლაციური ტენდენცია მიდის?! მე ვფიქრობ, ამ ეტაპზე როგორც სამთავრობო ნაწილი, ასევე ეროვნული ბანკი, მიუხედავად იმისა, რომ აქ სხვადასხვა პოლიტიკური გუნდის წარმომადგენლები მუშაობენ, მაინც ახერხებენ იმას, რომ არც ინფლაცია იზრდება და საკმაოდ სერიოზულია აქ „ეროვნული ბანკის“ დამსახურება და მგონი, ამ ეტაპზე არც საგადასახადო შემოსავლების შეუსრულებლობას აქვს ადგილი. რაც შეეხება იმ მონაცემებს, როგორიც არის სავაჭრო ბრუნვის მაჩვენებლები, ექსპორტ-იმპორტი, ამ მხრივ რა ტენდენციებიც იყო, იგივე რჩება. იგივე ვითარებაა საინვესტიციო გარემოს კუთხითაც. დღეს ვერ იტყვი ვერაფერს საინვესტიციო გარემოზე იმიტომ, რომ ეს ხელისუფლება მხოლოდ ორი თეა მოსულია და ამ ეტაპისთვის, პირველ პერიოდში, შეიძლება ინვესტიციების კლებაც კი იყოს. ინვესტორები უყურებენ, ახალი ხელისუფლება რა ნაბიჯებს გადადგამს. ისინი მოლოდინის რეჟიმში არიან. ამიტომ ვიმეორებ, ამ ეტაპზე შეიძლება ინვესტიციების გარკვეული შემცირება იყოს, თუმცა გააჩნია, გრძელვადიან პერიოდში როგორი იქნება ამ მხრივ ვითარება. ამიტომ ვამბობ, რომ ყველა ის შეფასება, რომელიც დღემდე ისმის, არის სპონტანური და ობიექტურ ეკონომიკურ რეალობას მოკლებული.

***– ხელისუფლების მხრიდან ეკონომიკური წინსვლისთვის მნიშვნელოვან წინგადადგმულ ნაბიჯად ითვლება რუსეთის ბაზარზე ქართული პროდუქციის დაბრუნებისთვის წარმოებული მოლაპარაკებები. სწორად გაითვალა ეს პროცესი? პოლიტიკოსთა ნაწილი ფიქრობს, რომ ხალხმა უნდა იცოდეს, ბაზრის სანაცვლოდ რუსეთი რას ითხოვს.***

– არა მგონია, აქ რაიმე პოლიტიკურ ვაჭრობაზე იყოს საუბარი. აქ თანამშრომლობა წმინდა ეკონომიკური კუთხით უნდა იყოს. ასეც იქნება. რა უნდა მოითხოვოს რუსეთმა სანაცვლოდ? რა, აფხაზეთის და სამაჩაბლოს აღიარებას ხომ არ მოითხოვს. ეს არის გამორიცხული. ეს არის პოლიტიკური ნაწილის იქით წმინდა ეკონომიკური ურთიერთობების საფუძველზე აგებული თანამშრომლობა. ამიტომ ამის იქით ჩვენ არ უნდა წავიდეთ. რა თქმა უნდა, რუსეთის ბაზარზე დაბრუნება ძალიან კარგია და აუცილებელი, მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ არც ეს ბაზარი არ არის პანაცეა. იმიტომ, რომ სახელმწიფომ ალტერნატიულ ბაზრებზე უნდა იფიქროს. ეს სახელმწიფოს ფუნქციაა. იმიტომ, რომ ხვალ-ზეგ რუსეთმა შეიძლება ისევ ჩაგიკეტოს ბაზარი და იგივე სიტუაციაში აღმოჩნდე, როგორშიც იყავი 2006 წელს. რუსეთის ბაზრის დაბრუნებისთვის გადადგმული ეს ნაბიჯები კარგია, მე ამას მივესალმები. იმიტომ, რომ ქართული პროდუქციისთვის – ღვინისთვის, მინერალური წლებისთვის 300 მილიონიანი ბაზარი გვერდით გქონდეს და მასთან არ თანამშრომლობდე, ეს არის კატასტროფა. ვერანაირი ევროპული ბაზარი ამის ალტერნატივა ვერ იქნება. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ჩვენ მხოლოდ ამ ბაზარს დავეყრდნოთ და არ ვიფიქროთ სხვა ბაზრებზე გასვლაზე, განვითარებაზე. სხვა ბაზრების განვითარება, გინდა თუ არა, მაინც ეს არის ევროსტანდარტები და ევროკავშირთან ურთიერთობიდან გამომდინარე, უფრო ხელს უწყობს ხარისხზე ორიენტირებული და კონკურენტუნარიანი პროდუქციის წარმოებას. აი, ეს არის ყველაზე მნიშვნელოვანი. მით უმეტეს, ჩვენ ევროკავშირთან გვაქვს 7200 დასახელების პროდუქციაზე, ასე ვთქვათ, თავისუფალი ვაჭრობის საშუალება. ეს პროდუქცია ყოველგვარი დაბეგვრის გარეშე შეგვიძლია გავიტანოთ, თუ არ ვცდები, აქციზი ფერად ლითონებზეა. დანარჩენი ექსპორტი არ იბეგრება. ასევე 149 ქვეყანასთან გვაქვს უპირატესი ხელშეკრულება საგარეო ვაჭრობის კუთხით. ეს პოტენციალი არ უნდა დავკარგოთ და ამ ბაზრებზეც უნდა ვიმუშაოთ. ევროკავშირის ბაზარი ჩვენთვის არის ძალიან მნიშვნელოვანი. იმიტომ, რომ ეს პირდაპირ ნიშნავს ევროინტეგრაციას, ახალ სტანდარტებს და იმ სტანდარტების დაცვას, რასაც ევროკავშირი ითხოვს. ამავე დროს, რა თქმა უნდა, რუსეთის ბაზარზეც უნდა ვიმუშაოთ. ხელისუფლების ნაბიჯები დროულია. თავისთავად, თუ ჩვენ ვერ შევძელით რუსეთის ბაზარზე შეღწევა, ეს სუბსიდიები, რაც კეთდება, ეს მუდმივად ვერ იქნება. რამდენ ხანს შეიძლება იყოს სოფლის მეურნეობა ჩამოკიდებული სახელმწიფოზე?! ამ სფეროში გონივრული ნაბიჯები უნდა გადაიდგას.

***– რადგან სოფლის მეურნეობას შევეხეთ, ბიძინა ივანიშვილმა პრიორიტეტულად სწორედ ეს სფერო დაასახელა. რამდენად სწორად გამოკვეთა ამ ეტაპისთვის სოფლის მეურნეობის სამინისტრომ პრიორიტეტები და სამოქმედო პროგრამა? ფაქტია, სოფლის მოსახლეობა ხელისუფლების სერიოზულ დახმარებას ელის.***

– ალბათ, აქ იმ ფონდს გულისხმობთ, რომელიც სოფლის მეურნეობაში უნდა ჩაიდოს. მე თვითონ ვერ წარმომიდგენია 1 მლრდ როგორ უნდა განთავსდეს საქართველოს სოფლის მეურნეობაში. რამდენად დამტევია ჩვენი სოფლის მეურნეობა ამ 1 მლრდის. არ ვიცი, როგორი იქნება კონცეფცია ამ თანხების განაწილების. ვინ უნდა იყოს სუბიექტი სოფლად, ეს უნდა იყოს კოოპერაცია, გლეხი. მე არ მაქვს ინფორმაცია, რა ფორმით უნდა მოხდეს სოფლის მეურნეობაში ამ თანხების განთავსება. თავისთავად, პოზიტიური ნაბიჯია, რომ აქცენტი კეთდება სოფლის მეურნეობის გამოცოცხლებაზე. აქ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ 2013 წლიდან სოფლის მეურნეობის სუბსიდირებას ყველგან კრძალავს მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია. ამიტომ ეს ძალიან გაჭირდება. ეს სუბსიდია უნდა იყოს ერთჯერადი და ამავე დროს, ეს არ უნდა იყოს წყალში გადაყრილი თანხა. ეს თანხა ფოკუსირებული უნდა იყოს, რაც შეიძლება მეტი ეფექტის მისაღებად. ამიტომ ძალიან მნიშვნელოვანია, როგორ განხორციელდება ეს სუბსიდირება და ვინ იქნება ამაზე პასუხისმგებელი. იმიტომ, მე რომ წელს შენ თანხა მოგეცი, პირობითად გლეხს, ფერმერს, კოოპერაციას, მომავალ წელს შენ თვითონ უნდა გააგრძელო კვლავწარმოება. ეს არის მნიშვნელოვანი, ეს თანხები არ უნდა იყოს წყალში გადაყრილი და ხალხი ამაზე არ უნდა იყოს ჩამოკიდებული, მოდი შენ დამიხანი, შენ დამითესე. მკვეთრად უნდა გავავლოთ ხაზი: რა არის სახელმწიფოს პოზიცია და რა გლეხის, ფერმერის პოზიცია. სახელმწიფოს მოვალეობა არის: ინფრასტრუქტურა, სარწყავი სისტემა, სალიზინგო მეურნეობის განვითარება; ეს არის სალიზინგო მეურნეობის შექმნაზე ზრუნვა, მცირეფასიანი კრედიტები და ბაზრებზე ზრუნვა. დანარჩენი, ამის იქით სახელმწიფო არ უნდა წავიდეს. ამიტომ აქ უნდა ვიცოდეთ, მთავარია დღეს დავეხმაროთ გლეხს, ფერმერს მკვდარი წერტილიდან დაიძრას, მერე თვითონ უნდა გააგრძელოს. უნდა მივეჩვიოთ იმას, რომ არ შეიძლება სოფლის მეურნეობა აფინანსო ყოველთვის. რატომ უნდა წაართვა თანხა, პირობითად განათლებას და ჩადო სოფლის მეურნეობაში. ანდა რატომ უნდა ამოიღო თანხა იგივე სოციალური მიმართულებიდან და ჩადო სოფლის მეურნეობაში. სოფლის მეურნეობა თვითონ უნდა იყოს პროდუქტის, შემოსავლების მომტანი. დღეის მდგომარეობით მთლიან შიდა პროდუქტში 8%-ია სოფლის მეურნეობის. ეს ძალიან დაბალი მაჩვენებელია. ვფიქრობ, ეს ერთჯერადი სუბსიდია ძალიან მნიშვნელოვანია. შემდგომში ამის გაგრძელება, გამორიცხულია. ამიტომ ვამბობ, ამ სუბსიდიამ სოფლის მეურნეობაში ისეთი ეფექტი უნდა მოიტანოს, რომ შემდგომ სოფლის მეურნეობამ თვითონ შეძლოს გაგრძელება და განვითარება. სახელმწიფო ეხმარება ღვინოზე, სუბსიდიის სახით გარკვეულ თანხას უმატებს. ეს ძალიან მნიშვნელოვანია, სახელმწიფო რომ ზრუნავს დარგის გადარჩენაზე. კარგია ის მიდგომა, რაც ხდება იგივე ციტრუსზე, მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ეს არის მალფუჭადი პროდუქცია და სახელმწიფომ შესანახი მეურნეობა უნდა შეუქმნას. იგივე მექანიზაციის საშუალებები უნდა იყოს ხელმისაწვდომი. აი, ეს ნაბიჯები უნდა გადადგას სახელმწიფომ. ეს უნდა მიაწოდო სოფლად გლეხს, ფერმერს, რათა მან იფიქროს შემდგომ განვითარებაზე და სწორად იმოქმედოს. ახლა კაცმა რომ იცის მანდარინი მალფუჭებადია, ცდილობს, რაც შეიძლება მალე გაყიდოს, ბაზარი ამ დროს არ არის. ამიტომ შენ, სახელმწიფო 8 თეთრს რომ აძლევს, არაფრისმომტანია. ეს პოზიტიური მხოლოდ მოკლევადიან პერიოდშია და არ გრძელვადიანში. თანაც, ეს ინსტიტუციურად არ შეიძლება. როგორ შეიძლება კერძო სექტორს აფინანსებდე. ხელი უნდა შეუწყო და მერე გაუშვა. ერთ წელს უნდა დაეხმარო, მერე კი გაუშვა და თვითონ უნდა განვითარდეს.

# „ნატახტარში“ OHSAS 18001:2007 სტანდარტები დაინერგა

## პირველი კომპანია საქართველოში, რომელმაც ჯანმრთელობისა და შრომის უსაფრთხოების მართვის სისტემის სერტიფიცირება გაიარა

კომპანია„ნატახტარმა“ ჯანმრთელობისა და შრომის უსაფრთხოების მართვის სისტემის OHSAS 18001:2007 სერთიფიცირება წარმატებით გაიარა. OHSAS-ის სტანდარტების დანერგვა კომპანიაში უსაფრთხო სამუშაო გარემოსა და სამუშაო რისკების შემცირებას უზრუნველყოფს. „ნატახტარი“ პირველი კომპანიაა საქართველოში, რომელმაც ამ სტანდარტის დამადასტურებელი სერტიფიკატი მიიღო.

ჯანმრთელობისა და შრომის უსაფრთხოების მართვის სისტემის მთავარი ამოცანაა, საშუალება მისცეს ორგანიზაციას გააკონტროლოს ჯანმრთელობისა და შრომის უსაფრთხოების რისკები და გააუმჯობესოს არსებული მდგომარეობა.

OHSAS 18001:2007 სერთიფიკატისა და სტანდარტების მნიშვნელობასა და აუცილებლობაზე გვესაუბრება კომპანია „ნატახტარის“ პერსონალის მართვისა და ადმინისტრაციის დირექტორი **ხათუნა ჩხაიძე:**

– ჯანმრთელობისა და შრომის უსაფრთხოების მართვის სისტემის OHSAS 18001:2007 სერთიფიცირება კომპანიამ წარმატებით გაიარა. მართლაც, საამაყოა რომ საქართველოში პირველი კომპანიაა „ნატახტარი“, რომელმაც ამ სტანდარტის დამადასტურებელი სერტიფიკატი მიიღო. სერტიფიცირების პროცესი საკმაოდ შრომატევადი აღმოჩნდა. თუმცა ეს სტანდარტი დღეს ეხმარება კომპანიას გააუმჯობესოს უსაფრთხოების კულტურა, შეამციროს სამუშაო რისკები, შექმნას უსაფრთხო გარემო ბიზნესის წარმოებისთვის.

***– კონკრეტულად რა პროცედურების გავლა მოუწია კომპანიას სერტიფიკატის მისაღებად?***

– სერტიფიცირების პროცესში ჩართული იყო კომპანიის მთელი პერსონალი. ჩვენ დავუკავშირდით „საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციას“ და გამოვთქვით სურვილი ამ სერთიფიკატის მიღებაზე. სერტიფიცირების ფარგლებში მოვიწვიეთ ექსპერტები, რომელთა დახმარებითა და ზედამხედველობით მოხდა პერსონალთან და წარმოებასთანდაკავშირებულიყოველდღიურისაფრთხეებისშეფასებადამათიშემცირებისათვისსაჭიროღონისძიებების განხორციელება.კერძოდ, დაათვალიერეს ქარხანა, გადაიღეს ფოტოები და დეტალურად მოგვაწოდეს ინფორმაცია არსებული რისკების შესახებ. იყო ელემენტალური პრობლემები,რომლებიც დაბალ რისკებად შეფასდა და რომელთა აღმოფხვრა ერთ საათშიც შესაძლებელი იყო, თუმცა არსებობდა უფრო მაღალი რისკებიც, რაზეც შედარებით ხანგრძლივი მუშაობა დაგვჭირდა. ამისათვის კომპანიაში შეიქმნა სპეციალური კომიტეტი, რომელშიც შედიოდა ტექნიკური დირექტორი, ლოჯისტიკის დირექტორი და ყველა ის პასუხიმგებელი პერსონალი, რომელთაც უშუალოდ შეხება ჰქონდათ არსებულ რისკებთან. კვირაში ერთხელ იმართებოდა კომიტეტის შეხვედრა, სადაც ხდებოდა დავალებების გადანაწილება. შემდეგ თითოეული წევრი და პასუხისმგებელი რგოლი ცდილობდა დროულად არმოეფხვრა რისკები. ამ სერტიფიკატის მიღების სურვილი საკმაოდ დიდი იყო ქარხანაში და დიდი ძალისხმევა და მონდომება დაგვიჭირდა მიზნის მისაღწევად. მთავარი იყო მომსახურე პერსონალის ცნობიერების ამაღლება და გარკვეულწილად მათი ფსიქოლოგიის შეცვლა, რომ ეს აუცილებელია. როდესაც ექსპერტი ორი თვის შემდეგ ისევ გვესტუმრა, გაოგნებული დარჩა, ისე დროულად დახვდა ყველაფერი მოგვარებული. საბოლოოდ, 3-4 თვეში მივედით იმ დონემდე, რომ უკვე მოგვეწვიამასერთიფიცირებელი ორგანოს TUV SUD-ის ექსპერტები აუდიტის ჩასატარებლად. პროცესი წარიმართა საკმაოდ მკაცრად, მოხდა თითოეული წვრილმანის გადამოწმება, თუმცაჩვენ დავაკმაყოფილეთ ყველა მოთხოვნა და საბოლოოდ მივიღეთ სერტიფიკატი.



ხათუნა ჩხაიძე

***– აღნიშნული სერტიფიკატის მიღება ნიშნავს, რომ კომპანია საბოლოოდ აკმაყოფილებს სტანდარტებს, თუ სამომავლოდ, პერიოდულად მოხდება არსებული სისტემის გადამოწმება?***

– რისკი ყოველთვის იარსებებს, უბრალოდ ჩვენ მაქსიმალურად უნდა ვიყოთ დაცულები და ფხიზლად. რეაგირება არსებულ რისკზე სწრაფად უნდა მოვახდინოთ. წარმოებაში პრევენციას დიდი მნიშვნელობა აქვს. არის საფრთხეები, რასაც ვერ აღმოფხვრი. OHSAS 18001:2007 – ეს არის სტანდარტი, რაც საშუალებას აძლევს კომპანიას გააკონტროლოს მომსახურე პერსონალი და მათი სამუშაო პროცესის რისკები, ასევე გააუმჯობესოს მათი არსებული მდგომარეობა.პოტენციურ საფრთხეს უნდა შეხვდე მომზადებული. რა თქმა უნდა, პერიოდულად მოხდება არსებული სისტემის გადამოწმება და აუდიტი მოწვეული ექსპერტების მიერ.

***– თანამშრომლები თუ არიან ინფრომირებული სისტემის შესახებ და როგორია მათი დამოკიდებულებია?***

– თანამშრომლების ერთსულოვნება დიდი იყო. გარკვეული ტრენინგების ჩატარება ნამდვილად დაგვჭირდა, თუმცა ყველა პასუხიმგებლობით მოეკიდა თავის საქმეს. რამდენჯერმე განვახორციელეთ ხელოვნური განგაშიც და გამოცდამ წარმატებით ჩაიარა. პერსონალის ინტერესების გათვალისწინებით შევიძინეთ საკმაოდ ძვირადღირებული პირადი უსაფრთხოების აღჭურვილობა, რაც აუცილებელია იმისათვის, რომ სამუშაო პროცესში თანამშრომლებმა თავი იგრძნონ უსაფრთხოდ და კომფორტულად. ჩვენ ვაცნობიერებთ, რომ ნებისმიერი წარმოება მოიცავს გარკვეულ რისკებს და ვცდილობთ მათ მინიმიზაციას. OHSAS-ის სერტიფიკატი, კი, არის დასტური იმისა, რომ კომპანია ნატახტარის თანამშრომლებისათვის სამუშაო პროცესის გამართულობა და უსაფრთხოება უკვე არის ჩვევა – ყოველდღიურობის განუყოფელი ნაწილი.

# თეა წულუკიანი: „მეგის ქარდავას თავისუფლად გადაადგილების საშუალება არ უნდა ჰქონდეს!“

ნათია ხურცილავა

**იუსტიციის მინისტრმა თეა წულუკიანმა შინაგან საქმეთა სამინისტროს ყოფილი მაღალჩინოსნის ოლეგ მელნიკოვის უკრაინიდან საქართველოში ექსტრადიციის საკითხთან დაკავშირებით განმარტება გააკეთა.**

**თეა წულუკიანის თქმით, მელნიკოვის ექსტრადიციასთან დაკავშირებით ძალიან ბევრი სიცრუე ვრცელდება და ამას ხელს უწყობს დაცვის მხარე.**

– მე მინდა განვაცხადო ერთი რამ: მელნიკოვს რამდენიმე დღის წინ უკრაინულმა სასამართლომ 12 თვით გაუხანგრძლივა პატიმრობა და ეს 12 თვე არის საკმარისზე მეტი იმისთვის, რომ ის დავაბრუნოთ საქართველოში, – აღნიშნა წულუკიანმა.

იუსტიციის მინისტრის განცხადებით, საქართველოს პროკურატურამ და იუსტიციის სამინისტრომ უკრაინულ მხარეს გადასცა ყველა საჭირო მასალა და უკრაინული მხარე ამჟამად მუშაობს იმაზე, რომ მელნიკოვი რაც შეიძლება მალე გადაეცეს ქართულ მხარეს. წულუკიანმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ მელნიკოვის ექსტრადიციის ვადები დღეს და ხვალ არ იწურება, თუმცა ამისთვის ქართულ მხარეს არც 12 თვე დასჭირდება.

მინისტრი 16 წლის ჯაზმენ ბექა გოჩიაშვილზე სამართალდამცველების მხრიდან რაიმე ტიპის ზეწოლას გამორიცხავს. როგორც წულუკიანმა ჟურნალისტებთან საუბარში აღნიშნა, როცა არასრულწლოვანს თან ახლავს მშობელი, გამორიცხულია მასზე ზეწოლა განხორციელდეს.

– მე გამოვრიცხავ სამართალდამცველების მხრიდან რაიმე ტიპის ვერბალურ და მით უმეტეს, ფიზიკურ ზეწოლას. მინდა მოვუწოდო ოპოზიციას, რომ არ მოახდინოს ამ თემით მანიპულირება, რადგან ყველა სისხლის სამართლის საქმე უნდა იყოს გახსნილი და პოლიციას ჰქონდეს მშვიდ გარემოში მუშაობის საშუალება. თუ რაიმე ეჭვი არსებობს, როგორც შინაგან საქმეთა მინისტრმა განაცხადა, ამით გენინსპექცია დაინტერესდება, მაგრამ მე პირადად გამოვრიცხავ ბავშვებზე რაიმე ტიპის ზეწოლას, – განაცხადა თეა წულუკიანმა.



მინისტრის განმარტებით, საქმე ეხება სერიოზულ სისხლის სამართლის დანაშაულს, რასთან დაკავშირებითაც ყველა პირი, რომელსაც გამოძიება საჭიროდ მიიჩნევს, უნდა დაიკითხოს.

– უნდა დაიკითხოს, როგორც ბატონი ბექა, ისე დამლაგებლიდან დაწყებული, ე.წ. ფართის მონაწილე ყველა ადამიანი, – აღნიშნა წულუკიანმა.

თეა წულუკიანი ვლადიმერ ბედუკაძეზე საერთაშორისო ძებნის შეწყვეტას გამოეხმაურა. როგორც ჟურნალისტებს წულუკიანმა განუცხადა, ბედუკაძეზე ძებნის შეწყვეტასთან დაკავშირებით არსებობს მოლოდინი, რომ ეს მას სამართალდამცავ ორგანოებთან, მათ შორის პროკურატურასთან თანამშრომლობას გაუადვილებს. რაც შეეხება იმას, დაბრუნდება თუ არა ბედუკაძე საქართველოში, მინისტრმა აღნიშნა, რომ ეს ბედუკაძეზეა დამოკიდებული.

საქართველოს მთავარმა პროკურატურამ ვლადიმერ ბედუკაძის მიმართ საერთაშორისო ძებნის შეწყვეტა გუშინ მოითხოვა. აღნიშნული გადაწყვეტილების მიზეზი ვლადიმერ ბედუკაძის მხრიდან გამოძიებასთან თანამშრომლობაა.

მთავარი პროკურატურა იმედოვნებს, რომ ბედუკაძე საქართველოში დაბრუნდება და გამოძიებასთან თანამშრომლობას გააგრძელებს.

იუსტიციის მინისტრი, თეა წულუკიანი ჟურნალისტებთან მეგის ქარდავას ბრალდების დამძიმებასთან დაკავშირებით კომენტარს აკეთებს და აცხადებს, რომ მეგის ქარდავა რამდენიმე დოკუმენტს ფლობს.

წულუკიანის განცხადებით, სამხედრო პოლიციის დეპარტამენტის ყოფილ უფროსს მეგის ქარდავას თავისუფლად გადაადგილების საშუალება არ უნდა ჰქონდეს.

– ყველა იმ ძებნილს, რომელიც ფიგურირებს რომელიმე სისხლის სამართლის საქმეში, აუცილებელია, რომ არ ჰქონდეს საშუალება, თავისუფლად გადაადგილდებოდეს. თუკი იქნება მომართვა სამოქალაქო რეესტრისადმი, ნუსხა შედგება და გადაირჩევა ის დოკუმენტები, რომლებიც სამართალდამცველი ორგანოების გადასახედიდან მას ან მათ არ უნდა სჭირდებოდეთ, რადგან ისეთი პირები, როგორიცაა მეგის ქარდავა, რამდენიმე დოკუმენტს ფლობენ ხოლმე. რა თქმა უნდა, მოხდება შეჩერებაც, თუ ეს საჭიროდ ჩაითვალა, ამაში ვერანაირ პრობლემას ვერ ვხედავ, – განაცხადა წულუკიანმა.

როგორც ცნობილია, მეგის ქარდავასთვის აღკვეთის ღონისძიების შეფარდების საკითხზე თბილისის საქალაქო სასამართლო დღეს იმსჯელებს.

იუსტიციის მინისტრის განცხადებით, იუსტიციის სამინისტრო ნაფიც მსაჯულებთან დაკავშირებით ამერიკის შეერთებული შტატების რამდენიმე შტატის, მათ შორის კალიფორნიის შტატის მაგალითს ითვალისწინებს.

როგორც იუსტიციის მინისტრმა თეა წულუკიანმა განაცხადა, ნაფიც მსაჯულებთან დაკავშირებით უწყებას ორი პროექტი აქვს, რომლის სულის ჩამდგმელიც არჩილ კბილაშვილია.

როგორც წულუკიანმა ჟურნალისტებს განუცხადა, პირველი პროექტი ითვალისწინებს ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს განსჯადობის გაფართოებას და იმას, რომ ხალხმა განსაჯოს ძველი, ამჟამინდელი თუ მომავალი ხელისუფლების წევრების მიმართ სისხლის სამართლებრივი საქმეები და მათ გადაწყვიტონ, ვინ არის მართალი, – ყოფილი მაღალჩინოსნები თუ პროკურატურა.

წულუკიანის თქმით, მეორე პროექტი ამერიკის შეერთებული შტატების რამდენიმე შტატის გამოცდილებას ითვალისწინებს, სადაც თუ ბრალდებული მოითხოვს, რომ მისი საქმე ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს მიერ არ იყოს განხილული, ამას უნდა დაეთანხმოს როგორც პროკურორი, ისე სასამართლო.

– ეს არ არის ქართული გამოგონება. სხვადასხვა ამერიკული შტატის, მათ შორის კალიფორნიის შტატის მაგალითს მივყვებით და ვამბობთ, რომ თუ ძველი ხელისუფლების მაღალჩინოსნები უარს იტყვიან, რომ ხალხმა გადაწყვიტოს მათი სიმართლის საკითხი, ამას უნდა დაეთანხმოს პროკურორი და სასამართლო, ანუ ერთგვაროვანი აზრი უნდა არსებობდეს, – აღნიშნა მინისტრმა და დასძინა, რომ ამ ინიციატივებს სრულად ეთანხმება.

# დავით ნარმანია: „საქართველოში მშენებლობა არ შეჩერებულა“

ნათია ხურცილავა

**რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრმა დავით ნარმანიამ გუშინ პრესკონფერენცია გამართა. პრესკონფერენციაზე მინისტრმა 2013 წლის სამოქმედო გეგმები გააცნო ჟურნალისტებს. დავით ნარმანიამ ასევე უპასუხა „ნაციონალური მოძრაობისა“ და პრეზიდენტ სააკაშვილის მიერ გაკეთებულ იმ განცხადებას, რომლის მიხედვითაც ქვეყანაში მშენებლობის პროცესი შეჩერდა. მინისტრის განცხადებით არავითარი მშენებლობა არ შეჩერებულა.**



თბილისი-რუსთავის ჩქაროსნული საავტომობილო გზის მშენებლობაზე ახალი ტენდერი გამოცხადდება, – ამბობს განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრი დავით ნარმანია.

ნარმანიას განცხადებით, აღნიშნული პროექტი კომპანია „ნიუ ენერჯის“ უნდა განეხორციელებინა. თუმცა, აქ იყო დანაშაულის შემცველი ნიშნები და სამინისტრომ აღნიშნულ მონაკვეთზე ტენდერი ხელახლა გამოაცხადა.

დავით ნარმანია „ნაციონალური მოძრაობის“ განცხადების, თითქოს რამდენიმე პროექტი შეჩერდა, საპასუხოდ აცხადებს, რომ მათ ვერ დაასახელეს ვერც ერთი ასეთი პროექტი.

– ერთადერთი, თბილისი-რუსთავის მაგისტრალზე თქვა პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა, რომ არის შეჩერებული, – განაცხადა ნარმანიამ და აღნიშნა, რომ სინამდვილეში არც ეს პროექტი არ შეჩერებულა.

როგორც დავით ნარმანიამ განაცხადა, იმის გამო, რომ ტენდერის ხელახლა ჩატარება გახდა საჭირო, მშენებლობის დაწყების ვადა გადაიწევს.

მინისტრის განცხადებით, „ნიუ ენერჯის“ კიდევ ერთ მონაკვეთზე, კობი-გუდაურის გზის სამშენებლო სამუშაოები უნდა განეხორციელებინა, თუმცა, აქაც გაჩნდა კითხვის ნიშნები და შესაბამისი მოკვლევა მიმდინარეობს.

რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო 2013 წელს სხვადასხვა პროექტის განხორციელებისთვის 180 მილიონით მეტს დახარჯავს, ვიდრე 2012 წელს დაიხარჯა. ამის შესახებ რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრმა, დავით ნარმანიამ განაცხადა.

მინისტრის განცხადებით, სამინისტროს საქმიანობა ორი ძირითადი, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მოწესრიგების მიმართულებით განხორციელდება.

როგორც დავით ნარმანიამ განაცხადა, რეგიონული განვითარების თვალსაზრისით, განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა ადგილობრივი თვითმმართველობის რეფორმის განხორციელებას და მის ფარგლებში დაგეგმილ ღონისძიებებს.

რაც შეეხება ინფრასტრუქტურის მიმართულებას, ეს მოიცავს 240 კილომეტრის საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი გზების, 30 ხიდის, 3 გვირაბის მშენებლობა-რეაბილიტაციას, 42 მუნიციპალიტეტში წყალმომრაგების სისტემის სარეაბილიტაციო სამუშაოების და ნაპირსამაგრი სამუშაოების განხორციელებას; ასევე, ნაგავსაყრელების მოწესრიგებას.

წყალმომარაგებისა და საგზაო ინფრასტუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაციის კუთხით, დაგეგმილია როგორც ახალი, მსხვილი ინფრასტრუქტურული პროექტების, ასევე მიმდინარე პროექტების განხორციელება.

მათ შორის მინისტრმა გამოყო: აზიის განვითარების ბანკის დაფინანსებით მიმდინარე წყალმომარაგების სარეაბილიტაციო სამუშაოები ქუთაისში, ფოთში, ურეკში, ანაკლიასა და მესტიაში, ევროპის საინვესტიციო ბანკის დაფინანსებით მიმდინარე წყალმომარაგების მშენებლობა-რეაბილიტაციის პროექტები საქართველოს 28 ქალაქში; ჩქაროსნული ავტომაგისტრალის რუსი-აგარას 19 კმ-იანი მონაკვეთის მშენებლობა; ასევე გაგრძელდება ზესტაფონი-ქუთაისი-სამტრედიის 58 კმ-იანი გზის მშენებლობა; დაიწყება სამტრედია-ლანჩხუთის 30-კმ-იანი მონაკვეთის მშენებლობა: დასრულდება ქობულეთის შემოვლითი გზის პირველი ლოტის მშენებლობა და დაიწყება მეორე ლოტის მშენებლობა.

სამინისტრო რეგიონებში ასევე გეგმავს დევნილთათვის სახლების მშენებლობა-რეაბილიტაციას.

როგორც ნარმანიამ ჟურნალისტებს განაცხადა, განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდება სამინისტროს მუშაობის გამჭვირვალობაზე და მის სამინისტროში დახურული და პრესისთვის მიუწვდომელი ინფორმაცია არ იქნება.

# განათლების სამინისტროში პოლიტშეხედულებების გამო გათავისუფლებულთა 830 განცხადება შევიდა

მერი ნამორაძე

განათლების სამინისტრო ერთადერთი უწყება აღმოჩნდა, რომელმაც პოლიტიკური შეხედულებების გამო სამსახურიდან გათავისუფლებული თანამშრომლების უფლებების დასაცავად საგანგებო კომისია შექმნა. პოლიტიკური ზეწოლა საგანმანათლებლო დაწესებულებებზე იმდენად მასშტაბური იყო, რომ ზეწოლის შედეგად დაზარალებულებისათვის სამართლის ძიებას სწორედაც რომ კომისიის შექმნა დასჭირდა. ყოფილი მმართველი პოლიტიკური ძალა საჯარო სამსახურის ყველა წარმომადგენელს საკუთარ მხარდამჭერად მოიაზრებდა. სხვა შემთხვევაში პედაგოგთათვის სამუშაო ადგილის დაკარგვა გარანტირებული იყო. რა თქმა უნდა, სხვა შემთხვევაში გათავისუფლების მთავარი მოტივი იჩქმალებოდა და ძირითადად პედაგოგთან დადებული ხელშეკრულების დასრულება-გაუქმებით იფარგლებოდა.

განათლების მინისტრის თავდაპირველი მოწოდება, ყოველგვარი ჩარევის გარეშე მოგვარებულიყო ურთიერთობა სკოლის ხელმძღვანელებსა და პოლიტიკური შეხედულებების გამო სამსახურიდან გათავისუფლებულთა შორის, უშედეგო აღმოჩნდა. სამაგიეროდ, იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ კომისიის მუშაობა აღმოჩნდება შედეგიანი და სათანადო დასკვნებიც გაკეთდება. კომისიის წევრებად არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლები და სახალხო დამცველის აპარატიც არის მიწვეული.

გუშინ, საჯარო სკოლებისა და რესურსცენტრების თანამშრომელთა პოლიტიკური შეხედულებების გამო სამსახურიდან გათავისუფლების საკითხების შემსწავლელი კომისიის წევრები სამსახურიდან გათავისუფლებულ პედაგოგებს შეხვდნენ. მათთვის საგანგებოდ ღია კარის დღე მოეწყო, რათა აქტუალური კითხვებისათვის კომისიის წევრებს ეპასუხათ და კონსულტაცია გაეწიათ. კომისიის წევრებმა რამდენიმე კვირის წინ „მომჩივანებს“ განცხადებების ზედაპირულობა დაუწუნეს და მეტი მტკიცებულებების წარდგენა სთხოვეს.

როგორც განათლების სამინისტროში ამბობენ, კომისიის სახელზე სამინისტროსა და შესაბამის რესურსცენტრებში 2013 წლის 14 იანვრის ჩათვლით 830 განცხადება შემოვიდა. ამ ეტაპზე 250-ზე მეტი განცხადების პირველადი განხილვა განხორციელდა, მომდევნო ეტაპზე კომისიის მიერ დასკვნები მომზადდება. კომისიის დასკვნა თავისი შინაარსით სამინისტროსათვის სარეკომენდაციო ხასიათის იქნება, კომისია გადაწყვეტილებას მიიღებს მხოლოდ პოლიტიკური ნიშნით გათავისუფლების ფაქტის დადასტურების ან უარყოფის შესახებ.

სამინისტროს ინფორმაციით, სპეციალური კომისია პოლიტიკური შეხედულებების გამო სამსახურიდან გათავისუფლების მხოლოდ იმ შემთხვევებს განიხილავს, რომელთაც ადგილი ჰქონდათ 2006 წლის 1 იანვრიდან კომისიის შექმნამდე, ანუ 2012 წლის დეკემბრამდე. ყოველ კონკრეტულ შემთხვევაზე პოლიტიკური დევნის შესახებ მითითებული ფაქტების მტკიცების ტვირთი განმცხადებელს ეკისრება.

შეტანილი განცხადებების ციფრი ერთობ შთამბეჭდავია. განათლების მინისტრყ უკვე ამაყობს იმით, რომ ეს სფერო პოლიტიკური ზეწოლისაგან გათავისუფლებულია. ასე რომ, პედაგოგებს მშვიდად შეუძლიათ საჯარო სკოლის შენობაში პოლიტიკური ბატალიების განხილვა და ამა თუ იმ პოლიტიკური ძალის მხარდაჭერა. ნაძალადევად მათ აღარც ამა თუ იმ პოლიტიკური პარტიის მხარდასაჭერი აქციების შევსება მოუწევთ.

## გამოკითხულთა უმრავლესობა დღევანდელ სასამართლოს არ ენდობა

საინფორმაციო სააგენტო „ნიუსპრესის“ მიერ, მიმდინარე წლის 9 იანვრიდან 16 იანვრამდე საანალიზო პერიოდში ჩატარებული გამოკითხვის შედეგების თანახმად, გამოკითხვაში მონაწილეთა 58,3 პროცენტი დღევანდელ სასამართლოს არ ენდობა.

კითხვაზე – „ენდობით თუ არა დღევანდელ სასამართლოს“, მონაწილეთა 25 პროცენტმა უპასუხა, რომ ენდობა, 58,3 პროცენტი კი კითხვაზე უარყოფით პასუხს სცემს. ამასთან, დასმულ კითხვაზე პასუხის გაცემა 16,7 პროცენტს გაუჭირდა

**ნიუსპრესი**

## ტელეკომპანია „გურჯაანმა“ თანამგზავრული სისტემებით მაუწყებლობის უფლება მიიღო

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ, შპს „ტელეკომპანია გურჯაანის“ სამაუწყებლო ლიცენზიის მოდიფიცირების შესახებ გადაწყვეტილება მიიღო.

კომისიის პრესსამსახურის ინფორმაციით, მოდიფირებული ლიცენზია ტელეკომპანიას საშუალებას მისცემს თანამგზავრული სისტემების მიწისზედა და ორბიტალური სადგურების გამოყენებითაც იმაუწყებლოს.

ტელეკომპანია „გურჯაანის“ ლიცენზიის სახე კერძო მაუწყებლობაა, ლიცენზიის სახეობა – საერთო ტელემაუწყებლობა, მაუწყებლობის მინიმალური ხანგრძლივობა კი 6 საათი.

**ნიუსპრესი**

# ჰამლეტ ჭიპაშვილი: „საზოგადოებამ სამი თითის კომბინაცია მიიღო“

შორენა გონგლაძე

## ინტერვიუ პოლიტოლოგ ჰამლეტ ჭიპაშვილთან

***— ბატონო ჰამლეტ, ამნისტიის პროექტს თავიდანვე ეწინააღმდეგებოდა ყოფილი ხელისუფლება, შესაბამისად საკაშვილმა პროექტს ხელი არ მოაწერა, რატომ აირჩია საკაშვილმა ასეთი პოზიცია მაშინ, როცა ის ძალიან ბევრ დათმობაზე წავიდა, მან საკუთარ თავზე არ აიღო ათასობით პატიმრის გარეთ გამოსვლა თუ სხვა მიზეზიც არსებობს?***

— ის კატეგორიულად არ ეთანხმება თავისი მმართველობის პერიოდში დაჭერილი ხალხის ციხიდან გამოშვებას. ის ბრალდებები, რაც იმ ადამიანებს ჰქონდათ წაყენებული, ის სიცრუე, მაგალითად ავიღოთ მაისაია, ის დაიჭირეს იმისათვის, რომ თითქოს ის ღალატობდა საქართველოს და საიდუმლო ინფორმაციას აწვდიდა რუსეთს. ჯერ ერთი, საქართველოს რა საიდუმლო ინფორმაცია აქვს ასეთი, რომ რუსეთს სჭირდება, ჯერ არშემდგარ ქვეყანას რა საიდუმლო უნდა ჰქონდეს და მეორეც, მაისაია აბსოლუტურად არაფერს წარმოადგენდა, არ მუშაობდა არც კანცელარიაში და არც სხვაგან, ის იყო მხოლოდ პოლიტოლოგი, თუნდაც „ენვერის“ საქმე, ეს იყო შეთითხნილი და საკაშვილის ეს მხოლოდ პიარისთვის სჭირდებოდა. ამიტომ ცხადი,ა საკაშვილი თავისივე შეთხზული ბრალდებებით დაკავებულ ხალხს თავისი ნებით არ გამოუშვებდა.

***— ეს რაც შეეხება პოლიტპატიმრებს, მაგრამ არის ამნისტიაც, ის ასევე მიუღებელი აღმოჩნდა საკაშვილისთვის..***

— საერთოდ, საკაშვილი კატეგორიულად უარყოფს, რომ ეს ადამიანები იყვნენ პოლიტპატიმრები. საკაშვილი ადამიანებს იჭერდა არა პოლიტიკური მრწამსისათვის, არამედ სხვადასხვა ბრალდებებით, ზოგი დაიჭირეს ნარკოტიკების გასაღებისთვის, ზოგი ვითომ ხულიგნობისთვის და ასე შემდეგ, დააპატიმრეს ისეთი ხალხი, რომელიც უქადდა საააკაშვილის ხელისუფლებას ჩამოგდებას. თქვენ წარმოიდგინეთ, მსოფლიოს თვალში რას ნიშნავს ის, როდესაც დემოკრატიის შუქურაში იქნება ამდენი პოლიტპატიმარი. ეს ცხადია, საკაშვილს სულაც არ აწყობდა. ამდენად, საკაშვილი ყოველთვის ცდილობდა, პოლიტპატიმარის სტატუსი არ ჰქონოდა არც ერთ დაპატიმრებულ ადამიანს.

***— პოლიტპატიმრების გარდა ძალიან ბევრი ადამიანი ტოვებს საპატიმრო დაწესებულებებს, აქედან გამომდინარე, უკვე საუბრობენ ქვეყანაში კრიმინოგენური სიტუაციის მოსალოდნელ გაუარესებაზე..***

— მე დარწმუნებული ვარ, რომ ამ სიაში მოხვდნენ ისეთებიც, რომლებსაც მართლაც აქვთ მძიმე დანაშაულობები ჩადენილი, ისინი არიან კრიმინალები. მაგალითად, ნარკოტიკების მოხმარება და გასაღება — ეს არის ძალიან სერიოზული საქმე და ახალ ხელისუფლებას ამ შემთხვევაში სჭირდებოდა ძალიან დიდი თავშეკავება ამ საკითხში. მე მიმაჩნია, რომ გაცილებით უკეთესი იქნებოდა, რომ ამ კატეგორიის ხალხი ასე უცბად არ გამოეშვათ. ამიტომაც თქვა ბიძინა ივანიშვილმა, რომ



საზოგადოება გაგებით უნდა შეხვდეს ამ საქმესო, მაგრამ საზოგადოება ამას გაგებით ნამდვილად ვერ შეხვდება, როდესაც კრიმინალი გამოვა ქუჩაში და არ არის გამორიცხული, რომ შესაძლოა კიდევ ჩაიდინოს მან დანაშაული. ამ შემთხვევაში ცხადია ხელისუფალი საზოგადოებას ვერ მოსთხოვს იმას, რომ კრიმინოგენური ვითარების დამძიმებას გაგებით შეხვდეს, ასე რომ, მე ვფიქრობ, ეს დასაფიქრებელი და საკამათო თემაა.

***— ძალიან ცოტა დრო გავიდა და უკვე არსებობს ახალი ხელისუფლების მიმართ გარკვეული უკმაყოფილელები განსაკუთრებით სოციალურ საკითხებსა და საკადრო პოლიტიკაში..***

— საზოგადოება ივანიშვილისგან გაცილებით აქტიურ მოქმედებას ელოდა თითქმის ყველა სფეროში. უპირველეს ყოვლისა, ისეთში, როგორიც არის ტარიფების შემცირება, მაგრამ სამწუხაროდ, საზოგადოებამ მიიღო სამი თითის კომბინაცია. მოგეხსენებათ, ივანიშვილს დასჭირდა აზერბაიჯანში ჩასვლა იმისათვის, რათა გაერკვია ის ამბავი, რომ თურმე აზერბაიჯანი გაცილებით ნაკლებ ფასებში გვაძლევს გაზს, ვიდრე ღირს მსოფლიო ბაზარზე. ეს, ცოტა არ იყოს, გასაკვირია მთავრობის ხელმძღვანელისგან, მით უმეტეს, როცა წინასაარჩევნო კამპანიის დროს, ივანიშვილი და მისი გუნდი დაბეჯითებით გვიმტკიცებდნენ, რომ ენერგომატარებლებზე ტარიფების განახევრება იყო შესაძლებელი, მაგრამ შემდეგ ივანიშვილმა თქვა, რომ ეს არ მოხდება, ასე რომ, პირველი იმედგაცრუება, განსაკუთრებით ზამთრის პერიოდში, როდესაც გაათმაგებულია გაზისა და ელექტროენერგიის მოხმარება, ასეთი რამ ახლად არჩეული ხელისუფლების მხრიდან, საზოგადოებისთვის არის მიუღებელი. რაც შეეხება ყოფილი ჩინოვნიკების დაჭერებს, ვილაცას ვითომ დაიბარებენ დაკითხვაზე, დაიჭერენ, მერე გამოუშვებენ და ასე გრძელდება რამდენი ხანია. გამოდის, რომ საქმე გვაქვს პოლიტიკურ აბსურდის თეატრთან, რომელსაც ეს საზოგადოება ყოველდღიურად უყურებს. საზოგადოებას რჩება შთაბეჭდილება, რომ ახალი ხელისუფლება შეკრულია ძველთან და გარკვეული დროის განმავლობაში გააგრძელებს ამ პოლიტიკურ თამაშს დაჭერა-გაშვებას, ან კიდევ ის ისეთი სუსტია, რომ არ შეუძლია დადოს ისეთი ფაქტები, რომელთა ნიადაგზეც თავისუფლად შეიძლებოდა ნებისმიერი რანგის მოხელის დაპატიმრება. ასე რომ, დღევანდელი სიტუაცია ნამდვილად არ აწყობს საზოგადოებას, საზოგადოებას დიდი სურვილი ჰქონდა და აქვს, რომ სამართალს პური ეჭამა, ამას ემატება ის, რომ თურმე უნდა მოხდეს ყოფილი თანამდებობის პირებზე ჩადენილი დანაშაულის პატიება, რომ თურმე ყველაფერში დამნაშავე ყოფილა საკაშვილი და რამდენიმე მაღალჩინოსანი და ისინი სხვებს აიძულებდნენ ისე ემოქმედათ, როგორც მოქმედებდნენ, არადა, მე სულ სხვანაირი ინფორმაცია მაქვს, მინდას გითხრათ, რომ საშუალო და დაბალი რანგის მოხელეები, ათჯერ უფრო სასტიკად იქცეოდნენ ფართო საზოგადოების წინაშე, ვიდრე ნებისმიერი ზემდგომი. ასეთი თავზე ხელის გადასმა დამნაშავეთათვის საზოგადოებაში გამოიწვევს ძალიან ბევრ უკმაყოფილებას. დარწმუნებული ვარ, იმ უკმაყოფილებათა კორიანტელს, რაც არის უკვე ივანიშვილის მიმართ, ამას დაემატება კიდევ ახალი რამ, რაც ახლა არის პარლამენტში განხილვის პროცესში და ყოველდღე გვეუბნებიან, რომ საჭირო არის მიტევება, უნდა მივუტევოთ დამნაშავეებს, თავზე ხელი გადავუსვათ და მივცეთ მობოდიშებისა და გამოსწორების საშუალება. იცით, რაშია საქმე? ასეთები ძალიან იშვიათად სწორდებიან. სამწუხაროდ, არავინ ლაპარაკობს ეკონომიკურ დანაშაულობებზე, არავინ ლაპარაკობს იმ დიდი ფულის ჯიბეში ჩადებაზე, რასაც ადგილი ჰქონდა ამ ცხრა წლის მანძილზე. გამოდის, რომ თუ მოიპარავ, შეგრჩება, ჯერ ერთი სიტყვაც კი არ თქმულა ეკონომიკურ დანაშაულზე, რომ ამა და ამ პირმა მოიპარა ამდენი მილიონი ლარი, კაციშვილი ამაზე არ ლაპარაკობს, რაც იმის მაუწყებელია, რომ ამ ხელისუფლების რომელიმე წარმომადგენელმა რომ მოიპაროს ფული, ისიც არ დაისჯება. ეს დაუსჯელობის სინდრომი, რომელიც არსებობს ქვეყანაში, ამით საზოგადოება არის აღშფოთებული. ისე, როგორც წინა ხელისუფლების დროს, ამ ხელისუფლებამაც დაიწყო ნათესავ— მეგობრული ურთიერთობების გამოვლინება თანამდებობებზე დანიშვნის თვალსაზრისით. თანამდებობებზე დანიშვნა ხდება მხოლოდ ამ კრიტერიუმებით: ქმარი, ცოლი, ბიძაშვილი, ნათესავი, მეგობარი და არაპროფესიონალური თვალსაზრისით. ფაქტიურად, საქართველოში გრძელდება ის, რაც მრავალი წლის განმავლობაში არსებობდა, ნათესაურ-მეგობრული კავშირებით ქვეყნის მართვა, რაც არის სახელმწიფოსათვის დამღუპველი. დღეს ახალი ხელისუფლება ამ საქმით არის გართული, ისინი ტკბებიან თანამდებობებით, პარალელურად თანამდებობებზე ნიშნავენ ნათესავ-მეგობრებს, ხელისუფლებაში ამ ჟივილ-ხივილის დანახვა ძალიან იოლია. აქედან გამომდინარე, ახალი ხელიუფლება იმდენადაა გართული საკუთარი საქმეებით, რომ წინასაარჩევნოდ მიცემული დაპირებები საერთოდ დაავიწყდა.

# ბავშვის ზრდა-განვითარების პირადმა ბარათმა მშობელთა ინფორმირებულობა გაზარდა

მერი ნამორაძე

**სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტომ გაეროს ბავშვთა ფონდთან თანამშრომლობით პილოტური პროექტი „პოზიტიური დედობა" განახორციელა, რომლის მიზანი ბავშვის მოვლისა და განვითარების საკითხებზე მშობელთა მუდმივი ინფორმირების ინსტრუმენტების შექმნა იყო. პროექტის შედეგების შესაფასებლად გუშინ სახელმწიფო სერვისების სააგენტოში პირველადი ჯანდაცვის ექიმების, პედიატრების, გაეროს ბავშვთა ფონდის წარმომადგენლები შეიკრიბნენ.**

პროექტის ფარგლებში 2010 წლიდან შეიქმნა მშობელთა ინფორმირების ორი მექანიზმი — „ბავშვის ზრდისა და განვითარების“ პირადი ბარათი ანუ სახელმძღვანელო, რომელიც 2012 წლის 1 იანვრიდან უფასოდ გადაეცემა საქართველოში დაბადებული ყველა ბავშვის მშობელს სამშობიარო დაწესებულებაში. ბარათით ხდება ბავშვის ზრდა-განვითარებისა და ჯანმრთელობის შესახებ მონაცემთა აღნუსხვის, შეგროვებისა და შენახვის ჩვევის დანერგვა ოჯახში. გარდა ამისა, სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მიერ შემუშავდა პროგრამული უზრუნველყოფა (სმს-სისტემა), რომლითაც საქართველოში დაბადებული ბავშვის (0-6 წლამდე) მშობლები თუ მეურვეები იღებენ ბავშვის ასაკის შესაბამის ინფორმაციას ბავშვის ჯანმრთელობისა და განვითარების შესახებ. ეს ინფორმაცია გასაგებ და მარტივ ენაზე სატელეფონო შეტყობინების სახით ვრცელდება საქართველოს მთელ ტერიტორიაზე.

რამდენად მნიშვნელოვანია ეს პროექტი ბავშვთა ზრდა-განვითარებისათვის? ამის შესახებ კომენტარი დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის არაგადამდები დაავადებების სამსახურის წარმომადგენელს, დალი ტრაპაიძეს ვთხოვეთ.

**დალი ტრაპაიძე:**

— სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოსა და გაეროს ბავშვთა ფონდის პროექტის მიზანი გახლდათ საქართველოში მცხოვრები ყველა ბავშვისათვის განვითარების თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფა. პროექტის ფარგლებში შეიქმნა ბავშვის ზრდისა და განვითარების ბარათი, რომელიც მშობლებს სამშობიარო სახლებში გადაეცემათ. ეს არის ძალიან მნიშვნელოვანი ინსტრუმენტი 0-დან 6 წლამდე ბავშვის ზრდასა და განვითარებაზე მეთვალყურეობის თვალსაზრისით. ასეთი გამოცდილება მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში არსებობს. მის არსებობას ბევრი მიზანი აქვს სამედიცინო მომსახურების სფეროში. პირველ რიგში, ეს არის მშობლის ჩართულობა. ნებისმიერი დაავადების პროგნოზის ერთ-ერთი განმაპირობებელი არის მისი ნაადრევად გამოვლენა. ამ ბარათში არის ისეთი მესიჯები, რომელიც ხელს შეუწყობს მშობელს სხვადასხვა დაავადებების და მისი სიმპტომების გამოვლენაში. მეორე, ძალიან მნიშვნელოვანია კომუნიკაციის გამყარება ექიმსა და პაციენტის მშობელს შორის. როცა მშობლის ჩართულობის და ინფორმირებულობის დონე მაღალია, კონტაქტი, პარტნიორული ურთიერთობა კარგად მყარდება. მნიშვნელოვანია სამედიცინო მომსახურების თანამიმდევრულობის პრობლემა. ბარათში არის ფრაგმენტი ჩანაწერისთვის სასწრაფოა ექიმისთვის, ჰოსპიტლის ექიმისთვის, რათა ჯანმრთელობის პრობლემის მთელი ისტორია და მისი თანამიმდევრულობა იყოს წარმოდგენილი იმ შემთხვევებისთვისაც, როცა ერთი ქალაქიდან მეორეში მიდის ბავშვი, თუნდაც დასასვენებლად. თუ მედიკამენტოზურ ალერგიას აქვს ადგილი, ესეც დაფიქსირდება. ყველაზე მნიშვნელოვანია მშობლის აქტიურობა, რომ მან უზრუნველყოს გართულებული შემთხვევების აღნუსხვა.

***— ქალბატონო დალი, პროექტის შედეგებზე რას გვეტყვით, რამდენად გააქტიურდნენ მშობლები, ბავშვის პირად ბარათს თუ ავსებენ?***

— სწორედ ამ მიზნით შევხვდით პედიატრებსა და ოჯახის ექიმებს. როგორც მათ აღნიშნეს, მოიმატა მშობლების გათვითცნობიერებამ და ისეთი კითხვები ისმევა მათ მიერ, რაც ასოცირებულია ამ ბარათში არსებულ ინფორმაციასთან. აღინიშნა ისიც, რომ იმუნიზაციასთან დაკავშირებით მოიმატა სიფხიზლემ არა მხოლოდ ბარათის, არამედ ეს-ემ-ეს გზავნილების გამოც, რასაც 2010 წლიდან ახორციელებდა სამოქალაქო რეესტრი. მესიჯები იგზავნებოდა იმუნიზაციის ეროვნული კალენდრის შესაბამისად. დახლოებით 40 პროცენტით მოიმატა მშობელთა ინფორმაციულობის დონემ.

***— იმუნიზაციით მოცვის მასშტაბებზე რას გვეტყვით?***

— დინამიკა პოზიტიურია, აცრებზე უარის თქმის მხოლოდ ერთეული შემთხვევები არსებობს. ამ თვალსაზრისით ყველაზე მნიშვნელოვანია ექიმისადმი ნდობა და მასთან მშობლის პარტნიორული ურთიერთობა, რომელიც გადაწყვეტილებას იღებს ბავშვის იმუნიზაციასთან დაკავშირებით. მთავარია მშობლის გათვითცნობიერება აცრის რისკისა და სარგებლის შესახებ. თუ სრულყოფილად აუხსნის ექიმი მშობელს აცრის მნიშვნელობას და მშობელს აქვს მედიკოსის ნდობა, ის დადებით გადაწყვეტილებას მიიღებს აცრების ჩატარებასთან დაკავშირებით.




**მაია ქურციკიძე, გაეროს ბავშვთა ფონდის კომუნიკაციის პროგრამის ხელმძღვანელი:**

— ამჟამად მიმდინარეობს პროექტის შეფასება. შეიქმნა ძალიან მნიშვნელოვანი სახელმძღვანელო — ბავშვის ზრდისა და განვითარების პირადი ბარათი, სადაც მოცემულია ინფორმაცია, თუ რა სჭირდება მშობელს ბავშვზე ზრუნვისათვის. დაბადებიდან პირველი წლები ძალიან მნიშვნელოვანია ბავშვის განვითარებისათვის. ეს არის პერიოდი, როცა ბავშვი პიროვნებად ყალიბდება. ის წლები არის ფუნდამენტი, რომელსაც შემდგომ სკოლის ასაკი და შემდგომი ასაკი ეფუძნება. ასე რომ, დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, თუ როგორ ყურადღებას გამოვიჩენთ ბავშვის მიმართ ადრეულ ასაკში. ძალიან ხშირად ბავშვებს აკლიათ მზრუნველობა, რადგან მშობლებს არ აქვთ ინფორმაცია, თუ რა ტიპის მზრუნველობა სჭირდებათ ამ ასაკის ბავშვებს. ძირითად ყურადღებას ჯანმრთელობას აქცევენ და არ აქცევენ ყურადღებას გონებრივ, ფსიქო-სოციალურ, ემოციურ განვითარებას. ბავშვი მთლიანობაში უნდა განვიხილოთ მისი პიროვნული თვისებებით. ასე რომ, ბარათი იმ ინფორმაციას აწვდის მშობლებს, რაც უნდა იცოდნენ ამ ასაკის ბავშვის ზრდა-განვითარებისათვის. ეს პროექტი იყო ძალიან ინოვაციური არა მხოლოდ წიგნის შექმნის მხრივ, არამედ ინოვაციური იყო ინფორმაციის გავრცელების გზებიც — ტექსტურ შეტყობინებებს ვგულისხმობ, რომლებიც მობილურებზე მიდიოდათ მშობლებს. ეს პროცესი უნდა გაგრძელდეს. აუცილებელია მშობლებს ჰქონდეთ ეს ინფორმაცია.

# ანი მიროტაძე საპარლამენტო უმცირესობას მოუწოდებს, საკუთარ წარსულს და ბიოგრაფიებს გადახედონ

საპარლამენტო უმრავლესობის წევრი ანი მიროტაძე საპარლამენტო უმცირესობას მოუწოდებს, საკუთარ წარსულს და ბიოგრაფიებს გადახედონ.

ამის შესახებ მიროტაძემ პარლამენტის რიგგარეშე სხდომაზე სიტყვით გამოსვლისას განაცხადა.

„ვანო მერაბიშვილის გუშინდელი განცხადება ძალიან საინტერესო იყო. ის ეხებოდა ეკონომიკურ კრიზისს და ბიზნესის დატერორებას. დაგვპირდა, რომ 22-ში გამოაცხადებს კონკრეტულ ციფრებს, მე დიდი მოთმინებით დაველოდები, რა ციფრები აქვს ყოფილ პრემიერ-მინისტრს, მაგრამ მაინტერესებს, როცა ბიზნესის დატერორებაზე საუბრობს, ჰქონდა თუ არა მონაცემები, როგორ აშანტაჟებდნენ მისი გუნდის წევრები, მაგალითად, დავით კეზერაშვილი და მისი მეგობრები ბიზნესს. ამ ქვეყანაში 2003 წლიდან 2012 წლის ჩათვლით, გადანაწილებული იყო ბიზნესები იმის მიხედვით, თუ ვის უნდა ჰქონოდა წილები ნავთობში, ენერგეტიკაში, სარეკლამო ბიზნესში, გადაზიდვებში და ა.შ. ეს ყველაფერი ძალიან წარმატებულად განახორციელეს ამ ადამიანებმა და ძალიან წარმატებულად ჩაისვეს ჯიბეში ბიზნესი. როცა დაშანტაჟებაზე საუბრობს, ხომ არ ავიწყდება „ნიკალაში“ რომ შეცვივდნენ კეზერაშვილი და მისი ბიჭები და ბავშვები ააწიოკეს? მე მოვუწოდებ უმცირესობის წარმომადგენლებს, რომ იმ ციფრებთან ერთად, რომელსაც ახლა მოიპოვებენ, იქნებ დაფიქრდნენ, თუ როგორ ცხოვრობდნენ მთელი ამ დროის განმავლობაში და როგორ ატერორებდნენ, როგორც ბიზნესს, ისე მთლიანად საქართველოს მოსახლეობას“, — განაცხადა მიროტაძემ და ზუგდიდში მომხდარ ინციდენტს გამოეხმაურა.

„აქ საუბარი იყო ზუგდიდის ინციდენტზე, მე ხაზგასმით მინდა, აღვნიშნო, რომ ეს არის ძალიან ცუდი, ეს არ უნდა განმეორდეს და პირადად მე დაინტერესებული ვიქნები, რომ ამ საქმის გამოძიება ბოლომდე მივიდეს, მაგრამ ხომ არ გვავიწყდება რა ხდებოდა 2007 წლის ოქტომბერში, როცა საპარალამენტო დელეგაციის წარმომადგენლები ზუგდიდში ჩავიდნენ და უშუალოდ მეგის ქარდავა ხელმძღვანელობდა ამ პარლამენტარების ცემა-ტყეპის ამბავს. როცა ასეთ განცხადებებს გააკეთებთ, იქნებ საკუთარ ბიოგრაფიას და წარსულს გადახედოთ“, — აღნიშნა უმრავლესობის წევრმა.

პირველი

# ანიტა რაჭველიშვილი პატრიარქისთვის იმღერებს

ეკა ირემაშვილი

18 იანვარს უცხოეთში მოღვაწე ქართველი საოპერო მომღერალი ანიტა რაჭველიშვილი საქართველოს ეროვნულ მუსიკალურ ცენტრში კონცერტს გამართავს. ევგენი მიქელაძის სახელობის სიმფონიურ ორკესტრთან ერთად კონცერტში მონაწილეობას მიიღებს კომპოზიტორი და დირიჟორი ნიკოლოზ რაჭველი. საღამო სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, მცხეთა თბილისის მთავარეპისკოპოსის, ბიჭვინთისა და ცხუმ- აფხაზეთის მიტროპოლიტის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია მეორის დაბადებიდან 80 და აღსაყდრებიდან 35 წლის იუბილეებს ეძღვნება. საიუბილეო საღამოზე შესრულდება მორის რაველის „ბოლერო“, ბიზე-შჩედრინის „კარმენ სიუიტა“ და მაგუელ დე ფალიას „ჯადოქარი სიყვარული“. ეს იქნება ვოკალის, მუსიკისა და ქორეოგრაფიის ნაზავი, ამიტომ ეროვნულ მუსიკალურ ცენტრში უწყვეტი რეპეტიციები უკვე რამდენიმე დღეა მიმდინარეობს.

ქართველი მეცოსოპრანო ანიტა რაჭველიშვილი უკვე წლებია საზღვარგარეთ ცხოვრობს და მოღვაწეობს. მისი შემოქმედება კარგა ხანია საოპერო ხელოვნების მოყვარულთა ყურადღების ცენტრშია. განსაკუთრებით კი მისი კარიერა მას შემდეგ გახდა ინტერესის საგანი, რაც საოპერო მომღერალმა „ლა სკალას“ მორიგი თეატრალური სეზონი „კარმენით“ გახსნა. ეს აღმოჩნდა ჯერ-ჯერობით პირველი შემთხვევა, როდესაც ქართველმა საოპერო მომღერალმა წამყვანი პარტიით გახსნა ლა სკალას სეზონი.

ანიტამ თბილისის კონსერვატორია მანანა ეგაძის ხელმძღვანელობით დაამთავრა და საზღვარგარეთ გაემგზავრა სწავლის გასაგრძელებლად. მისი პირველი ნაბიჯები თანდათან მოექცა საოპერო სამყაროს ყურადღების ცენტრში. ანიტას ცნობილმა დირიჟორმა დანიელ ბარენბოიმმა მიიწვია „კარმენში“. ეს პარტია გახდა დებიუტანტი ქართველი მეცოსოპრანოსთვის წარმატების საწინდარი, მისი შესაძლებლობები დადებითად შეაფასეს როგორც კრიტიკოსებმა, ასევე საოპერო თეატრის მოყვარულებმა.

ანიტა რაჭველიშვილს გამოცემა „ფიგარო“ „მგრძნობიარე, ემოციური, საოცარი ხმით“ ახასიათებს. „ქართველმა მომღერალმა „ლა სკალას“ მსმენელს ენთუზიაზმი შემატა“ – ასე აფასებენ ახალგაზრდა ქართველი მეცოსოპრანოს შესაძლებლობებს საზღვარგარეთ. გამოცემა ნიუ იორკ თაიმსი ანიტას შესაძლებლობებს ასე აფასებს: „უძლიერესი ხმის მქონე ანიტა რაჭველიშვილი სცენაზე ბიზეს „კარმენით“ წარსდგა. მიუხედავად იმისა, რომ ქართული წარმოშობის მომღერალი სულ 28 წლისაა სრულიად ღირსეულად ფლობს მეცოს სტატუსს. მას აქვს სუპერვარსკვლავის საოცარი მიზიდულობა. „ჰაბანერას“ არიაში ძალიან კარგად გამოხატავს საკუთარ პერსონაჟს, არის ქალი, რომელსაც შეუძლია უყვარდეს და მოკლას. მიუხედავად იმისა, რომ გარკვეული ფრაზები მისგან ზოგჯერ უხეშად ჟღერდა, მას არ გადაუხვევია საკუთარი პერსონაჟის ხასიათისგან. ანიტა რაჭველიშვილი გაუზვიადებლად შესანიშნავი კარმენია. სპექტაკლის დასრულების შემდეგ მისი უძლიერესი ხმის ტემბრით სავსე იყო სცენა. დასაწყისისთვის ყველაფერი უფრო გენერალურ რეპეტიციას ჰგავდა, მაგრამ მეორე აქტში, როდესაც რაჭველიშვილი გამოჩნდა, ყველაფერი შეიცვალა. სცენაზე ნამდვილი ცეცხლი დაინთო, როდესაც მისი შესანიშნავი ხმა გაისმა. ყველა კარგ „კარმენს“ შეუძლია დომინანტი იყოს სცენაზე და ეს რაჭველიშვილს ნამდვილად გამოუვიდა, ქართველ მეცო-სოპრანოს, რომლის დებიუტი „ლა სკალაში“ 2009 წელს შედგა. თავისი წარმოუდგენელი სექსუალურობითა და დაუმორჩილებელი სულით ანიტა რაჭველიშვილი ნამდვილად საუკეთესო კანდიდატურაა კარმენის როლისთვის.“



საოპერო მომღერალს უკვე მთლიანად აქვს გაწერილი 2013 წლის საკონცერტო გრაფიკი, რომელიც საკმაოდ დატვირთული და მრავალფეროვანია. იტალიაში მოღვაწე ქართველი საოპერო ვარსკვლავის რეპერტუარშია რამდენიმე პრემიერა, მათ შორის ერთ-ერთში საყვარელ ადამიანთან, მეუღლესთან ერთად იმღერებს. მისი რჩეული იტალიელი ტენორი რიკარდო მასია. წყვილმა ერთმანეთი „ლა სკალას“ აკადემიაში გაიცნო და ხანგრძლივი მეგობრობა ქორწინებით დააგვირგვინა. რიკარდო იტალიის ცენტრალური რეგიონიდან მარკესიდან არის და მისი ოჯახიც იქ ცხოვრობს. ანიტამ და რიკარდომ უკვე მოასწრეს საქართველოში ჩამოსვლა და იტალიელი სიძეც საქართველოთი მოიხიბლა. აღფრთოვანებული დარჩა საქართველოთი ანიტას იტალიელი დედამთილიც. რიკარდო ტეონია, ის და ანიტა სხვადასხვა რეპერტუარს ასრულებენ, ამიტომ ერთად სიმღერა ხშირად არ უწევთ. წყვილს შემოქმედებითი კარიერა ახალი დაწყებული აქვს, ამიტომ შვილის გაჩენას ჯერ არ აპირებენ.

ოპერა, რომელსაც ანიტა რაჭველიშვილი განსაკუთრებულად ელის, ჯუზეპე ვერდის „აიდაა“, სადაც ქართველი მომღერალი თავის მეუღლესთან ერთად წარსდგება მსმენელის წინაშე. ანიტა ამნერის პარტიას შეასრულებს, რიკარდო – რადამესის.

როგორც საოპერო სამყაროს კრიტიკოსები იუწყებიან, ანიტა რაჭველიშვილს წინ დიდი მომავალი აქვს და მისი მოსმენა კიდევ არაერთ საოპერო სპექტაკლში მოგვიწევს.

18 იანვარს დაეგმილი კონცერტი არ იქნება პირველი შემთხვევა, როცა ანიტა რაჭველიშვილი და ნიკოლოზ რაჭველი ქართული საზოგადოების წინაშე ერთობლივად წარსდგებიან. 2011 წელს ანიტამ თბილისელი მსმენელისთვის ევგენი მიქელაძის სახელობის ეროვნულ სიმფონიურ ორკესტრთან და კაპელასთან ერთად საქართველოში პირველი გალა კონცერტი ჩაატარა. მაშინ მომღერალმა ევროპული თხზულებების გარდა, ქართული მუსიკაც შეასრულა. სიმბოლურია ისიც, რომ ანიტას და ნიკოლოზს ერთი პედაგოგი ჰყავდათ კონსერვატორიაში – ბიძინა კვერნაძე, ამიტომაც მადლიერმა მოწაფეებმა საღამო სწორედ ამ გენიალური კომპოზიტორის ნაწარმოებით გახსნეს.

საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა ანიტა რაჭველიშვილი საქართველოში ჩატარებული პირველი სოლოკონცერტის შემდეგ ღირსების ორდენით დააჯილდოვა, რაც საოპერო მომღერალს „საქართველოს ღირსების მაღალ დონეზე წარმოჩენისთვის“ მიენიჭა.

– ანიტა არის ნიჭიერების, მიზანდასახულობისა და ამ მიზნის შრომით მიღწევის მაგალითი. იგი არის სტანდარტი გაბედული და შრომისმოყვარე ქართველი ახალგაზრდისა. სასიხარულოა, რომ საქართველოში ბოლო პერიოდში ქართული მუსიკალური ნიჭის უპრეცედენტო მაღლასვლა შეინიშნება, – აღნიშნა პრეზიდენტმა.

ნიკოლოზ რაჭველი უკვე წლებია საქართველოს ეროვნულ მუსიკალურ ცენტრს ხელმძღვანელობს და პარალელურად, მუსიკისა და დრამის თეატრში მუსიკალურ ხელმძღვანელად მუშაობს. მუსიკალური განათლება მიიღო ევგენი მიქელაძის სახელობის საკრავიერი ხელოვნების კოლეჯში ფორტეპიანოსა და კომპოზიციის სპეციალობებით, ასევე თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიაში კომპოზიციის განხრით. დირიჟორობის კომპოზიციისა და მუსიკის თეორიის სპეციალობებს ეუფლებოდა ვენის მუსიკისა და სახვითი ხელოვნების უნივერსიტეტში. სტუდენტობის პერიოდიდან მოყოლებული ეწევა მრავალმხრივსა და აქტიურ შემოქმედებით, საშემსრულებლო და საორგანიზაციო საქმიანობას. იგი ავტორია სხვადასხვა ჟანრის მრავალი ნაწარმოებისა, რომელთა შორისაა ორმოქმედებიანი მუსიკალური დრამა ,,შელოცვა რადიოთი“, ,,დაგვიანებული რეკვიემი“ სიმფონიური ორკესტრის, შერეული გუნდისა და სოლისტებისათვის ვიდეო პროექციის თანხლებით, ,,როტარი – კვარტეტი“ სიმებიანი კვარტეტისა და ელექტრონიკისათვის, ,,გზა შინისაკენ და უკან“ ოთხი ვერსია სხვადასხვა შემადგენლობის ანსამბლებისა და გუნდისათვის, ,,მით უმეტეს“ კამერული ანსამბლის, შერეული გუნდისა და 12 ფლეიტისტი მოზარდისათვის, ინტრო ვერსია ფორტეპიანოსათვის, ინტრო ვერსია ფორტეპიანოსა და კამერული ორკესტრისათვის, მუსიკა თეატრალური დადგმებისა და კინოფილმებისათვის, მრავალრიცხოვანი არანჟირებები ქართველ და უცხოელ კომპოზიტორთა ნაწარმოებების თემებზე. ნიკოლოზ რაჭველი მრავალი პროექტის მუსიკალური ხელმძღვანელია, მათ შორისაა მსოფლიო მუსიკის ისტორიაში ჩვენამდე მოღწეული პირველი საოპერო ნიმუშის ჯაკომო პერის ოპერა „ევრიდიკეს“ თანამედროვე ვერსია, რომელიც თბილისის კონსერვატორიაში დაიდგა, ნანი ბრეგვაძის შემოქმედებითი საღამო, გია ყანჩელის კინო და სათეატრო მუსიკის პროექტი „ყველას რაიმე აქვს სახსოვარი“ (რეჟისორი დავით დოიაშვილი, სოლისტი ნატო მეტონიძე), ბიძინა კვერნაძის საავტორო და საიუბილეო კონცერტები თბილისსა და ბათუმში, პაატა ბურჭულაძის მიერ დაარსებული ფონდ „იავნანას“ საქველმოქმედო ღონისძიებები, ლიზა ბაგრატიონის სოლო კონცერტი.

ნიკოლოზ რაჭველმა საქართველოს ეროვნულ სიმფონიურ ორკესტრს პირველად 11 წლის ასაკში უდირიჟორა. უკვე 20 წელია ეწევა საკონცერტო მოღვაწეობას როგორც პიანისტი და ორღანისტი. მისი სახელი შევიდა იუნესკოს ოქროს წიგნში „პლანეტის ახალი სახელები“. როგორც პიანისტი და კონცერტმაისტერი სხვადასხვა დროს თანამაშრომლობდა იური ბაშმეტთან, ვანესა რედგრეივთან, ლალო შიფრინთან, ჯესი ნორმანთან, აგრეთვე ქართული მუსიკისა და თეატრის მრავალ სახელოვან მოღვაწესთან. ნიკა მემანიშვილის დირიჟორობით ლონდონის ორკესტრის, ანსამბლ „რუსთავისა“ და ბავშვთა კაპელას შესრულებით ინგლისში შედგა გია ყანჩელის ვოკალურ-ინსტრუმენტული ნაწარმოების „პატარა იმბერი“ პრემიერა და ნაწარმოები ჩაიწერა გამოსაცემად. დირიჟორი არაერთი საერთაშორისო კონკურსის ლაურეატი და ჟიურის წევრია, არის საქართველოს პრეზიდენტის, ედუარდ შევარდნაძის 6-გზის სტიპენდიანტი და ზურაბ ჟვანიას სახელობის წინანდლის პრემიის ლაურეატი. 2001 წელს საქართველოს კულტურის სამინისტრომ მიანიჭა სახელმწიფო პრემია თბილისის თავისუფალ თეატრში განხორციელებული სპექტაკლის „ჯინსების თაობა – დაგვიანებული რეკვიემი“ მუსიკისათვის. მუსიკის ავტორია დიზაინერ მაკა ასათიანის გახმაურებული პროექტისა, რომელიც პანკისის ხეობაში განხორციელდა. 10 წლის წინ ნიკოლოზ რაჭველი ავსტრიიდან მოწვეულ იქნა ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკისა და დრამის სახელმწიფო თეატრის მუსიკალურ ხელ-

გაგრძელება მე-10 გვერდზე

ფოთისა და ხობის მიტროპოლიტ გრიგოლის კურთხევით 2009 წლის ივლისიდან მიმდინარეობს ხობის მონასტრის უძველესი ტაძრის სარესტავრაციო-აღდგენითი სამუშაოები

თუ გსურთ, მიიღოთ მონაწილეობა მიმდინარე სამუშაოების განხორციელებაში, დარეკეთ ყველა მობილური ოპერატორიდან და ქალაქის ფიქსირებული ქსელებიდან ნომერზე: 0-901-900-900.

ზარის ღირებულება - 1 ლარი.

იცხოვრეთ მომავალისთვის.
უფალი გფარავდეთ ყველგან და ყოველთვის.




საბანკო რეკვიზიტები:
ფოთისა და ხობის ეპარქია, ს/ნ 215 090 425
ხობი, სოფ.ნოჯიხევი
ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტერი.
ს.ს. „ლიბერთი ბანკის“ ხობის ფილიალი
ბ/კ: LBRTGE22
ანგ. N GE28LB 0122 1802 48686 000

თანხის ჩასარიცხად შეგიძლიათ გამოიყენოთ სწრაფი გადახდის აპარატები: იხილეთ მენიუში — სხვადასხვა — საქველმოქმედო — ხობის მონასტერი.

ხობის ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტრის წინამძღვარი იღუმენია ანა (მუსელიანი)

## განცხადებები

● ქირავდება ვაკის პარკთან მე-3(5) სართულზე,3-ოთახიანი გარემონტებული ბინა, მოწესრიგებული სადარბაზო, საკაბელო, ინტერნეტი, 2 ტელეფონი, 2 კარმა, იტალიური სანტექნიკით, სარეცხი მანქანით, ბოშის დიდი მაცივრით გადიდებულ სამზარეულოში, კონდენციონერით, 2 აივნით, ლოჯიით, 115 კვ.მ. თამარაშვილის 5, გამოდგება საოფისედაც. ფასი 680 დოლარი, ტელ: 577-402-407.

● ძლიერ დაქვეითებული სმენის, ოტიტის, პროსტატიტის, ცისტიტის, ხშირი შარდვის, საკვერცხეების ანთების, მასტიტის, წითელი ქარის, შეუხორცებელი ჭრილობების, მოტეხილობის და სხვა დაავადებების განკურნება უმოკლეს დროში ბიოენერგოინფორმაციული მასაჟის უნიკალური მეთოდით, ასაკის მიუხედავად, არასკეპტიკოსებისთვის. მიღება შეზღუდულია წინასწარი ჩაწერით. ტრადიციული სამედიცინო საქმიანობის მართვის ცენტრთან არსებული საზოგადოების წევრი, სერთიფიცირებული დამსახურებული სახალხო მკურნალი ლევან სეხნიაშვილი. ტელ: 599-978-546; 551-254-535.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის, შარდვის პრობლემების (გახშირებული, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი ენურიზი ბავშვებში და მოზრდილებში) მკურნალობა უნიკალური მცენარეული პრეპარატებით, 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-25-44-14 ან 234-02-38 ექიმი ქ-ნი მზია.

● ალკოჰოლიზმისგან სწრაფი განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნევროზების, შიშების, უძილობის, დეპრესიის მკურნალობა, ორგანიზმის გაწმენდა მცენარეული პროდუქციით, შედეგები 100%-იანია. ტელ: 599-25-44-14; 599-25-44-14 ექიმი ქ-ნი მზია.

● მამაკაცებისათვის: იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, უნებლიე შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი შარდვისას. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგებით. ტელ: 558-96-89-15; 234-02-38 ექიმი, ქ-ნი მეგი.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სწრაფი გათავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნერვული სისტემის მოწესრიგება, ღვიძლის ფუნქციის აღდგენა. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგით. ტელ: 558-96-89-15; 234-02-38 ექიმი, ქ-ნი მეგი.

● კუჭ-ნაწლავის პრობლემების: გასტრიტი (მწვ. და ქრო.), კოლიტი, ენტერიტი, ყაბზობა, დისბაქტერიოზი. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. ორგანიზმის გაწმენდა, იმუნიტეტის გაძლიერება. 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-96-44-94; 234-02-38 ექიმი ქ-ნი სალომე.

● ძვალსახსართა პრობლემის მკურნალობა – ოსტეოპოროზი, ართრიტები, კოქსართროზი, დაზიანებული ხრტილის აღდგენა, ტკივილის სინდრომის მოხსნა, მკურნალობა მცენარეული საშუალებებით, 100%-იანი შედეგით. ტელ: 234-02-38; 558-15-63-33 ექიმი ქ-ნი ნინო.

● ცხადდება მიღება მასაჟისა და კოსმეტოლოგიის კურსებზე, დამთავრების შემდეგ გაიცემა სერთიფიკატი. ხელმძღვანელი ექიმი გულიკო ჩიკვილაძე. ტელ: 2-96-67-03; 595-35-64-13.

# გორში ივანაუსკასს ელიან, დინამო შეკრებას თურქეთში გაივლის

გუშინ, გორის ცენტრალური სტადიონის საპრესკონფერენციო დარბაზში შედგა შეხვედრა კლუბის ხელმძღვანელობასა და გორის „დილას" ფეხბურთელებს შორის, სადაც ცნობილი გახდა რომ გიორგი დარასელიას წასვლის შემდეგ მოლაპარაკებები მიმდინარეობს ვალდას ივანაუსკასთან. ის რამდენიმე დღეში ჩამოვა საქართველოში. „დილამ" ვარჯიში გორში გუშინვე განაახლა.

ივანასუსკასი სტაჟიანი ქართველი გულშემატკივრებისთვის კარგად არის ნაცნობი. კაუნასის „ჟალგირისისა“ თუ მოსკოვის ცსეკას შემადგენლობაში თამაშისას მას თბილისში, ქუთაისსა და ლანჩხუთში საბჭოთა კავშირის პირველობაზე უთამაშია ქართულ გუნდებთან. გელა კეტაშვილთან ერთად 1988 წელს მოპოვებული აქვს ოლიმპიური ოქროს მედალი.

რაც შეეხება მის სამწვრთნელო კარიერას, მათგან გამოსარჩევი შოტლანდიური „ჰართსი“ და გერმანული „კარლ ცეისია“. ასევე წვრთნიდა ლიტვის სხვადასხვა ასაკობრივ ნაკრებებს.

გუნდიდან წასულ ფეხბურთელებზე ადრეც გიამბეთ, თუმცა „დილაში“ ახალწვეულებიც გამოჩნდნენ – გუნდთან ერთად ივარჯიშეს ბექა გოცირიძემ, ლაშა თოთაძემ, ლექსო კვახაძემ, ზურაბ მამალაძემ და რომან გოგინაშვილმა.

გუშინდელ ნომერში თბილისის „დინამოს“ ახალი სეზონისთვის მზადების შესახებ გიამბეთ, თუმცა როგორც ჩანს კლუბი ყოველდღიურ ძიებაშია და კიდევ რამდენი საინტერესო ახალი ამბავი შესთავაზა გულშემატკივარს.

როგორც უკვე ვწერდით, დინამოელები სეზონის მეორე ეტაპისთვის მზადებას 15 იანვრიდან შეუდგნენ. დუშან უპრინი ორჯერად ვარჯიშებს ატარებს. გუნდი დიღმის საწვრთნელ ბაზაზე 21 იანვრამდე მოემზადება, შემდეგ კი თურქულ შეკრებაზე გაემგზავრება, სადაც ორ უცხოურ შეკრებას გაივლიან. 21-31 იანვარს და 5-15 თებერვალს დინამო ანთალიაში მოემზადება. 21-31 იანვარს, გუნდი სასტუმრო „ბლუ უოთერსში“ იცხოვრებს და 3 ამხანაგურ შეხვედრას გამართავს. სავარაუდოდ, 23 იანვარს დინამოელები ყაზახეთის ჩემპიონს, ყარაგანდის „შახტიორს“ ესპარინგებიან, 26 იანვარს მათი მეტოქე უკრაინის პრემიერლიგის წარმომადგენელი პოლტავის „ვორსკლას“ შეხვდებიან, ხოლო 29 იანვარს ასევე უკრაინის პრემიერლიგის წარმომადგენელ მარიუპოლის „ილიჩევეცს“.

1 თებერვალს დინამო სამშობლოში დაბრუნდება. 5-15 თებერვალს კი ისევ თურქულ შეკრებას გაივლის და „მარდან პალასში“ დაბინავდება. მეორე შეკრებაზე 4 სპარინგი იგეგმება. სავარაუდო მეტოქეები იქნებიან:

7 თებერვალი: „ამკარი“ (პერმი, რუსეთი); 9 თებერვალი: „პოლონია“ (ვარშავა, პოლონეთი); 11 თებერვალი: მეტოქე დასაზუსტებელია; 13 თებერვალი: „ზორია“ (ლუგანსკი, უკრაინა).

როგორც ირკვევა, „დინამოში“ დაბრუნდა 29 წლის დიმიტრი ტატანაშვილი. რომელიც თბილისელთა შემადგენლობაში 2010-11 წლების სეზონშიც გამოდიოდა და 15 შეხვედრაში 4 გოლი გაიტანა. მიმდინარე სეზონის პირველი ნახევარი მან რუსთავის „მეტალურგში“ გაატარა, სადაც ჩემპიონატის 22 მატჩში 7 ბურთი გაიტანა. დიმიტრის სხვადასხვა დროს „ამერში“, ჩეხურ „პლზენსა“ და „კლადნოში“, ასევე უკრაინულ ზაპოროჟიეს „მეტალურგში“ უთამაშია.

**დიმიტრი ტატანაშვილი:**

– „დინამო“ ჩემთვის საყვარელი გუნდია, განსაკუთრებული გრძნობები მაკავშირებს. ახლა კიდევ ერთხელ მომიწევს „დინამოს“ მაისურით თამაში და ვეცდები გუნდის წარმატებაში ჩემი წვლილის შეტანას. გუნდში ბევრი რამ შეიცვალა, დღეს „დინამოს“ კიდევ უფრო დიდი ამბიციები აქვს. მიზანი არა მარტო ქართულ, არამედ ევროპულ ასპარეზზე წარმატებული გამოსვლაა. მიუხედავად იმისა, რომ წინა სეზონში დინამოს შემადგენლობაში არ ვთამაშობდი, გულშემატკივრებისგან განსაკუთრებულ სითბოს ვგრძნობდი. დიდ პატივს ვცემ მათ და იმედი მაქვს მათთვის მადლობის გადახდას მოედნიდან, „დინამოს“ მაისურით გატანილი გოლებით მოვახერხებ.

გაირკვა ისიც, რომ თბილისის „დინამო" მოლაპარაკებებს აწარმოებს „ზესტაფონის" ყოფილ ლეგიონერ, გერმანელ პატრიკ მილხრაუმთან და გავრცელებული ინფორმაციით კონტრაქტსაც მალე მოაწერს ხელს.

შეგახსენებთ, რომ მილხრაუმმა „ზესტაფონი" პირველი წრის დასრულების შემდეგ დატოვა. კლუბი და ფეხბურთელი ახალ კონტრაქტზე ვერ შეთანხმდნენ.

გავრცელებული ინფორმაციით, „დინამოს" გიორგი ლორია დატოვებს და კლუბი უკვე მის შემცვლელსაც ეძებს. საუბარია, 27 წლის ბელგიელ გლენ ვერბაუდზე, რომელიც ბოლოს „ვესტერლოში" გამოდიოდა. თითქოს გადაწყვეტილია 24 წლის გამბიელი ფორვარდის, ოუსმან ჯალუს გადასვლაც, რომელიც ბოლოს თურქეთის პირველი ლიგის „ჩეიქურ რიზესპორში" გამოდიოდა.

# სოლომონ კვერკველია: კახა კალაძე სუპერფეხბურთელია!

ყაზანის „რუბინის“ 20 წლის მცველის სოლომონ კვერკველიას ინტერვიუ რუსულ მედიაში გამოქვეყნდა, სადაც განვლილ კარიერასა და სამომავლო გეგმებზე, ასევე თუ რატომ შეეცვალა გვარი, ისაუბრა.



ქართველ უკანახაზელს „რუბინში“ დებიუტი 2011 წელს ჰქონდა. მოგვიანებით, კლუბმა კვერკველია რუსეთის პირველი დივიზიონის კლუბ „ნეფტეხიმიკში“ გაანათხოვრა, ახლა კი, ქართველი ისევ ყაზანში დაბრუნდა. ახალგაზრდა მცველი აცხადებს, რომ მისთვის მთავარი სათამაშო პრაქტიკაა.

**სოლომონ კვერკველია:**

– კმაყოფილი ვარ იმ პერიოდით, რომელიც „ნეფტეხიმიკში“ გავატარე. იქ რეგულარულად ვთამაშობდი. ფიზიკურად, თავს კარგად ვგრძნობ და თამაში მინდა. ამასთან, კარგად ვაცნობიერებ, რომ „რუბინში“ ჩემს პოზიციაზე ნამდვილი ვარსკვლავები თამაშობენ. ჯერ ახალგაზრდა ვარ და გამოცდილება უნდა შევიძინო. იმედია, დაახლოებით 2 წლის შემდეგ, „რუბინის“ სასტარტო შემადგენლობაში სათამაშოდ მზად ვიქნები.

***– ანუ, კიდევ ერთი იჯარის წინააღმდეგი არ ხართ?***

– არა. ალბათ, „რუბინი“ მეორე შეკრებაზე არ წამიყვანს.

***– „რუბინის“ სასტარტო შემადგენლობაში უკვე გითამაშიათ. ახლა რატომ არ ცდილობთ სხვებისთვის კონკურენციის გაწევას?***

– ძირითადში თამაში იმიტომ მომიწია, რომ სეზარ ნავასს ტრავმა ჰქონდა. გუნდში მცველების დეფიციტი იყო და ამიტომ მათამაშეს. შემდეგ, ისევ გამოცდილ ფეხბურთელებს ენდნენ. ყველაფერი ლოგიკურია. როცა იქნება, ჩემი დრო მოვა. მინდა, „რუბინში“ თავი გამოვიჩინო, რადგან ძალიან კარგი გუნდია.

***– ფეხბურთში როგორ მოხვდით? ეს რამ განაპირობა? გვიამბეთ თქვენს თავზე.***

– ქალაქ სამტრედიიდან ვარ. მამაჩემი ადგილობრივი „ლოკომოტივის“ დიდი გულშემატკივარი იყო. მისი მეგობარი სპორტულ სკოლაში „გლორიაში“ მუშაობდა. ფეხბურთზე მამაჩემმა მიმიყვანა. 13 წლის ვიყავი, როდესაც თბილისში გადავბარგდი. თავდაპირველად, „დინამოს“ ასაკობრივ გუნდში ვიყავი, შემდეგ კი, თენგიზ სულაქველიძის აკადემიაში გადავედი. გსმენიათ რაიმე ამ ფეხბურთელის შესახებ?

***– რა თქმა უნდა. მას საბჭოთა კავშირის ნაკრებში მრავალჯერ უთამაშია.***

– დიახ, ლეგენდარული ფეხბურთელია. თბილისში, ორ უფროს დასთან ერთად ვცხოვრობდი. 17 წლის ასაკში, კონტრაქტი გავაფორმე აგენტ რევაზ ჩელებაძესთან. მან „ზენიტში“ სინჯებზე მიმიყვანა. სანკტ-პეტერბურგული კლუბის ახალგაზრდულ გუნდში ნახევარი წელიწადი გავატარე, შემდეგ კი, „რუბინის“ ვარიანტი“ გამოჩნდა.

***– „ზენიტის“ პირველ გუნდში ერთხელ მაინც თუ გივარჯიშიათ?***

– მხოლოდ ერთხელ. უდიდესი შთაბეჭდილებების ქვეშ ვიყავი. ჩემს გვერდით ისეთი ფეხბურთელები იყვნენ, როგორებიც კერჟაკოვი და ბრუნო ალვეში არიან.

***– ბევრის აზრით, ბრუნუ ალვეში იმ იმედებს ვერ ამართლებს, რასაც ელოდნენ.***

– პირადად ჩემთვის, ბრწყინვალე მცველია. მას რუსეთის ჩემპიონატის საუკეთესო მცველთა ოთხეულში დაუფიქრებლად შევიყვანდი.

***– „ზენიტიდან“ „რუბინში“ რატომ გადახვედით?***

– იმ პერიოდში, „ზენიტში“ თამაშის მინიმალური შანსიც კი არ მქონდა. „რუბინის“ ვარიანტი პერსპექტიულად მეჩვენა. თანაც, ყაზანელთა ახალგაზრდულ გუნდში ჩემი თანამემამულე ავთანდილ ბრაჭული თამაშობდა. ვიფიქრე, რომ ერთად ყოფნა საქმეს შეგვიმსუბუქებდა.

***– ქართველ ფეხბურთელებს შეტევა, ფინტების კეთება და ლამაზი თამაში უყვართ. მცველობა რატომ გადაწყვიტეთ?***

– ყოველთვის მაღალი ვიყავი და თავით კარგად ვთამაშობდი. ჩემი ამპლუა ძალიან მომწონს.

***– თქვენამდე, „რუბინში“ კიდევ ერთი კვირკველია თამაშობდა – დათო. მისი გვარის მესამე ასო ბგერა „ი“ იყო, თქვენსაში კი, „ე“-ა.***

– წესით, მეც კვირველია უნდა ვყოფილიყავი, მაგრამ შეცდომა პასპორტში გაიპარა. ადამიანმა, რომელიც ამ დოკუმენტს ამზადებდა, გვარი შეცდომით ჩაწერა. კვერკველია ამიტომ გავხდი.

***– გვარის საქმე გავარკვიეთ. ახლა, სახელზეც მინდა გკითხოთ. თქვენი მშობლებიდან ვინმე მეფის თაყვანისმცემელი იყო?***

– ყველაფერი მარტივადაა. ბაბუაჩემს სოლომონი ერქვა და ეს სახელი მისგან მივიღე. ალბათ, ბაბუაჩემს მართლაც დიდი ხელმწიფის გამო დაარქვეს ეს სახელი.

***– როდესაც პატარა იყავით, ქართველ ფეხბურთელებს შორის ვინ მოგწონდათ?***

– კახა კალაძე. მან ყველაფერი მოიგო, რისი მოგებაც შეიძლებოდა. სუპერფეხბურთელია!

***– კალაძეს იცნობთ?***

– არა, მიუხედავად იმისა, რომ ისიც სამტრედიიდანაა.

***– კარიერის დასრულების შემდეგ, კალაძე პოლიტიკაში წავიდა. ახლა, უკვე ვიცე-პრემიერი და ენერგეტიკის მინისტრია.***

– პოლიტიკა ჩემი საქმე არაა. ამ სფეროში მიმდინარე მოვლენებს თვალსაც კი არ ვადევნებ. ფეხბურთი სხვა საქმეა. კალაძეზე გითხარით და აქვე დავამატებ, რომ „მილანში“ მის თანაგუნდელ ანდრეი შევჩენკოსაც ვალმერთებდი. სახლში, ამ ფორვარდის დიდი პლაკატიც მქონდა.

***– შევჩენკოს წინააღმდეგ თამაში მოგიწიათ, როცა „რუბინი“ კიევის „დინამოს“ ხვდებოდა.***

– ენით აღუწერელი ემოციები მქონდა. ნამდვილი შოკი იყო. ვერ ვიჯერებდი, რაც ხდებოდა. თანაც, ის თამაში მოვიგეთ.

***– შევჩენკოს მაისური არ გაუცვალეთ?***

– არა, ჩემს პირველ მაისურებს საქართველოში, ჩემს სახლში ვინახავ.

***– ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურ ეტაპზე, „რუბინი“ „ლიონთან“ დამარცხდა, თქვენ კი, ავტოგოლი გაიტანეთ. ამას დიდ ხანს განიცდიდით?***

– ძალიან დიდი უიღბლობა იყო. ვცდილობდი, ეს მომენტი მალე დამევიწყებინა.

***– განსხვავებით გოლისგან, რომელიც მეტოქეს გაუტანეთ.***

– დიახ. უდიდესი სიხარული იყო. ახლაც მახსოვს წუთი, როდესაც „ამკარს“ გავუტანე. ეს გოლი ანგარიშის გათანაბრებაში დაგვეხმარა.

***– „რუბინში“ მეგობრები თუ გყავთ?***

– ახლო მეგობრები, არა. ყველასთან ერთნაირი დამოკიდებულება მაქვს.

***– შეკრებებზე, ვხედავ, რომ საფეხბურთო მენეჯერს თამაშობთ.***

– დიახ, „ბარსელონასთან“ ერთად. ეს კლუბი ბავშვობიდან მიყვარს, მამაჩემი კი, კატალონიელებს აღმერთებს.

***– „რუბინისა“ და „ბარსელონას“ მატჩი თუ ნახეთ, რომელიც „კამპ ნოუზე“ ჩატარდა?***

– რა თქმა უნდა. ყოველთვის ვცდილობდი, ჩემპიონთა ლიგის მატჩი არ გამომეტოვებინა. მაშინ რომ ეთქვათ, ერთ მშვენიერ დღეს „რუბინში“ მოხვდებიო, ძალიან გამიკვირდებოდა. როგორც ხედავთ, ეს მოხდა.

# ტატიშვილი ავსტრალიას წყვილებშიც დაემშვიდობა

ქართველი ჩოგბურთელისთვის, რომელიც ავსტრალიის ღია პირველობაზე ძირითადი ბადიდან მოხვდა, წლის პირველი სლემი წარუმატებელი გამოდგა. ჯერ იყო და ერთეულებში წააგო, ახლა წყვილთა გათამაშებასაც გამოეთიშა.

ანა სლოვენიელ ანდრეა კლეპაჩთან ერთად გამოდიოდა. გოგონების მეტოქეები ჩინური დუეტი იუან ჰანი და იუ მაიუ ჟოუ გახლდათ. სასტარტო სეტი ქართველ-სლოვენიელმა წყვილმა ადვილად მოიგო – 6:1. მეორე სეტში წყვილებმა თითო ბრეიკი გაცვალეს და ასე მიიყვანეს საქმე ტაიბრეიკამდე, რომელშიც ჩინელებმა 7:5 გაიმარჯვეს.

მე-3 სეტში კი ყველაფერი სხვა გვარად წავიდა. ანდრეამ და ანამ 9 შესაძლოდან მხოლოდ 3 ბრეიკის აღება მოახერხეს, ჩინელებმა 6-დან 4 ბრეიკი გააკეთეს და საბოლოოდ 7:5 მოიგეს.

# შედეგები

## ფეხბურთი

**ამხანაგური მატჩი**

| | |
|---|---|
| ჩილე-სენეგალი | 2:1 |

**ინგლისი. თასი**

| | |
|---|---|
| ბირმინგემი-ლიდსი | 1:2 |
| ბორნმუთი-უიგანი | 0:1 |
| ბრენტფორდი-საუთენდი | 2:1 |
| ლეიტონი-ჰალი | 1:2(დდ) |
| მილტონი-უენსდი | 2:0 |
| სანდერლენდი-ბოლტონი | 0:2 |
| სტოკი-კრ.პალასი | 4:1(დდ) |
| ბლექპული-ფულემი | 1:2(დდ) |
| ვესტ ბრომვიჩი-ქპრ | 0:1 |

**ესპანეთი. სამეფო თასი**

| | |
|---|---|
| რეალი-ვალენსია | 2:0 |

**იტალია. თასი**

| | |
|---|---|
| ინტერი-ბოლონია | 3:2(დდ) |

**საფრანგეთი. თასი**

| | |
|---|---|
| სენტ ეტიენი-ლილი | 0:0(7:6პ) |

## კალათბურთი

**ნბა. რეგულარული სეზონი**

| | |
|---|---|
| ფილადელფია-ნიუ ორლეანი | 99:111 |
| შრლოტი-ინდიანა | 76:103 |
| ბრუკლინი-ტორონტო | 113:106 |
| ჰიუსტონი-კლიპერსი | 109:117 |
| დენვერი-პორტლენდი | 115:111(ოტ) |
| ლეიკერსი-მილუოკი | 104:88 |

## ჩოგბურთი

**ავსტრალიის ღია პირველობა**

**კაცები**

| | |
|---|---|
| ბაგდატისი-იტო | 3:6;6:3;6:2;6:2 |
| ბენეტო-როჯერ ვასელინი | 4:6;7:5;7:6;7:6 |
| ლოპესი-შტეპანეკი | 2:6;2:6;4:6 |
| ტიპსარევიჩი-ლაცკო | 6:3;6:4;3:6;4:6;7:5 |
| ანდერსონი-კუზნეცოვი | 6:1;7:5;6:4 |
| ჯოკოვიჩი-ჰარისონი | 6:1;6:2;6:3 |

**ქალები**

| | |
|---|---|
| ბარტოლი-დოლონცი | 7:5;6:0 |
| სტოსური-ჩჟენი | 4:6;6:1;5:7 |
| პერვაკი-უოტსონი | 6:4;6:7;2:6 |
| იანკოვიჩი-კიოლერი | 2:6;7:6;6:2 |
| კირსტეა-პლიშკოვა | 1:6;6:3;6:2 |
| ივანოვიჩი-ჩანი | 7:5;1:6;6:4 |
| შარაპოვა-დოი | 6:0;6:0 |
| უილიამსი!ვ.-კორნე | 6:3;6:3 |

მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა

# ქორქია-საკანდელიძე ქუთაისის გარეშე ტარდება

ბავშვთა საკალათბურთო აკადემიის დარბაზში სტარტი აიღო მიხეილ ქორქიასა და ზურაბ საკანდელიძის სახელობის მემორიალმა. ტურნირი 22 იანვრამდე გასტანს და მასში მონაწილეობას სუპერლიგის 9 გუნდი მიიღებს, რომლებიც 2 ჯგუფში არიან განაწილებულნი.

ა ჯგუფში თავი „ოლიმპმა", „არმიამ", „დინამომ", თსსუ-მ და სტუ-მ მოიყარეს, ბ-ში კი „შსს-აკადემია“, „რუსთავი“, თსუ და „სოხუმი“ მოხვდნენ. გუნდები ერთ წრედ ითამაშებენ და ფინალში ჯგუფების გამარჯვებულები შეხვდებიან.

გასაოცარი ის არის, რომ ქორქია-საკანდელიძის მემორიალში მონაწილეობას არ იღებს იმ ქალაქის გუნდი, სადაც ეს ორი უდიდესი სპორტსმენი დაიბადა. ჩვენი აზრით, ქუთაისური კლუბის მხრიდან ვერაფერი პატივისცემაა.

პირველ მატჩში ერთმანეთს თბილისის „დინამო“ და ტექნიკური უნივერსიტეტის გუნდი შეხვდნენ. მიუხედავად იმისა, რომ ტრავმის გამო რამდენიმე მოთამაშე აკლდათ, ირაკლი ხოშტარიას გაწვრთნილმა დინამოელებმა მეტოქე იოლად დაამარცხეს. ეს არცაა გასაკვირი. სტუ მიმდინარე სეზონში ჯერჯერობით ყველაზე სუსტად ასპარეზობს. ზურაბ ტომარაძის გუნდი ერთადერთია, რომელსაც საქართველოს ჩემპიონატში გამარჯვება არ მოუპოვებია. აღსანიშნავია, რომ სტუ-მ პირველ ტაიმში მეტოქეს არაფერი დაუთმო. მეორე მეოთხედის ერთ ეპიზოდში ტექნიკოსები დაწინაურდნენ კიდეც, თუმც დიდ შესვენებას „დინამო“ მაინც ლიდერად შეხვდა – 35:34.

მესამე მეოთხედიდან დინამოელებმა სრული უპირატესობა მოიპოვეს და დარჩენილ დროში მეტოქეს ყველა კომპონენტში აჯობეს, რაც საბოლოო ანგარიშზეც აისახა – 85:59.

„დინამოში“ საუკეთესო შედეგი ამერიკელ ფლინ კლაიმანს ჰქონდა, რომელმაც 22 ქულა და 10 მოხსნა დააგროვა. 14 ქულა მიითვალა ბექა ღუდუშაურმა, ხოლო შოთა გელაზონიამ 12 ქულა და 13 მოხსნით ორმაგი დუბლი გაიფორმა. სტუ-ში ათქულიანი ზღვარი ტატო ჩაჩიბაიამ და დავით პირველაშვილმა გადალახეს. პირველმა რომელმაც 15 ქულა დააგროვა, მეორემ - 11.

დღის მეორე შეხვედრაში მემორიალის შარშანდელმა გამარჯვებულმა „არმიამ“ სამედიცინო უნივერსიტეტის გუნდს 99:62 მოუგო.

მატჩის ბედი პირველივე მეოთხედში გაირკვა. აღნიშნული პერიოდი „არმიამ“ 30:12 მოიგო და ცხადი გახდა, რომ დარჩენილ დროში გამარჯვებამდეც იოლად მივიდოდა. მეორე ათწუთეული არმიელებმა 24:14 მოიგეს და დიდ შესვენებაზე კოტე ტუღუშის გუნდი 28-ქულიანი ლიდერობით გავიდა.

მეორე ტაიმში არმიელებმა ტემპი დააგდეს და საბოლოოდ 99:62 გაიმარჯვეს. თავდაცვის სამინისტროს გუნდმა გუნდურად ითამაშა. გამოკვეთილად გამორჩეული სტატისტიკა არც ერთ კალათბურთელს არ ჰქონია. 16 ქულით ბომბარდირი ლაშა ფარღალავა გახდა, ხოლო გიორგი ჯგერენაიას ანგარიშზე 14 ქულა დაგროვდა.

# გვარდიოლა ინგლისისკენ ეშურება

დიდი შანსია ესპანელმა სპეციალისტმა ხოსეპ გვარდიოლამ კარიერა ინგლისში გააგრძელოს. პეპმა ერთ-ერთ გამოცემასთან საუბარში იმედი გამოთქვა, რომ საკუთარი შესაძლებლობების ინგლისის პრემიერლიგაში გამოცდის საშუალება მიეცემა.

– როგორც ფეხბურთელმა, ჩემი ოცნების რეალიზება ვერ შევძელი და ინგლისში ვერ ვითამაშე. თუმცა, იმედს ვიტოვებ, რომ ამ სურვილს მწვრთნელის რანგში ავისრულებ. პრემიერლიგა უნიკალური ტურნირია. დიდი სურვილი მაქვს იქაური ტრიბუნების მხარდაჭერას, ინგლისური მასმედიის წნეხსა და თამაშის გამორჩეულ სტილს ვეზიარო. ჯერ მხოლოდ 41 წლის ვარ. ასე რომ, იმედი მაქვს, ჩემ ძალებს ინგლისის ჩემპიონატში გამოვცდი. ყოველთვის მიზიდავდა ინგლისური ფეხბურთი. იქ ფანატთა მხარდაჭერა უბრალოდ დიდებულია. მაგალითად, იტალიაში ყველას უყვარხარ სანამ იმარჯვებ. როდესაც მარცხდები – უკვე ყველას ეზიზღები. ინგლისში ქომაგობა უმაღლეს დონეზეა და სწორედ ამიტომ მიმიწევს გული იქ მუშაობისკენ, – განაცხადა გვარდიოლამ.

შეგახსენებთ, რომ „ბარსელონას" ყოფილი დამრიგებლისადმი ინტერესს ინგლისური კლუბები – „მანჩესტერ სიტი" და „ჩელსი" გამოხატავდნენ.

# თავისუფალ თეატრში პრემიერაა

ეკა ირემაშვილი

თავისუფალი თეატრი ახალ წელს ახალი სპექტაკლით იწყებს. საახალწლო წარმოდგენების დასრულების შემდეგ, რომელშიც სპექტაკლები „ბრემენელი მუსიკოსები“ და „სტუმრად პეპისთან“ გაერთიანდა, თეატრის ხელმძღვანელმა ავთო ვარსიმაშვილმა ერთგულ მაყურებელს პრემიერა უნდა წარუდგინოს.

„ვალსი ძილის წინ“ – ასე ჰქვია ახალ სპექტაკლს, რომელიც რეჟისორის თქმით, ჩვენს დედებს, ბებიებს და მათ მეგობრებს ეძღვნებათ. პიესის ავტორი და რეჟისორი ავთანდილ ვარსიმაშვილია, მხატვარი – მირიან შველიძე, კოსტიუმების მხატვარი – ნატა კობახიძე, ქორეოგრაფი – გია მარღანია, ლობტარი – სალომე მაკარიძე, რეჟისორის თანაშემწე – თამუნა კამლაძე, ხოლო გრიმი ანა მურვანიძეს ეკუთვნის.

სპექტაკლში ტრადიციულად თავისუფალი თეატრის დასია დაკავებული. საპრემიერო წარმოდგენაზე მისული მაყურებელი სპექტაკლში იხილავს ქეთა ლორთქიფანიძეს, მაია დობორჯგინიძეს, მარიამ ჯოლოგუას, თამუნა ნიკოლაძეს, თიკო კორძაძეს, კახა მიქიაშვილს, სალომე ჭულუხაძესა და ნათია კვაშალს.



სპექტაკლი თბილისის მერიის მხარდაჭერით განხორციელდა. მერიის მხარდაჭერით იქნა წარმოდგენილი სპექტაკლი თავისუფალ თეატრში „თამაშით შეპყრობილი“, რომლის რეჟისორიც თინათინ ჭაბუკიანია, პიესის ავტორი – ნონა კუპრეიშვილი, კომპოზიტორი – ეკა ჭაბაშვილი, მხატვარი – თამარ მაჭარაშვილი. ამ სპექტაკლში სამმა მსახიობმა თენგიზ წულაიამ, მაია ლომიძემ და თემურ ხუციშვილმა მიიღო მონაწილეობა.

პრემიერა დაიგეგმა დიმიტრი ალექსიძის სახელობის სასწავლო თეატრშიც. რეჟისორმა სანდრო მრევლიშვილმა იმუშავა შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებთან და განახორციელა სპექტაკლი არტურ მილერის პიესის მიხედვით. რეჟისორმა სპექტაკლში დააკავა მსახიობები მარიამ არღუთაშვილი, დავით ბელთაძე, თორნიკე ბელთაძე, გურამ ბერეკაშვილი, შოთა გაბელაია, გიგა იმედაძე, მარიტა იუკურიძე, ხატია კონჯარია, ბექა ლემონჯავა, ქეთი ლუარსაბიშვილი, ვახტანგ მიქაძე, გიორგი ტიგინაშვილი, ნატო ფილია, ბექა ქამხაძე, ელენე ქასრაძე, ბექა ქვარცხავა, გიორგი ქვრივიშვილი, ზურაბ ჯაფარაშვილი და ნათია გვასალია.

– არტურ მილერის პიესები წარმატებით იდგმება ამერიკის თეატრების სცენაზე და მაყურებელი მათ მიმართ განსაკუთრებულ ინტერესს იჩენს. კრიტიკოსების აზრით ის, რამაც მილერის პიესების აქტუალურობა გამოიწვია, გმირების ემოციური ხასიათი და დღევანდელ პრობლემებთან შესაბამისობა გახლავთ. პიესებში ავტორი ჩვეულებრივი ამერიკელების ცხოვრებას აღწერს, რომელიც სავსეა მარცხით, წარმატებებითა და იმედგაცრუებით. მილერის პიესის გმირები ისევე, როგორც რეალურ ცხოვრებაში, უამრავ პრობლემას აწყდებიან: სტანჯავთ უსახსრობა, უსამართლობა, ღალატი და გულგატეხილობა, – ნათქვამია თეატრალური უნივერსიტეტის განცხადებაში.

# როგორი იქნება ქართული პავილიონი ბიენალეზე?

დასაწყისი მე-12 გვერდზე

დეკემბერს გამოაცხადა, სულ შემოვიდა 17 საკურატორო წინადადება. კომისიამ ორდღიანი განხილვის შედეგად შეარჩია კურატორ იოანნა ვარშას პროექტი „ევრორემონტები, უკანასკნელი 20 წლის სოციალური და პოლიტიკური ალიაქოთი საქართველოში“. წლევანდელი ბიენალეს თემაა „ცოდნის ტაძარი“. ფორუმი გაიხსნება ვენეციაში 2013 წლის 1 ივნისს. კომისიის შემადგენლობაში კი შედიოდნენ მარინე მიზანდარი – კომისიის თავმჯდომარე, კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის მოადგილე, ლალი პერტენავა – ხელოვნებისა და კულტურის ქსელური პროგრამის კოორდინატორი, ფონდი „ღია საზოგადოება – საქართველო“, ხათუნა ხაბულიანი – თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიაში ხელოვნების ისტორიის ლექტორი, კურატორი, არტ კრიტიკოსი, ანა რიაბოშენკო – არასამთავრობო ორგანიზაცია „ტრემის“ დამფუძნებელი, ლაშა ბაქრაძე – საქართველოს გიორგი ლეონიძის სახელობის სახელმწიფო ლიტერატურული მუზეუმის დირექტორი და ლიკა მამაცაშვილი – კურატორი, თბილისის ისტორიის მუზეუმი „ქარვასლა“, – ნათქვამია კულტურის სამინისტროს მიერ გავრცელებულ სპეციალურ განცხადებაში.

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრომ ასევე შეაჯამა სტრასბურგის საშობაო ბაზრობა და შემაჯამებელ პრეზენტაციაზე ყველა ის დეტალი იქნა განხილული, რითიც ეს ბაზრობა ქართული მხარისთვის სასარგებლო აღმოჩნდა. სამინისტროში გამართულ პრეზენტაციას ესწრებოდნენ მინისტრი გურამ ოდიშარია, მინისტრის მოადგილეები ალექსანდრე მარგიშვილი, მარინე მიზანდარი, მანანა ბერიკაშვილი, მრჩეველთა საბჭოს წევრები და სტრასბურგის საშობაო ბაზრობის მონაწილეები.

ევროპის საპარლამენტო ქალაქში საშობაო ბაზრობა 24 ნოემბერს საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრმა გურამ ოდიშარიამ, მინისტრის პირველმა მოადგილემ ალექსანდრე მარგიშვილმა, ქალაქ სტრასბურგის მერმა როლანდ რიესმა გახსნეს. საპატიო სტუმრის სტატუსით საქართველომ, როგორც სტრასბურგის საშობაო ბაზრობის თანამასპინძელმა, „ქართული სოფელი“ და კულტურული ღონისძიებები გამართა.

– ამ კულტურული პროგრამის ფარგლებში კონცერტები ჩაატარეს ანსამბლებმა „სუხიშვილები“, „რუსთავი“ და „ლაშარი“, ევროპელი მაყურებლის წინაშე წარსდგნენ პიანისტი ხატია ბუნიათიშვილი, ჯაზმენი ბექა გოჩიაშვილი და მომღერალი თამთა ცხვიტავა. საშობაო ღონისძიებებში მონაწილეობა მიიღეს პანტომიმისა და თითების თეატრებმაც, შედგა ფოტოგრაფთა ექსპოზიცია, საბავშვო პროგრამა „თიხიანი ხელები“ და მოეწყო ქართული კინოჩვენებები, – ითქვა შემაჯამებელ პრეზენტაციაზე.

სტრასბურგის საშობაო ბაზრობის ღონისძიების საორგანიზაციო საქმიანობაში ჩართულნი იყვნენ საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო, საქართველოს მუდმივი წარმომადგენლობა ევროსაბჭოში, საპარტნიორო ფონდი და კომპანია „საქართველოს პროდუქტი“.

# ანიტა რაჭველიშვილი პატრიარქისთვის იმღერებს

დასაწყისი მე-8 გვერდზე

მძღვანელად, სადაც მისი დირიჟორობით დაიდგა ჯოაკინო როსინის ოპერა „საქორწინო გარიგება“ (რეჟისორი დავით დოიაშვილი), საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით შეიქმნა საქართველოს ეროვნული მუსიკალური ცენტრი, რომელშიც ერთიანდება ევგენი მიქელაძის სახელობის ეროვნული სიმფონიური და კამერული ორკესტრები, ნიკო სულხანიშვილის სახელობის ეროვნული საგუნდო კაპელა და სულხან ცინცაძის სახელობის ეროვნული სიმებიანი კვარტეტი, სადაც ნიკოლოზ რაჭველმა დაიწყო მოღვაწეობა გენერალური მუსიკალური ხელმძღვანელის თანამდებობაზე. როგორც ორკესტრის მთავარი დირიჟორი და სამხატვრო ხელმძღვანელი, ეწევა აქტიურ სადირიჟორო მოღვაწეობას. აღსანიშნავია მის მიერ ეროვნულ სიმფონიურ ორკესტრთან ერთად შესრულებული როგორც ქართველი, ასევე მსოფლიოში ცნობილ კომპოზიტორთა ნაწარმოებები. მის სახელთან არის დაკავშირებული „ქეთო და კოტესა“ და „ვერის უბნის მელოდიების“ გათანამედროვებული ვერსიების დადგმა ბათუმსა და თბილისში. „ქეთო და კოტეს“ ახლებური ვერსიისთვის მას საქართველოს პრეზიდენტმა რუსთაველის პრემია მიანიჭა. ნიკოლოზ რაჭველი სატელევიზიო სივრცესაც დაუბრუნდა, „ჯეოსტარისა“ და „ნიჭიერის“ შემდეგ „საქართველოს ვარსკვლავის“ ჟიურის ხელმძღვანელად მოგვევლინა.

ახალ 2013 წელს ეს არის პირველი ღონისძიება, რომელსაც ნიკოლოზ რაჭველი გამართავს. ანიტა რაჭველიშვილთან ერთად იგი ქართულ საზოგადოებას შობა-ახალ წელს მიულოცავს და რაც მთავარია, ამ საღამოთი კონცერტში მონაწილეები და მისი ორგანიზატორებიც საქართველოს პატრიარქს საიუბილეო თარიღებს მიულოცავენ.

გასული წლის ბოლოს, დირიჟორმა ეროვნულ მუსიკალურ ცენტრში კლასიკური მუსიკის საღამოს ჩაატარა, სადაც მიწვეული იყვნენ სპეციალური სტუმრებიც – კომპოზიტორი იოსებ ბარდანაშვილი, რომელიც ისრაელში და საქართველოში მოღვაწეობს, უცხოეთში მოღვაწე ქართველი სოლისტების მიერ შექმნილი საქართველოს ახალგაზრდული სიმებიანი კვარტეტი – თეიმურაზ ბუხნიკაშვილის (ფაგოტი), არიელ ცუკერმანის (ისრაელი, ფლეიტა) და ლიზა რამიშვილის (ჩელო) შემადგენლობით. ამავე საღამოზე შედგა საქართველოს სახელმწიფო სიმფონიური ორკესტრის ახალგაზრდა თაობის მუსიკოსების მიერ დაარსებული ანსამბლების „ჯორჯიან ბრასისა“ და „ჯორჯიან სტრინგის“ პრეზენტაცია. კონცერტის პროგრამაში გაერთიანდა მოცარტის, როსინის, პოპერის, რიმსკი-კორსაკოვის, ცინცაძის, მაჭავარიანისა და პიაცოლას ნაწარმოებები. ამავე საღამოზე სოსო ბარდანაშვილის ფლეიტის კონცერტის თბილისური პრემიერაც შედგა.

საქართველოს ეროვნულმა მუსიკალურმა ცენტრმა გასული წელი შეაჯამა და განაცხადა, რომ განვლილი ერთი წლის მანძილზე 75 კონცერტი ჩაატარა.

– 2005 წლიდან მოყოლებული ეროვნულმა მუსიკალურმა ცენტრმა 420 ღონისძიება გამართა. მათ შორის სიმფონიური მუსიკის საღამოები აღიარებულ ქართველ და უცხოელ შემსრულებლებთან ერთად, ასევე ფესტივალები, გასვლითი კონცერტები საქართველოს რეგიონებსა და უცხოეთის, მათ შორის, საფრანგეთის, იტალიის, გერმანიის, თურქეთისა და საბერძნეთის პრესტიჟულ საკონცერტო დარბაზებში. განახორციელა საგანმანათლებლო პროექტები და გამოჩენილ მუსიკოსთა საავტორო, საიუბილეო და სოლოკონცერტები, – ნათქვამია შემაჯამებელ განცხადებაში.

# ავღანეთიდან ჯარის გამოყვანა სიტუაციას არ გაართულებს

ავღანეთიდან სამხედროების გამოყვანა რეგიონში სიტუაციას არ გაართულებს, – მიიჩნევენ თეთრ სახლში.

ვაშინგტონში არ იზიარებენ შუა აზიის ქვეყნების შიშს, რომელიც სწორედ ავღანეთიდან ნატოს ჯარის გამოყვანას შეეხება. ამის შესახებ ცენტრალურ და სამხრეთ აზიის საკითხებში აშშ-ის სახელმწიფო მდივნის თანაშემწე რობერტ ბლეიკმა განაცხადა.

„2014 წლის შემდეგაც ჩვენი სამხედროები ავღანელი ჯარისკაცების სწავლებასა და ტექნიკურ დახმარებას გააგრძელებენ. ამავდროულად, ჩვენ გავაგრძელებთ მუშაობას ტერორიზმის თავიდან აცილებაში მათ დასახმარებლად. ჯერჯერობით უცნობია, თუ რა რაოდენობის ჯარისკაცი დარჩება ავღანეთში ამ საქმიანობის გასაწევად, რადგან ამ დროისათვის მიმდინარეობს მოლაპარაკება აშშ-ისა და ავღანეთის მთავრობებს შორის“, – აღნიშნა რობერტ ბლეიკმა აშხაბადში გამართულ პრესკონფერენციაზე.

მისი თქმით, ავღანეთის უშიშროების სამსახურები უფრო და უფრო კომპეტენტურები ხდებიან. ამ დროისათვის უსაფრთხოებისაკენ მიმართული ოპერაციების 80 პროცენტს სწორედ ისინი ასრულებენ. თებერვლამდე კი ავღანეთის დასახლებული ტერიტორიების 90 პროცენტზე მეტი მათ კონტროლს დაექვემდებარება.

როგორც ავღანეთის პრეზიდენტმა ჰამიდ ყარზაიმ ამასწინათ განაცხადა, ნატოს ჯარის გამოყვანის შემდეგ ავღანეთი უფრო უსაფრთხო ქვეყანა გახდება. ჟურნალისტების კითხვაზე, დაზარალდება თუ არა აქვეყნის უსაფრთხოების სფერო ნატოს ჯარის გასვლის შემდეგ, ყარზაიმ აღნიშნა, რომ ეს არავითარ შემთხვევაში არ მოხდება.

„ავღანეთი უფრო უსაფრთხო და უკეთესი ადგილი გახდება“, – აღნიშნა ჰამიდ კარზაიმ.

მისი განცხადებით, იმ ამერიკელი სამხედროებისათვის სამართლებრივი იმუნიტეტის მინიჭება, რომლებსაც ავღანეთში დარჩენა 2014 წლის შემდეგაც შეეძლებათ, თავად ავღანელი ხალხის გადასაწყვეტი საკითხია.

ცნობისთვის: გუშინ აშშ-ის თავდაცვის მინისტრმა ლეონ პანეტამ განაცხადა, რომ ავღანეთის ხელისუფლება ქვეყნის




მოსახლეობის 75 პროცენტის უსაფრთხოებას უზრუნველყოფს.

„ჩვენ ვაგრძელებთ ავღანელებისათვის მმართველობისა და უსაფრთხოების გადაცემას. მოსახლეობის 75 პროცენტი უკვე ავღანეთის კონტროლის ქვეშ იმყოფება და მისი დაცვით სარგებლობს. მომავალ წელს კი მათი რაოდენობა 100 პროცენტს მიაღწევს“, – აღნიშნა ლეონ პანეტამ.

მისი ინფორმაციით, კოალიცია ავღანეთში ნათლად ასრულებს იმ გეგმას, რომელიც ნატოს ჩიკაგოს სამიტზე მიიღეს.

„ჩვენ ასევე ნათლად განვმარტეთ, რომ მართალია, ჯარი 2014 წლის ბოლოსთვის გამოგვყავს, მაგრამ ჩვენი მისია ავღანეთში გრძელდება. ჩვენ გადავცემთ მმართველობას, მაგრამ არ მივდივართ“, – აღნიშნა ლეონ პანეტამ.

ამ ფონზე, დღეს, ავღანეთის სადაზვერვო სააგენტოს შენობასთან ძლიერი აფეთქება მოხდა. დანაღმული მანქანა კარგად დაცულ ტერიტორიაზე აფეთქდა.

როგორც „ნიუ-იორკ თაიმსი“ წერს აფეთქებას, სავარაუდოდ, რამდენიმე ადამიანი ემსხვერპლა და ათობით დაშავდა. თუმცა, ავღანეთის ოფიციალურ პირებს ზუსტი რაოდენობა ჯერ არ გამოუცხადებიათ.

აფეთქებაზე პასუხისმგებლობა „თალიბანმა“ აიღო: „ჩვენ, ქაბულში მნიშვნელოვან შენობებზე მანამდე მივიტანთ იერიშს, სანამ აქ უცხოელი მრჩევლები იმყოფებიან“,-აღნიშნა „თალიბანის“ წარმომადგენელმა ზაბიულა მუჯაჰიდმა.

მოამზადა გერა მამულაშვილმა

## კროსვორდი ბ

**შვეულად:** 1. სიცილიის ადმინისტრაციული ცენტრი; 2. თავის ქალას ზედა ნაწილი; 3. „დათა თუთაშხიას“ პერსონაჟი; 4. ბუნებრივი ზონა აფრიკაში; 5. იტალიელი მოდელიორი; 6. თეატრის ძველი ქართული სახელწოდება; 11. ხელოვნური წყალსაცავი დასავლეთ საქართველოში; 13. კომედიური ჟანრის მუსიკალურ-სცენური წარმოდგენა; 14. ქაღალდის ფულის ნიშნების შემსწავლელი დისციპლინა; 15. გიგანტური ზომის გადაშენებული ქვეწარმავალი; 17. მგალობელი ჩიტი; 18. გულუხვი მასპინძელი; 19. კატარის დედაქალაქი.

თარაზულად: 7. ნაბეჭდი ტექსტის საზომი ერთეული; 8. ქართული ხალხური ზღაპარი; 9. მაღალმთიანი კლიმატური კურორტი აჭარაში; 10. აეროპორტი მადრიდში; 12. ფუნდამენტალური სამეცნიერო ნაშრომი; 14. მაღაროს გასანათებელი მეშახტეთა ფარანი; 16. გეოდეზიური ხელსაწყო; 18. სასწავლებელი, სადაც მოსწავლეები უზრუნველყოფილნი არიან ბინითა და კვებით; 20. თვითმფრინავის რეგულარული ფრენის მარშრუტი; 21. ქართული ჟურნალი; 22. კათოლიკური ეკლესია პოლონეთში; 23. კურორტი რაჭაში; 24. ყვითელნაყოფიანი შემოდგომის ხილი.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა




## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად**: 1. დუნსტი; 2. იდალგო; 3. ტეშენიტი; 4. ტრიერი; 6. ბაბილონი; 11. ქობულაძე; 12. კონუნგი; 16. ლუარა; 17. კიოტო; 18. პუდრი.

**თარაზულად**: 1. დივიზია; 5. კოლბა; 7. კელნერი; 9. სლალონი; 10. ჰეროინი; 13. ჩარტერი; 14. როდენი; 15. „გოია“; 19. გუდაური; 20. დინდგელი; 21. ბანდეროლი; 22. ბემოლი.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად**: 1. ყვირილა; 2. ფლუსი; 3. დინამიტი; 4. ჯიბუტი; 5. ათანელი; 6. სატურნი; 11. შარმი; 13. პატენტი; 14. ტიტესტერი; 15. სატურაცია; 17. ენძელა; 18. პრემია; 19. „ლეგო“.

**თარაზულად**: 7. გვარლი; 8. ციცინათელა; 9. არიასი; 10. ძაბუტონი; 12. ჰაუპტვახტი; 14. „ტაიმსი“; 16. რეგტაიმი; 18. პიტიუნტი; 20. ლექსი; 21. ბრა; 22. რენტგენი; 23. ფიცი; 24. „ცოლიკაური“.

# სომხეთის პრეზიდენტი თურქეთისგან „ისტორიის გადახედვას“ მოითხოვს

სომხეთის პრეზიდენტმა, სერჟ სარქისიანმა თურქეთის ხელისუფლება გააკრიტიკა. სარ-



ქისიანის განცხადებით, თურქეთის პოლიტიკამ, „ნული პრობლემა მეზობლებთან“, ნულოვანი შედეგი მოიტანა. „ამის მიზეზი მეზობელი სახელმწიფოს ხელისუფლების სურვილია, ყველა პრობლემის არსებობა მეზობლებს გადააბრალოს“, — ირწმუნება სარქისიანი.

სომხეთის პირველი პირის განცხადებითვე, დღეს თურქეთი სწრაფად განვითარებად სახელმწიფოდ ითვლება, მაგრამ მისი განვითარება არასრული იქნება და შეიძლება ტრაგიკულად დასრულდეს, თუ თურქეთი სერიოზულად არ გადახედავს საკუთარი სახელმწიფოს და ხალხის ისტორიას.

სარქისიანმა კიდევ ერთხელ დააფიქსირა უკმაყოფილება თურქეთ-აზერბაიჯანის ტანდემის მიმართ, რომელიც მიმდინარეობს ლოზუნგით: „ერთი ხალხი, ორი სახელმწიფო“. სომხეთის პრეზიდენტის თქმით, ამ ლოზუნგის ქვეშ, უკვე ოცი წელია სომხეთის ბლოკადა გრძელდება, რაც მეზობლებთან თანამშრომლობას ართულებს და ეს იმ დროს, როცა „მშვიდობისმოყვარე და პროგრესულ სომეხ ხალხს ნდობის და მშვიდობიანი თანაარსებობის სურვილი აქვს“.

შეგახსენებთ, რომ სომხურ-თურქული ურთიერთობების გაუმჯობესების მცდლობა 2008 წელს დაიწყო. 2009 წლის ოქტომბერში კი, ორი ქვეყნის საგარეო საქმეთა მინისტრებს შორის, ციურიხში მემორანდუმიც გაფორმდა, რაც ორივე სახელმწიფოს პარლამენტში იქნა რატიფიცირებული, თუმცა, 2010 წლის აპრილში სომხეთმა პროცესის შეჩერების შესახებ გამოაცხადა იმ მოტივით, რომ თურქეთი ამ პროცესისთვის მზად არ არის. ამჟამად, დოკუმენტი გაყინულია.

ოფიციალური ერევანი კვლავ მოითხოვს თურქეთისგან სომხების გენოციდის აღიარებას. გენოციდი ამჟამად აღიარებული აქვთ: რუსეთს, ურუგვაის, საფრანგეთს, ლიტვას, აშშ-ის ზოგიერთ შტატს, არგენტინას, ბელგიას და სხვა ქვეყნებს.

სომხების გენოციდი — 1915-918 წლებში ოსმალეთის იმპერიის მმართველთა მიერ დაგეგმილი და განხორციელებული, დღევანდელი თურქეთის ტერიტორიაზე მცხოვრები სომეხი მოსახლეობის განადგურება. სხვადასხვა წყაროს მიხედვით ამ წლებში რამდენიმე ასეული ათასიდან ორ მილიონამდე სომეხი დაიღუპა.

დღევანდელი თურქეთი კატეგორიულად უარყოფს ისტორიულ ფაქტს სომეხთა გენოციდის შესახებ.აიათოლა ჰამენეიმ ირანს ბირთვული იარაღის წარმოება აუკრძალა

# ასადმა სამხედროებს მისი სიკვდილის შემთხვევაში ისრაელისა და აშშ-ის სამიზნეებზე იერიშის მიტანა დაავალა

სირიის პრეზიდენტმა ბაშარ ასადმა სამხედრო ხელმძღვანელობას მისი სიკვდილის შემთხვევაში ისრაელისა და ამერიკის სამიზნეებზე იერიშის მიტანა დაავალა. ამის შესახებ ირანული პრესა არაბულ ბეჭდურ მედიაზე დაყრდნობით იუწყება.

მისივე მონაცემებით, ერთ-ერთ სხდომაზე უმაღლესმა სამხედრო წარმომადგენლებმა ასადს შეატყობინეს, რომ „მტრული უცხო სახელმწიფოები მის ფიზიკურ განადგურებას აპირებენ იმის ნაცვლად, რომ სირიაში სამხედრო ინტერვენცია განახორციელონ“.



თავის მხრივ, ასადმა სამხედროებს დაავალა, მისი მკვლელობის შემთხვევაში ისრაელისა და ამერიკის სამიზნეებზე, განსაკუთრებით კი წითელი და ხმელთაშუა ზღვების რაიონში შეტევა განახორციელონ.

როგორც რუსული მედია წერს, ეს პირველი შემთხვევა არ არის, როდესაც სირია და ისრაელი ოფიციალურად ომის პირას დგანან და არ არის გამორიცხული, რომ ასადის სიკვდილის შემთხვევაში ბალისტიკური რაკეტები ეგვიპტის მიმართულებით იქნება გაშვებული გამომდინარე იქედან, რომ „ძმები-მუსლიმანების“ მმართველმა მოძრაობამ აღნიშნულ კონფლიქტში სირიის მეამბოხეებს დაუჭირა მხარი.

საუდის არაბეთში გამომავალ გაზეთ „ალ-ვათანის“ ცნობით კი, სირიის პრეზიდენტი ოჯახთან ერთად ხმელთაშუა ზღვაში მყოფი ერთ-ერთი სამხედრო ხომალდის ბორტზე გადავიდა. დაზვერვაში არსებულ წყაროებზე დაყრნობით გამოცემა წერს, რომ ასადი გემს მხოლოდ უკიდურესი აუცილებლობის შემთხვევაში ტოვებს და ამისთვის ვერტმფრენს იყენებს.

აღსანიშნავია, რომ უკანასკნელ პერიოდში სირიის ირგვლივ არსებული სიტუცია კიდევ უფრო დაიძაბა. სამშაბათს ადგილობრივმა ტელევიზიამ გაავრცელა ინფორმაცია ქალაქ ალეპოს ერთ-ერთ უნივერსიტეტში მომხდარი აფეთქების შესახებ, რომელსაც 82 ადამიანის სიცოცხლე ემსხვერპლა, 160-მა კი სხვადასხვა სახის დაზიანებები მიიღო.

ალეპოს უნივერსიტეტში აფეთქება მაშინ მოხდა, როდესაც სტუდენტები გამოცდის ჩასაბარებლად მიდიოდნენ. არსებული ინფორმაციით, ტერორისტებმა უნივერსიტეტს ორი რაკეტა დაუშინეს. ამ დროისათვის ტერაქტზე პასუხისმგებლობა საკუთარ თავზე არცერთ მხარეს არ აუღია. ალეპო სირიაში სიდიდით მეორე ქალაქია.

ამას გარდა, ცნობილი გახდა, რომ ალეპოში მუშაობა დროებით შეაჩერა რუსეთის გენერალურმა საკონსულომ.

შეგახსენებთ, რომ სირიის შეიარაღებულ ოპოზიციასა და სამთავრობო ჯარებს შორის კონფლიქტი 2011 წლის მარტიდან გრძელდება. გაერო-ს მონაცემებით, აღნიშნულ კონფლიქტს 60 ათასი ადამიანის სიცოცხლე ემსხვერპლა.

სირიაში გაერო-სა და არაბული ქვეყნების ლიგის სპეციალური წარმომადგენლის ლაჰდარ ბრაჰიმის განცხადებით, არსებული კონფლიქტი პოლიტიკური დარეგულირების გზით შესაძლოა, უკვე 2013 წელს დასრულდეს.

თავის მხრივ, აშშ-ის ეროვნული უსაფრთხოების საბჭომ უარყო ზოგიერთი მედიასაშუალების მიერ გავრცელებული ინფორმაცია, იმის შესახებ, რომ ბაშარ ასადის ხელისუფლებამ საკუთარი მოსახლეობის წინააღმდეგ ქიმიური იარაღი გამოიყენა.

საბჭოს წევრის ტომ ვიეტორის განცხადებით, სხვადასხვა ინფორმაცია, რომელიც მედიასაშუალებებით გავრცელდა სირიის მიერ ქიმიური იარაღის გამოყენების შესახებ არ შეესაბამება იმას, რასაც „ჩვენ მივიჩნევთ სიმართლეს სირიის ქიმიურ პროგრამასთან დაკავშირებით“.

მან ასევე გაიმეორა ამერიკელი ჩინოვნიკების მიერ არაერთგზის გაკეთებული განცხადებები იმის თაობაზე, რომ თუ სირია ქიმიურ იარაღს გამოიყენებს, ასადის რეჟიმს მოუწევს პასუხისგება საკუთარ ქმედებებზე.

# აშშ-ში სასწავლო დაწესებულებებში ორი თავდასხმა განხორციელდა



ამერიკის შეერთებულ შტატებში, სასწავლო დაწესებულებებში ორი თავდასხმა განხორციელდა.

სენტ ლუისში თავდამსხმელმა ბიზნეს-სკოლაში ცეცხლი გახსნა. 40 წლის მამაკაცი შენობაში შეიჭრა, ადმინისტრატორს ესროლა, შემდეგ კი თავის მოკვლა სცადა.

კიდევ ერთი თავდასხმა კენტუკის შტატში მდებარე კოლეჯში განხორციელდა. კოლეჯის ტერიტორიაზე მდებარე საერთო საცხოვრებელთან, ავტოსადგომზე, ერთ-ერთ მანქანაში ქალი და მამაკაცი მოკლეს. ავტომობილში სამართალდამცველებმა დაჭრილი გოგონაც იპოვეს. ამის შესახებ „ფოქს ნიუსი“ იუწყება.

კოლეჯის დირექტორის განცხადებით, ინციდენტის დროს სტუდენტურ ქალაქში დაახლოებით 30 პირი იმყოფებოდა. ადგილზე მისულმა სამართალდამცავებმა სტუდენტების ევაკუირება მოახდინეს და კოლეჯი ორი საათით დაკეტეს. პოლიციის მოსვლამდე ორი ადამიანი, რომლებიც ავტომობილში ისხდნენ, უკვე გარდაცვლილი იყო. „ვაშინგტონ პოსტის“ ცნობით, მომხდარის ადგილას პოლიციელებმა ნახევრადავტომატური პისტოლეტი აღმოაჩინეს.

სროლაში ეჭვმიტანილი 21 წლის დალტონ ლი სტიდჰამია. ის დანაშაულის ჩადენიდან მალევე შტატის პოლიციაში გამოცხადდა. სდიტჰამი, ჯერჯერობით, იკითხება და მიმდინარეობს გამოძიება, თუმცა, მისთვის ბრალი ოფიციალურად არ წაუყენებიათ. არსებობს ეჭვი, რომ დამნაშავე მხოლოდ ერთი ადამიანი არ არის. გავრცელებული ინფორმაციით, სროლის მიზეზი კონფლიქტი გახდა, რომელიც მსროლელს და ავტომობილის მგზავრებს შორის წარმოიშვა.

ამ ფონზე, ტეხასის შტატის სენატორი, სტივ სტოკმენი საზოგადოებას დაპირდა, რომ პრეზიდენტ ობამას იმპიჩმენტის საკითხს დააყენებს იმ შემთხვევაში, თუ ეს უკანასკნელი იარაღის შესყიდვის კონტროლზე ახალ წესებს შემოიღებს. ამის შესახებ პოლიტიკოსმა თავის ოფიციალურ საიტზე განაცხადა.

სტოკმენის თქმით, აშშ-ის პრეზიდენტმა ქვეყნის პრინციპებზე ანტიკონსტიტუციური თავდასხმა განახორციელა. ამიტომ სენატორი იმუქრება, რომ გააპროტესტებს ობამას ინიციატივებს, იარაღის შესყიდვის კონტროლის შესახებ და უკიდურეს შემთხვევაში, იმპიჩმენტის პროცედურის დაწყებას შეეცდება.

# გერმანიამ ოქროს რეზერვების შენახვის წესს გადახედა

გერმანიამ ოქროს რეზერვების შენახვის წესს გადახედა და გადაწყვიტა, რომ ქვეყანაში დააბრუნოს ის რეზერვები, რომელიც დღემდე ქვეყნის საზღვრებს გარეთ ინახებოდა. უკვე ცნობილია, გერმანია ნიუ-იორკსა და პარიზში განთავსებულ ოქროს რეზერვებს უახლოეს პერიოდში სამშობლოში დააბრუნებს.

აღნიშნულით კი „დოიჩე ბუნდესბანკი“ კონტროლის პალატის რეკომენდაციას შეასრულებს, რომელმაც საბანკო სისტემას რეზერვების შენახვის წესის გადახედვა და ახალი კონცეფციის შემუშავება ურჩია.

ამ დროისათვის გერმანიის ოქროს რეზერვები ნიუ-იორკში, პარიზში, ლონდონსა და ფრანკფურკში ინახება.

უცხოური მედიის ინფორმაციით, ქვეყნის რეზერვები დღეისათვის დაახლოებით 3,4 ათას ტონა ოქროს შეადგენს, რომლის ღირებულებაც 150 მლრდ ევროა. აღნიშნული რეზერვების 45 %-ი კი განთავსებულია ნიუ-იორკში, 11 %-ი საფრანგეთში, 13 % ინგლისში, ხოლო გერმანის ეროვნული ბანკი კი სარეზერვო ოქროს მხოლოდ 31 %-ს ინახავს.

ეკონომიკური პოტენციალით გერმანია უძლიერესი ქვეყანაა ევროპაში. „დიდი რვიანის“ ქვეყნებს შორის, იგი მხოლოდ აშშ-სა და იაპონიას ჩამორჩება. მომსახურების სფეროს უდიდესი დარგებია ტრანსპორტი და საბანკო-საფინანსო საქმე. ენერგეტიკა ვითარდება როგორც ადგილობრივ, ასევე შემოტანილ ნედლეულზე. მანქანათმშენებლობა და ქიმიური ინდუსტრია ქვეყნის მრეწველობის წამყვანი დარგებია. მანქანათმშენებლობის წამყვანი სფეროა საავტომობილირო ინდუსტრია, დარგის სიძლიერით მას კონკურენტი არა ჰყავს ევროპაში. პირველობით გამოირჩევა ქიმიური ინდუსტრიაც. „ბასცი“ და „ბაიერი“ ქიმიური გიგანტები არიან. აგრობიზნესი უმსვილესია მეზობელი საფრანგეთის ანალოგიური დარგის შემდეგ ევროკავშირში.

გერმანია მაღალგანვითარებული ინდუსტრიული ქვეყანაა, მშპ-ს მოცულობით (2.321 ტრილიონი დოლარი) მსოფლიოში მე-3 ადგილი უკავია აშშ-სა და იაპონიის შემდეგ.

**მოამზადა გერა მამულაშვილმა**

# სამგლოვიარო განცხადებები

## ირაკლი ესიავას ხსოვნას!



### იკაჩო!

17 იანვარი შენი დაბადების დღეა, ბებო.

რამხელა სიხარულის მომტანი იყო ეს დღე ჩვენი ოჯახისთვის... ტკივილმა, ცრემლმა შეცვალა ყველაფერი... სად წავიდა შენი ნაღვლიანი თვალების სითბო, შენი ომახიანი ხმა, შენი მოსიყვარულე გული?! მასწავლე, როგორ უნდა მოგილოცო დაბადების დღე, როგორ გავუმკლავდე ყოველივე ამას?.. ნუთუ არ გესმის ჩემი გამწარებული ძახილი, იკა... იკაჩო... ყოველ დილით გიხმობ, ყოველ წუთს დაგეძებ... შენი პასუხი არ მესმის... მხოლოდ უშენობა, მხოლოდ სიზმრად მოფერება?

რა სასტიკი სასჯელია, მაგრამ არ ვკითხულობ, რატომ და რისთვის...

ჩემო სიბერის ჩამამწარებელო, მოუნელებელო ტკივილო, მეგონა, ჩემი გაზრდილი ოცი წლის ვაჟკაცი ჩემს შესანდობარს იტყოდი — ბედისწერამ სხვაგვარად ინება! ჩემს დაბადების დღეზე გაუდექი მარადიულობისაკენ გზას. შენს დაბადების დღეზე ერთადერთი ნატვრა მაქვს, ნეტავ შენთან შესახვედრად მოვიდოდე! უფლის ნებაა ყველაფერი! ტკბილად იძინე იკაჩო, ბებო...

**მარად შენზე მლოცველი ბებო — ნელი ჩილაჩავა-გულუა**

პეტრე, გიორგი, რუდენ, დათო, გია და გოგიტა როდონაიები ოჯახებით ღრმა მწუხარებით იუწყებიან

**ოთარ პართენის ძე როდონაიას**

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ ოჯახს.

**პანაშვიდი:** 18, 19 იანვარს, 15 საათზე.

**დაკრძალვა:** კვირას, 20 იანვარს, 17 საათზე.

**მისამართი:** გალის რაიონი, სოფ. რეჩხო-ცხირი



კახა და ეკა როდონაიები, ნელი ნარმანია, ნინო ლუხუტაშვილი და კარლო წახნაგია იუწყებიან

**ოთარ პართენის ძე როდონაიას**

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ ოჯახს.

**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.**

# TV პროგრამა

## ხუთშაბათი 17 იანვარი

**06.30** „მოამბე„ (აფხაზურ„ ოსურ„ სომხურ„ აზერბაიჯანულ ენებზე) **07.30** „ჩვენი დილა„ (პ/ე) **09.00**, **10.00**, **12.00**, **14.00**, **16.00**, **19.00**, **20.00**, **03.00** „მოამბე„ **10.30** „დილის საუბარი„ **11.00** „სამოთხის ვაშლები„ (პ/ე) **12.45** „პირადი ექიმი„ — მარი მალაზონია (პ/ე) **13.30** „დღეს ორის ნახევარზე„ **15.00** ტ/სერ „როსელა„ **17.00** დ/ფ „სიცოცხლე„ **18.00** „პეპე და მეგობრები„ **19.05** ტ/სერ „საიდუმლო გამოძიებანი„ **21.00** ტ/სერ „როსელა„ **22.00** „დიალოგი დავით პაიჭაძესთან„ **23.00** „არენა„ **00.00** „ჩემი ოჯახი„ **01.00** მხ/ფ „გრან ტორინო„ **03.20** ტ/სერ „სპირალი„ **04.20** მხ/ფ „ენდე საკუთარ თავს„ (ტიტ.) (ა.ბანდერასი)

**08.00** „მოამბე„ (აფხაზურ„ ოსურ„ სომხურ„ აზერბაიჯანულ ენებზე) **09.00**, **12.00**, **15.00**, **17.00**, **20.00**, **23.00** „ბრიფინგის დრო„ **11.00** დ/ფ „მეცნიერება ფილმებში„ მე-3 ნაწ. **14.00** დ/ფ „ფერების სამყარო„ I ნაწ. **16.00** დ/ფ „100 უდიდესი აღმოჩენა„ მე-9 ნაწ. **19.00** ტ/სერ „ჯახური გამოძიება„ 10 სერ. **22.00** „თავისუფალი ტრიბუნა„ **00.00** „მოამბე„ (აფხაზურ„ ოსურ„ სომხურ„ აზერბაიჯანულ ენებზე)

**07.30**, **09.10** იმედის დილა **09.00**, **11.00**, **14.00**, **17.00**, **19.00**, **20.00**, **00.00** ქრონიკა **10.00** სერ. „იღბლიანი მოახლე„ **11.30** სერ. „უკვდავი ამბავი„ **12.30** ფორტ ბოიარი **13.00** სერ. „გაქცევა – 3„ **14.45** სერ. „24 – 4„ 9 სერ. **15.45** სერ. „დამალული სიმართლე„ **17.40** სერ. „თილისმა„ **18.50** სერ. „სახიფათო ვნება„ **21.00** სერ. „მარტოსული„ **22.00** ქ.სერ. „შუა ქალაქში„ **23.00** სერ. „ღვინის გზა„ 9 სერ. **00.15** მხ/ფ. „ბედს ვერ გაექცევი„ (ვ.ჰარილსონი) **02.00** მხ/ფ. „მაროკოელი ტერორისტი„ (რ.ფილიპი) **03.25** მუსიკა

**07.30** დილამშვიდობისა საქართველო **10.00** სერ.„ქალის მსხვერპლი„ **11.00** სერ. „იდუმალი ქალი„ **12.00**, **15.00**, **18.00**, **20.00**, **21.00** კურიერი **12.30** „შუა დღე„ **15.30** კომედი შოუ (გ/ჩ) **17.00** სერ. „ვნების უფსკრული„ **18.45** სერ. „მგზნებარე გული„ **19.50** სერ. „ღირსება და ამბიცია„ **22.00** პროფილი - დაწყება **00.00**, **02.30** მხ/ფ **02.00** კურიერი დაიჯესტი

**06.00**, **11.55**, **14.55**, **17.55**, **20.55**, **23.55** შვიდგზის ლოცვა **06.05**, **12.00**, **15.00**, **18.00**, **21.00**, **00.00** საეკლესიო კალენდარი **06.10** ჩვენ ვუკრავთ კლასიკას **06.20** დოკ/ფ „ველური ბუნება„ **06.45** მხ/ფ „ოქროს ციებ-ცხელება„ **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30** „განთიადი„ **10.00**, **18.05**, **21.15** ერთსულოვნების ვერნისაჟი **10.05**, **12.05**, **18.55**, **21.55**, **00.30** ისტორიის დღიური **10.10**, **19.00**, **22.00**, **00.05**, **02.30** სიახლენი **10.35**, **21.05** ლექსით ქებათა ქება **10.40** დოკ/ფ „ფრაგმენტები ტაო-კლარჯეთის ცხოვრებიდან„ **11.20** ჩვენი ტრაპეზი **11.30** გზა, რომლითაც ვიარე **12.10**, **18.55**, **21.55**, **00.25** ისტორიის დღიური **12.15** დოკ/ფ „ექვთიმე„ **13.30** კონცერტი -ანს.„ნადი„ **15.05** განთიადის სტუმარი **15.30** დოკ/ფ „ველური ბუნება„ **16.00** მხ/ფ „დაგვიანებული სასიძო„ **17.10** გვილოცავენ ექიმები **18.05**, **21.15** ერთსულოვნების ვერნისაჟი **18.10** ტელეზღაპარი **18.20**, **23.15** ფოტოგალერეა **18.25** ერთი წვეთი **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.20** მხ/ფ „სინემა„ **20.40** ძილი ნებისა **21.00** პატრიარქის ქადაგება **22.20** თვენი „წმინდა შიო მღვიმელი„ **22.35** უკეთ გავიცნოთ ჩვენი შვილები **23.00** საღამოს ლოცვა **23.20** უკეთ გავიცნოთ ჩვენი შვილები **00.35** განთიადის სტუმარი **01.00** მხ/ფ „დიდი ქალაქის ჩირაღდნები„

მაესტრო **07.00**, **01.30**, **04.05**, **05.05**, **06.05** ახალი ამბები (კოლაჟი) **07.30**, **08.20**, **10.30**, **11.20**, **12.30**, **13.30**, **15.40**, **16.30**, **17.10**, **18.40**, **04.40**, **05.40**, **06.40** უცხოეთის ამბები **07.55**, **10.55**, **11.55**, **12.55**, **13.55**, **14.55**, **16.55**, **17.55**, **18.55**, **07.00** უკომენტაროდ, ამინდი **08.00**, **09.00**, **10.00**, **11.00**, **13.00**, **14.00**, **16.00**, **17.00** ახალი ამბები **08.30**, **09.15** შალვა რამიშვილის „დილა„ **11.30**, **22.00**, **01.10** ყოველდღიური აბები **12.00** ახალი ამბები 12 საათზე **14.05** მაესტროს პრესკლუბი **15.00** ახალი ამბები 3 საათზე **18.00** ახალი ამბები 6 საათზე **19.00** ახალი ამბები ინგლისურ ენაზე **19.05**, **00.25** თოქ-შოუ „სუბიექტური აზრი„ **20.00** ამბები მოკლედ **20.05**, **02.05** თოქ-შოუ „არგუმენტები„ **21.00** ახალი ამბები 9 საათზე **22.20**, **02.50** თოქ—შოუ - „პოლიტმეტრი„ **00.00** ახალი ამბები (ღამის გამოშვება)

**პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით**

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

17 იანვარი


**ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი**

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | — 1,6582 |
| ევრო | — 2,1994 |
| ინგლისური გირვანქა სტერლინგი | — 2,6870 |
| რუსული რუბლი | — 0,0548 |

**აღმოსავლეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, დღისით —2-5, ღამით — -5 -2.

**დასავლეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, დღისით — 7-13, ღამით — 5-6.

**სამხრეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, დღისით — 6-8, ღამით — -5 -7.

**ამინდის პროგნოზი 17 იანვრისთვის**





„ახალ თაობასთან" ერთად

# მსოფლიოს ხალხთა ზღაპრები

ტომი 1 ამერიკული ზღაპრები





## როგორი იქნება ქართული პავილიონი ბიენალეზე?

ეკა ირემაშვილი

როგორი იქნება ქართული პავილიონი ბიენალეზე? ამის შესახებ საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო სპეციალურ პრესკონფერენციას გამართავს, სადაც ვენეციის 55-ე ბიენალეზე მონაწილეობისათვის გამოცხადებულ შესარჩევ კონკურსში გამარჯვებული პროექტის კურატორი იონნა ვარშა ისაუბრებს აღნიშნულ ბიენალეზე წარსადგენი ქართული პავილიონის კონცეფციის შესახებ და დამსწრე საზოგადოებას გააცნობს პროექტის განხორციელებაში ჩართულ ხელოვანებს.

როგორც კულტურის სამინისტრო იუწყება, იონნა ვარშა ასევე ისაუბრებს ბერლინის ბიენალეზე მიღებული გამოცდილების შესახებ, სადაც ის წარმოდგენილი იყო, როგორც ასოცირებული კურატორი. პრეზენტაცია 17 იანვარს გაიმართება და მასზე დასწრება ნებისმიერ მსურველს თავისუფლად შეეძლება.

მიუხედავად იმისა, რომ ვენეციის ბიენალე პირველ ივნისს ტარდება, კულტურის სამინისტრომ ჯერ კიდევ გასულ წელს გამოაცხადა კონკურსი ამ ღონისძიებაში მონაწილეობის მსურველთათვის და წლის ბოლოს მიიღო გადაწყვეტილება, საჯარო გაეხადა იმ კურატორის ვინაობა, ვინც საქართველოს 2013 წელს ვენეციის 55-ე ბიენალეზე წარადგენდა.

– კონკურსი საკურატორო წინადადებაზე კონცეფციის სახით ქართული პავილიონის წარსადგენად ვენეციის 55-ე ბიენალეზე კულტურის სამინისტრომ 2012 წლის 3

გაგრძელება მე-10 გვერდზე

## ქეცბაია გუნდს ალბანეთში შეკრებს



საქართველოს ეროვნული ნაკრები 2013 წლის საფეხბურთო სეზონს ალბანეთში, ამხანაგური მატჩით დაიწყებს. „ჯვაროსნები" ალბანეთთან მატჩისთვის 4 თებერვალს, პირდაპირ ტირანაში შეიკრიბებიან. ალბანეთის დედაქალაქში ჩავა თემურ ქეცბაიაც.

ეროვნული გუნდის თავკაცი თბილისიდან გუშინ ღამით, კვიპროსში გაემგზავრა. ნაკრებში გამოძახებულთა სიას კი, მოგვიანებით გამოაცხადებს.

2013 წლის პირველი ოფიციალური ამხანაგური მატჩი 6 თებერვალს, ტირანაში, „ქემალ სტაფას" სტადიონზე გაიმართება. მატჩის დაწყების დროზე ქართული და ალბანური მხარეები ჯერ არ შეთანხმებულან.

თემურ ქეცბაიას თქმით, ალბანეთთან შეხვედრა ძალიან მნიშვნელოვანი იქნება, თუმცა ფრანგებთან შეხვედრამდე კიდევ ერთი ამხანაგური თამაშის გამართვასაც ფიქრობ, რათა ნაკრები უფრო რომ შეთამაშდეს. როგორც ირკვევა, ამის თაობაზე საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ რამდენიმე ქვეყანასთან მოლაპარაკება წამოიწყო, მაგრამ ჯერჯერობით უცნობია ვის შევხვდებით.

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას ოფიციალური წერილი ფრანგულმა მხარემაც გამოუგზავნა, სადაც ნათქვამია, რომ 22 მარტს, პარიზში გასამართი მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ციკლის მატჩი საფრანგეთისა და საქართველოს ეროვნულ გუნდებს შორის, ცნობილ „სტად დე ფრანსზე" გაიმართება და ადგილობრივი დროით 21:00 საათზე დაიწყება.

მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა

## ყველამ გაითვალისწინეთ!




**წარმატებული დღეა**

**ვერძი** – ფული გაქვთ, პრობლემები არ გაწუხებთ. **კურო** – ის საქმე აკეთეთ, რაც გამოგდით. **ტყუპები** – რომანტიკული თავგადასავალი კარგა ხასიათზე დაგაყენებთ. **კირჩხიბი** – თქვენი პარტნიორი თავის გზას მონახავს, თქვენ თქვენი უნდა იპოვოთ. **ლომი** – ახალი პროექტი მნიშვნელოვანია, იაქტიურეთ. **ქალწული** – არ აჩქარდეთ, მშვიდად იმოქმედეთ. **სასწორი** – ფული არ გაქვთ, მაგრამ მალე იშოვით. **ღრიანკალი** – თავს კარგად იგრძნობთ, პრობლემებსაც მოაგვარებთ. **მშვილდოსანი** – არ გარისკოთ, მშვიდად იმოქმედეთ. **თხის რქა** – კარგ ხასიათზე ხართ, ასე განაგრძეთ. **მერწყული** – თქვენი საქმე წინ-წინ მიდის! **თევზები** – სამსახურში მეტი ყურადღება გმართებთ, უფროსობა გაკვირდებათ.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!

## კროსვორდი ა

**შვეულად:** 1. მაღაზია-სახელოსნო იტალიაში; 2. ფირმის, ორგანიზაციის ფინანსური მდგომარეობის, ქონების შემფასებელი ექსპერტი; 3. პოპულარული უკრაინული მინერალური წყალი; 4. მთიანეთი ევროპაში; 6. სასტუმროების ქსელის მფლობელი მსოფლიოში ერთ-ერთი უმსხვილესი ფირმა; 8 ავსტრიის ფეხბურთელთა გუნდი; 11. ჩქარტემპიანი კუბური ცეკვა; 12. სამართლის რომელიმე დარგის კანონთა კრებული; 16. ცირკის აკრობატის დამცავი ქამარი; 17. ქიშმიშის ძველი ქართული სახელწოდება; 18. მეფეთა რეზიდენცია პარიზში.

**თარაზულად:** 1. სოფლის პოლიციის უფროსი ძველად საქართველოში; 5. მინერალური წყალი სამეგრელოში; 7. საწამლავის, შხამის ძველებური სახელწოდება; 9. სახელმწიფო აფრიკის ჩრდილოეთში; 10. გერმანიის კანცლერი; 13. იტალიელი კინოვარსკვლავი ქალი; 14. ღვთისმშობლის სახელწოდება კათოლიკებში; 15. ხმარებიდან გამოსული ფული; 19 ჩრდილო ამერიკაში გავრცელებული გიგანტური წიწვოვანი ხე; 20. უმაღლესი საკანონმდებლო ორგანო სერბეთში; 21. ვარსკვლავთა მთლიანი სისტემა; 22. მაღალ ტემპერატურაზე გამომწვარი ცეცხლგამძლე აგური.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა



## „დები გოგოჭურები" კონცერტს გამართავენ

ეკა ირემაშვილი

17 იანვარს ანსამბლი „დები გოგოჭურები" რიგით მესამე კონცერტს გამართავს. ღონისძიება „თბილის არტ ჰოლში" ჩატარდება და მას „კიდევაც ვნახავ ხევსურეთს" უწოდეს. დები გოგოჭურების კონცერტზე შესრულდება ხევსურული ფოლკლორი და ახლად შექმნილი სიმღერები მთის მელოდიებზე.



კონცერტში ასევე მონაწილეობას მიიღებენ „ქართველო", „მთიელი" და გოგოჭურების ახალგაზრდა მოწაფეები. გოგონების პირველი კონცერტი 2009 წელს, ხოლო მეორე 2011 წელს გაიმართა.

ანსამბლის „დები გოგოჭურები" წევრები დიდი ხევსურული ოჯახის წარმომადგენლები არიან, სადაც ამჟამად ოთხი წევრია მარიამ, ქეთევან, თამარ და მანანა გოგოჭურები. ისინი სისტემატურად მონაწილეობენ სხვადასხვა ფესტივალსა და ფოლკლორულ საღამოებში.

როგორც ანსამბლის ოფიციალურ ვებ გვერდზეა აღნიშნული, მათ ოჯახში სიმღერას დიდი ხნის ისტორია აქვს. ოჯახის მუსიკალური ტრადიცია გააგრძელა გოგოჭურების ათმა წარმომადგენელმა. ესენი იყვნენ ნათია, მარიამ, ქეთევან, თამარ, მზექალა (მორჩილი ნინო), რუსუდან, გიორგი, მანანა და იმედა. ბოლო პერიოდში კი მათ თორღვა გოგოჭური შეემატათ.

– 2006 წლიდან დები გოგოჭურები დამოუკიდებლად აგრძელებენ მოღვაწეობას, დები გოგოჭურები მღერიან, როგორც მთის მელოდიებზე ახლად შექმნილ სიმღერებს, ასევე აღადგენენ ძველ ხევსურულ ფოლკლორს, რომელშიც დიდი წვლილი მიუძღვის მათ ბებოს მარიამ ჭინჭარაულს. 2010 წელს დებმა გამოსცეს პირველი ალბომი „სად დაგიჩოქო არაგვო". ალბომში შესული სიმღერები ჩაიწერა 2009 წელს ხევსურეთში, მუცოსა და შატილის კოშკებში – ბუნებრივ პირობებში, გერმანელი ხმის რეჟისორი იულიან რაბიუსის მიერ ტურისტული კომპანია თებულო-ტურის დახმარებით. 2010 წელს დები გოგოჭურები გახდნენ „საპატრიარქოსთან არსებული დები გოგოჭურების საოჯახო ანსამბლი", – ნათქვამია ოფიციალურ განცხადებაში.

ანსამბლი „დები გოგოჭურები" თბილისი არტ ჰოლში შეკრებილ მსმენელს თავისი რეპერტუარიდან შეუსრულებს როგორც ხველ და კარგად ნაცნობ, ასევე ახალ სიმღერებს. კონცერტში მონაწილე მათი მეგობრები კი ამ საღამოსთვის შესაფერის პროგრამას ამზადებენ. „დები გოგოჭურები" ყოველთვის მონაწილეობენ იმ კონცერტებსა თუ საღამოებში, რომელიც საქართველოს მთის კულტურასთან არის დაკავშირებული. ბავშვთა ქალაქში „მზიური" ყოველწლიურად ეწყობა კონცერტი „მთის საჩუქარი ბარს", სადაც ანსამბლი აქტიურად არის ჩართული. მათი სიმღერები ჟღერს ტრაგიკულად დაღუპული თეონა ქუმსიაშვილის ხსოვნის საღამოებზეც. ამჯერად „დები გოგოჭურები" მსმენელს თბილისი არტ ჰოლში ეპატიჟება, სადაც მათი რეპერტუარი კიდევ ერთხელ იქნება წარმოდგენილი.

## აიათოლა ჰამენეიმ ირანს ბირთვული იარაღის წარმოება აუკრძალა

ირანის სულიერმა ლიდერმა აიათოლა ჰამენეიმ ირანს ბირთვული იარაღის წარმოება აუკრძალა და ამის შესახებ რელიგიური ბრძანება გამოსცა.



ირანის საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადებით, აღნიშნული ბრძანება ირანის ხელისუფლებამ აუცილებლად უნდა შეასრულოს და ამით დასრულდეს საუბარი იმაზე, რომ თეირანი ატომურ იარაღს აწარმოებს.

ირანის საგარეო უწყებაში აღნიშნავენ, რომ დასავლეთმა აიათოლა ჰამენეის ბრძანების მნიშვნელობა უნდა გაიგოს, რადგან მათთვის უმაღლესი სულიერი ლიდერის ბრძანება, მათი საქმიანობის საფუძველია.

შეგახსენებთ, რომ დასავლეთის ქვეყნები და აშშ ირანის ბირთვულ პროგრამას აპროტესტებენ. თუმცა ირანი აცხადებს, რომ ისინი ურანს მხოლოდ მშვიდობიანი მიზნებისათვის ამდიდრებენ.

„ირანი ატომური ბომბის შექმნისათვის საჭირო ოდენობის ურანის გამდიდრებას 2014 წლის შუა პერიოდისთვის მოახერხებს", – ამის შესახებ ნათქვამია ამერიკელი ექსპერტებისაგან შემდგარი ჯგუფის მიერ გამოქვეყნებულ ანგარიშში.

ექსპერტები ფიქრობენ, რომ ირანს ატომური ბომბი 2014 წელს უკვე ექნება. აღნიშნული ჯგუფი აშშ-ს და მის მოკავშირეებს თეირანის წინააღმდეგ სანქციების გამკაცრებისაკენ მოუწოდებენ.

გ. მ.